

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თინათინ გაბრიჭიძე

საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების
ეპიდემიოლოგიური თავისებურებები და პაციენტის
გადარჩენის პერიოდზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

დისერტაცია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2023 წელი

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ირაკლი მჭედლიშვილი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის პროფესორი.

ნანა მეზონია, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ექსპერტები:

1. თეა ქოჩორაძე-მარლიშვილი - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსსუ-ის ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.
2. ლალი ბაქრაძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსსუ-ის კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
3. ივანე კილაძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29)

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 15 მარტს 16:00 სთ-ზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსში (ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33).

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

Tinatin Gabrichidze

**Epidemiological Features of Prevalence
of Cervical Cancer and Factors Affecting
Patient Survival in Georgia**

Thesis of Dissertation for the
Academic Degree of PhD in Public Health

Tbilisi

2023

The Scientific Study is completed in Tbilisi State Medical University (TSMU)
At the departments of Epidemiology and Biostatistics

Scientific Tutors of Research:

Irakli Mchedlishvili - MD, PhD, Professor Department of epidemiology and Biostatistics, TSMU.

Nana Mebonia – MD, PhD, Associate Professor Department of epidemiology and Biostatistics, TSMU.

Experts:

1. Tea Kochoradze-Margishvili - MD, PhD, Assistant Professor Department of Health Promotion, TSMU
2. Lali Bakradze - MD, PhD, Associate Professor Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health
3. Ivane Kiladze - MD, PhD, Associate Professor of Ilia State University.

The scientific Study is available in the Tbilisi State Medical University library (29, Vazha-Pshavela ave.)

Maintain a thesis will take place on March 15, 2023 at 16.00, in TSMU administrative building (33, Vazha-Pshavela ave.)

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები:.....	8
1. შესავალი	9
1.1 თემის აქტუალობა.....	9
1.2 კვლევის მიზანი:.....	10
1.3 კვლევის ამოცანები:	10
1.4 ნაშრომის მეცნიერული სიახლე	10
1.5 ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.....	11
1.6 ნაშრომის აპრობაცია.....	11
2. ლიტერატურის მიმოხილვა	12
2.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს გლობალური გავრცელების თავისებურებები	12
2.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.....	20
2.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება ჰისტოლოგიურ ტიპებსა და ბიოლოგიურ მახასიათებლებზე.....	26
2.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება დაავადების სტადიაზე დიაგნოზის დასმის მომენტში	31
2.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის ასაკზე დიაგნოზის დასმის მომენტში.....	34
2.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის დამოკიდებულება პაციენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან	37
2.7. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება ეთნიკურ/რასობრივ თავისებურებებთან.....	39
2.8. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის ქცევით ფაქტორებთან.....	41
2.9. საშვილოსნოს ყელის გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის აივშიდსით ინფიცირებასთან	41
2.10. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის როლი პაციენტის გადარჩენის თვალსაზრისით.....	43

2.11. ქალთა ინფორმირებულობის როლი საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულთა გადარჩენაში	50
3. კვლევის მეთოდები და მასალა	57
3.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის გავრცელების თავისებურებების შეფასება საქართველოში	57
3.2 კვლევის მეთოდები	58
3.2.1 კაპლან-მეიერის სტატისტიკური მეთოდი.....	58
3.2.2 საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის (ზიანის) რისკის შეფასება კოქსის რეგრესიული ანალიზის მეთოდით	59
3.3. კვლევაში გამოყენებული ცვლადები	61
4. კვლევის შედეგები	62
4.1 საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის თავისებურებები, საქართველო, 2015-2021 წლები	62
საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობა	62
საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობა, 2011-2020 წლები, საქართველო	66
4.2 კაპლან-მეიერის და კოქსის რეგრესიულ სტატისტიკურ ანალიზში ჩართულ პაციენტთა მონაცემთა ბაზის დახასიათება	69
4.3 საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება კაპლან-მეიერის სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით	74
4.4 კაპლან-მეიერის ანალიზით მიღებული შედეგების აღწერა.....	95
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დიაგნოზის დასმისას დადგენილი სტადიების მიხედვით	95
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით	95
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით	95
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკის მიხედვით	96
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჩატარებული მკურნალობის მიხედვით	96
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქირურგიული მკურნალობის სტატუსის მიხედვით	97
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა მედიკამენტური მკურნალობის ჩატარების	

სტატუსის მიხედვით.....	97
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა სხივური თერაპიის მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით.....	98
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა პალიატიური მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით.....	98
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.....	98
საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისსა და დანარჩენ რეგიონებში.....	99
4.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასე ბა უნივარიაციული და მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული სტატისტიკური მეთოდით.....	99
ა. უნივარიაციული კოქსის რეგრესიული ანალიზის შედეგები	99
ბ. მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული ანალიზის შედეგები	108
4.5. მიღებული შედეგების განსჯა.....	113
დასკვნები.....	125
რეკომენდაციები.....	127
ლიტერატურა.....	128
რეზუმე.....	149
დანართი (პუბლიკაციები).....	160

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

CC - საშვილოსნოს ყელის კიბო

HR (Hazard Ratio) – რისკების თანაფარდობა

SEER (Surveillance, Epidemiology, and End Results Program) - ეპიდზედამხედველობის, ეპიდემიოლოგიისა და საბოლოო შედეგების პროგრამა

ASMR (Age-specific mortality rate) - ასაკსპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებელი

CONCORD (Global surveillance of trends in cancer survival) - კიბოს გადარჩენაზე გლობალური ეპიდზედამხედველობის პროგრამა

თ.ხ. (df, Degree of freedoms) - თავისუფლების ხარისხი

CI (Confidence Interval) - სარწმუნობის ინტერვალი

HPV - ადამიანის პაპილომავირუსი

GAVI - იმუნიზაციისა და ვაქცინების გლობალური ალიანსი

NCI (National Cancer Institute) - კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი (აშშ)

RRP (Radiation Research Program) - რადიაციული კვლევის პროგრამა (აშშ)

OS - საერთო გადარჩენის მაჩვენებელი

1. შესავალი

1.1 თემის აქტუალობა

კიბოს პრევენციისა და მართვის მიმართულებით გლობალურად განხორციელებული ეფექტური ინტერვენციების მიუხედავად, კიბო არაგადამდებ დაავადებათა შორის ავადობისა და სიკვდილიანობის მეორე წამყვან მიზეზად რჩება მძიმე ეკონომიკური შედეგებით. ტვირთი არაპროპორციულად მაღალია განვითარებად ქვეყნებში, სადაც კიბოსთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობის შესახებ ზუსტი მონაცემები ჯერ კიდევ უცნობია. დაავადების მართვის ღირებულების გააზრება მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინფორმირებისა და ინტერვენციების ეკონომიკური შეფასებისთვის. საშვილოსნოს ყელის კიბო, რომელიც მაღალი სიხშირით ვლინდება საშუალო ასაკის ქალებში, კვლავ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება მსოფლიოს მრავალ, განსაკუთრებით შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში (1, 5, 6, 18, 26, 28, 34, 50, 57, 58, 75, 100, 117, 121, 129, 132, 134, 135, 141, 153, 154, 155, 156, 162, 188, 198, 205, 206, 258, 261, 264, 281, 290, 293, 302, 303, 306, 307, 312, 322, 331). ადამიანის პაპილომა ვირუსის (აპვ) საწინააღმდეგო ვაქცინაციის და აპვ ტესტირებაზე დაფუძნებულ სკრინინგის მასშტაბების გაზრდას, ასევე სკრინინგულ პროგრამებში მონაწილეობას შეუძლია საშვილოსნოს ყელის კიბო იშვიათ დაავადებად აქციოს შემდეგ ათწლეულებში.

საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბო ქალის სასქესო ორგანოების კიბოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია და შეადგენს კიბოს შემთხვევების 30%-ს განვითარებად ქვეყნებში და 5%-ს განვითარებულ ქვეყნებში. ეკონომიკური და სოციალური განსხვავებები უკავშირდება ქალებში კიბოს განვითარების მომატებულ რისკს (41, 43, 66, 69, 71, 82, 91, 95, 97, 98, 170, 178, 201, 234, 287, 288, 295, 296). სიტუაცია განსაკუთრებით საგანგაშოა იქ, სადაც არ არსებობს სკრინინგის პროგრამები და სერვისები. გლობალურად საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, შესაძლებელია მისი შემცირება კომპლექსური მიდგომის მეშვეობით (9, 10, 27, 29, 30, 46, 53, 54, 61, 106, 138, 148, 160, 199, 209, 221, 223, 225, 237, 259).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წელს დაამტკიცა ახალი გლობალური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაციის მიღწევას მთელ მსოფლიოში. აღნიშნული სტრატეგია გულისხმობს ყველა ქვეყანაში დაავადების ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობის მაჩვენებლის შემცირებას 4-მდე 100 000 ქალზე წელიწადში და საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე ქალების მკურნალობის და მათთვის პალიატიური ზრუნვის გასაწევად შესაძლებლობების გაზრდას. საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაციის ახალი სტრატეგია სამ მიმართულებაზეა დაფუძნებული: ადამიანის

პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, საშვილოსნოს ყელის სკრინინგი და მკურნალობა. 2030 წლისთვის მისაღწევი კონკრეტული სამიზნეებია: აბვ ვაქცინაციის 90%-ით და სკრინინგის 70%-ით მოცვა, საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავადებების და კიბოს მკურნალობაზე 90%-იანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამივე პრინციპი უნდა განხორციელდეს ერთობლივად და ელიმინაციის მიზნის მისაღწევად საჭირო მასშტაბით.

საშვილოსნოს ყელის კიბო ქალთათვის ყველაზე ხშირად დიაგნოსტირებულ ონკოლოგიურ დაავადებათა შორის მეხუთე ადგილზეა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია, ის მაინც რჩება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გამოწვევად ქვეყანაში, სადაც შემთხვევათა 50%-ზე მეტის გამოვლენა დაგვიანებულ (მესამე-მეოთხე) სტადიაზე ხდება.

1.2 კვლევის მიზანი

საშვილოსნოს ყელის კიბოს 5–წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების შეფასება და გადარჩენაზე მოქმედი პროგნოზული ფაქტორების დადგენა.

1.3 კვლევის ამოცანები

- საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის თავისებურებების შეფასება 2015-2021 წლებში;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს რეგიონალური გავრცელების შეფასება;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოსტირებისას ასაკობრივი თავისებურებები და სტადიურობა;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასება პაციენტისა (ასაკი დიაგნოზის დასმისას) და კიბოს (სტადია გამოვლენისას, დიფერენცირების ხარისხი, ჰისტოლოგიური ტიპები) მახასიათებლებთან კორელაციაში.

1.4 ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- ჩატარდა კვლევა კიბოს რეგისტრის მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რის შედეგადაც მოხდამისიმეცნიერული კვლევების მიზნით ეფექტური გამოყენების დემონსტრირება;
- შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელზე მოქმედი შერჩეული ფაქტორების როლი;
- კაპლან-მეიერის სტატისტიკური ანალიზის მეთოდით შედარდა საშვილოსნოს ყელის გადარჩენის მაჩვენებლები პაციენტთა ორი და/ან მეტი ჯგუფისთვის, რომლებიც შერჩეული ფაქტორების განსხვავებული მნიშვნელობების/დონეების ზემოქმედებას განი-

ცდიდნენ, შეფასდა გამოვლენილი განსხვავების სტატისტიკური სარწმუნობა;

- კოქსის რეგრესიული სტატისტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით გამოვლინდა საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელზე მოქმედი სტატისტიკურად სარწმუნო დამოუკიდებელი ფაქტორები.

1.5 ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

კვლევამ გამოავლინა საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, რაც პრიორიტეტების დადგენის, ეფექტური ზემოქმედების სამიზნეების განსაზღვრის და კიბოს კონტროლის ეროვნული პოლიტიკის სწორად დაგეგმვის საშუალებას იძლევა. როგორც კვლევის შედეგებმა უჩვენა, საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის პერიოდის გაზრდის მიზნით, საჭიროა მკურნალობის სტანდარტიზაცია, დიაგნოსტიკის და მკურნალობის, აგრეთვე, პაციენტთა ინფორმირებულობის და მოვლის თანამედროვე მიდგომების თანაბარი ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

1.6 ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის და პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სხდომაზე 2022 წლის 28 ოქტომბერს, რომლის მიერ მოწონებული და რეკომენდებულია საჯარო დაცვისთვის.

პუბლიკაციები:

დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი:

1. Gabrichidze T., Mchedlishvili I., Zhizhilashvili A., Gamkrelidze A., Mebonia N. "Temporal trends of cervical cancer mortality in Georgia, 2011-2018". Georgian Medical News [12 Dec 2020(309); pp. 17-21];
2. გაბრიჭიძე თ., მჭედლიშვილი ი., ჟიჟილაშვილი ა., მებონია ნ., ჟიჟილაშვილი ს. „საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში, 2015-2019 წლებში“. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი N 54, 2020, გვ. 40-41;
3. თინათინ გაბრიჭიძე, ირაკლი მჭედლიშვილი, ნანა მებონია, მაია კერესელიძე, საბა ჟიჟილაშვილი. „საშვილოსნოს ყელის კიბოს პროგნოზზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში“. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, N5-6, 2021, გვ.57-59;


4. T. Gabrichidze, I. Mchedlishvili, N. Mebonia, T. Didbaridze, A. Gamkrelidze. „Effect of Age at Diagnosis on Cervical Cancer Patient Prognoses in Georgia“. International Journal of Progressive Sciences and Technologies (IJPSAT, ISSN:2509-0119), N2 March 2022, pp. 43-48.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს გლობალური გავრცელების თავისებურებები

კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს Global Cancer Observatory-ის შეფასებით, მონაცემებზე დაყრდნობით მოსალოდნელია, რომ 2040 წელს კიბოს გლობალური ტვირთი 28,4 მილიონ შემთხვევას მიაღწევს რაც 47%-ით მეტია, ვიდრე 2020 წლის მაჩვენებელი. დემოგრაფიული ცვლილებების გამო მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელია განვითარებად ქვეყნებში (64%-დან 95%-მდე) განვითარებულთან შედარებით (32%-დან 56%-მდე). კიბოს გლობალური კონტროლისთვის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კიბოს პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობას და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას ონკოლოგიური დახმარების უზრუნველყოფის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (331).

სურათი 2.1.1. სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა და ხვედრითი წილი მსოფლიოში, 2020 წელი (ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობა 19 292 789).




2020 წელს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით მსოფლიოში ონკოლოგიური დაავადებების 19.3 მილიონი ახალი და სიკვდილის 9,9 მილიონი შემთხვევა გამოვლინდა. ამავე წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს 604 127 ახალი

შემთხვევა დარეგისტრირდა, რაც შეადგენს 3.1%-ს, და მეშვიდე ადგილზეა ყველა ტიპის სიმსივნეების ახალ შემთხვევებს შორის (სურათი 2.1.1). პირველ ადგილზე კი ძუძუს კიბოა 11.7%-ით (331).


2020 წელს მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი 4.1-დან (დასავლეთ აზიის ქვეყნები) 40.1-მდე (აღმოსავლეთ აფრიკა) მერყეობდა 100 000 მოსახლეზე. მაღალი ავადობა გამოვლინდა აფრიკის ქვეყნებში, სამხრეთ ამერიკაში, მელანეზიაში, მიკრონეზიაში (სურათი 2.1.2) (331).

სურათი 2.1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობა გლობალურად, 2020 წელი



2020 წლის მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს მსოფლიოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი შეადგინა 13.3 100 000 მოსახლეზე. ჩვენი პლანეტის სხვადასხვა რეგიონში ეს მაჩვენებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მერყეობს 4.1-დან 40.1-მდე, განსაკუთრებით მაღალია ავადობა აღმოსავლეთ (40.1), სამხრეთ (36.4) და დასავლეთ აფრიკის (28.3), ცენტრალური (15.4) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (18.7) ქვეყნებში, ასევე წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფოებში: მელანეზიაში (31.6), მიკრონეზიაში (22.9). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (14.5), ცენტრალური ამერიკის (13.8) და კარიბის ქვეყნების (13.7) მაჩვენებლები მცირედით აღემატება მსოფლიო მაჩვენებელს (331).


სურათი 2.1.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი მსოფლიოს რეგიონების მიხედვით 2020 წელი




ევროპის, ჩრდილოეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ჩრდილოეთ აფრიკის მაჩვენებლები მსოფლიო პარამეტრებზე დაბალია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაში (6.1), ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (5.6), და როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ აზიაში (4.1) (331).

2020 წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის 341 831 შემთხვევა გამოვლინდა, რამაც 3.3% შეადგინა და მე-9 ადგილი დაიკავა კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით. პირველ ადგილზე კი ფილტვის კიბოა 17.4%-ით (სურათი 2.1.4) (331).

სურათი 2.1.4. სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი და რაოდენობა მსოფლიოში, 2020 წელი (გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა 9 958 133).




სურათი 2.1.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობა მსოფლიოში, 2020 წელი



საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი მერყეობდა 2.3-დან (დასავლეთ აზია) 28.6-მდე (აღმოსავლეთ აფრიკა) 100 000 მოსახლეზე. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სამხრეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში (სურათი 2.1.5), (331).

2020 წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიოში შეადგენდა 7.3 100 000 მოსახლეზე (სურათი 2.1.6), (331).

სურათი 2.1.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, 2020 წელი



ჩვენებელი, არის მსოფლიო მაჩვენებელზე მაღალი. აღმოსავლეთ აფრიკაში სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შეადგინა 28.6. სამხრეთ აფრიკაში -20.6, ხოლო ცენტრალურ აფრიკაში - 22.6. როგორც ავადობის, ისე სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიოს მონაცემზე დაბალია ევროპის ქვეყნებში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი გამოვლინდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (1.6), (331).

Arbyn M. და თანაავტორთა მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების თავისებურებების შეფასებისთვის გამოყენებული იყო Global Cancer Observatory-ის 2018 წლის მონაცემთა ბაზიდან მიღებული 185 ქვეყნის კიბოს შეფასებითი მონაცემები. ქვეყნები დაჯგუფდა 21 ქვეჯგუფად, ასევე მოხდა კატეგორიზაცია მაღალი ან დაბალი რესურსების მქონე ქვეყნებად მათი ადამიანის განვითარების ინდექსის (Human Development Index) საფუძველზე. შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა მოცემულ ქვეყნებში, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის და სიკვდილიანობის პირდაპირი ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი, საშვილოსნოს ყელის კიბოს არაპირდაპირი სტანდარტიზებული ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, კუმულაციური ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელი და საშუალო ასაკი დიაგნოზის დასმის მომენტში. ანალიზმა უჩვენა, რომ 2018 წელს ადგილი ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბოს დაახლოებით 570 000 შემთხვევას და გარდაცვალების 311 000 შემთხვევას. საშვილოსნოს ყელის კიბო მეოთხე ყველაზე გავრცელებული კიბო იყო ქალებში, ძუძუს კიბოს (2.1 მილიონი შემთხვევა), კოლორექტალური კიბოს (0.8 მილიონი) და ფილტვის კიბოს (0.7 მილიონი) შემდეგ. შეფასების თანახმად, გლობალურად, საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზირებული მაჩვენებელი 13.1 იყო 100 000 ქალზე და ფართოდ ვარირებდა ქვეყნების მიხედვით - 2-ზე ნაკლებიდან 75-მდე (100 000 ქალზე). საშვილოსნოს ყელის კიბო იყო ქალებში კიბოსთან დაკავშირებული სიკვდილის წამყვანი მიზეზი აღმოსავლეთ, დასავლეთ, შუა და სამხრეთ აფრიკაში. ყველაზე მაღალი ავადობის მაჩვენებელი დაფიქსირდა ესვატინიში, სადაც ქალთა დაახლოებით 6,5%-ს განუვითარდა საშვილოსნოს ყელის კიბო 75 წლამდე ასაკში. ჩინეთსა და ინდოეთზე საშვილოსნოს ყელის კიბოს გლობალური ტვირთის მესამედზე მეტი მოდის: 2018 წელს დაავადების 106 000 შემთხვევა ჩინეთში და 97 000 შემთხვევა ინდოეთში, გარდაცვალების 48 000 შემთხვევა ჩინეთში და 60 000 ინდოეთში. გლობალურად, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოსტიკის საშუალო ასაკმა 53 წელი შეადგინა, ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბოთი გარდაცვალების საშუალო ასაკი გლობალურად იყო 59 წელი. საშვილოსნოს ყელის კიბო შედის ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადების სამეულში, რომელიც აქვთ 45 წლამდე ასაკის ქალებს 185 შეფასებული ქვეყნიდან 146-ში (79%). M. Arbyn-ის და სხვათა მიერ ჩატარებული გამოკვლევა ეძღვნება საშვილოსნოს ყელის კიბოს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარი პრობლემის ელიმინაციის ინიციატივის ფორმირებასა და კონტროლს (26).

Z. Khazaei-ს და სხვათა მიერ კიბოს მსოფლიო ბანკიდან (World Cancer Bank) მოპოვებული ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით ჩატარებული აღწერით-ანალიზური კვლევის საფუძველზე შედგენილია საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის

და სიკვდილიანობის, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს განაწილების რუკები მსოფლიოს ქვეყნებისთვის. ავადობას, სიკვდილიანობასა და ადამიანის განვითარების ინდექსს (Human Development Index, HDI) შორის კორელაციის შესაფასებლად გამოყენებული იყო კორელაციის და რეგრესიის ტესტები. სტატისტიკური სანდოობა შეფასებული იყო 0.05-ის დონეზე. შედეგებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია გამოავლინა საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის ($r = -0.570$, $P < 0.001$) და სიკვდილიანობის მაჩვენებელსა ($r = -0.699$, $P < 0.001$) და HDI ინდექსს შორის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ავადობის მაჩვენებელსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს (GNI) ($r = -0.37$, $P < 0.0001$), სწავლის საშუალო ხანგრძლივობას (MYS) ($r = -0.42$, $P < 0.0001$), დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას (LEB) ($r = -0.64$, $P < 0.0001$) და სწავლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას (EYS) ($r = -0.41$, $P < 0.0001$) შორის. მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია აღინიშნა სიკვდილიანობის მაჩვენებელსა და GNI-ს ($r = -0.42$, $P < 0.0001$), MYS-ს ($r = -0.57$, $P < 0.0001$), LEB-ს ($r = -0.73$, $P < 0.0001$) და EYS-ს ($r = -0.56$, $P < 0.0001$) შორის. ხაზოვანი რეგრესიის მოდელმა აჩვენა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობა უარყოფით კორელაციაში იყო HDI-ისა და LEB-თან, ხოლო დადებით კორელაციაში MYS-ისა და EYS-ისთან ($P < 0,05$). ამასთან, მაღალი HDI კორელაციაშია შემცირებულ სიკვდილიანობასთან, ხოლო მაღალი GNI, MYS და EYS იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მატებას. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის განვითარების საშუალო და დაბალი ინდექსის მქონე საზოგადოებებში მცხოვრები ქალები მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების წინაშე დგანან და განხილული უნდა იყვნენ როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის სამიზნე ჯგუფები. უფრო მეტიც, პრევენციული ჩარევები ფოკუსირებული უნდა იყოს ამ ჯგუფზე, რათა საბოლოო ჯამში შემცირდეს საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის დონე (170).

90-იანი წლების დასაწყისში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი ევროპელთა ცხოვრების ბევრ სფეროზე აისახა, მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა იქონია საშვილოსნოს ყელის კიბოთი (CC) გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლებზეც (65, 94, 114, 246). Wojtyla C-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ევროპაში 1990 წლის შემდეგ საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის ტენდენციების ანალიზი. მონაცემები 20-44 წლის ასაკის ქალებში CC-ით, საშვილოსნოს კიბოთი და საშვილოსნოს დაუზუსტებელი კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შესახებ აღებული იყო ჯანმოს სიკვდილიანობის მონაცემთა ბაზიდან. ევროპის ქვეყნებში 1990-2017 წლებში არსებული ტენდენციები შეფასდა ხაზოვანი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. უმეტეს ქვეყნებში ადგილი ჰქონდა CC-ით სიკვდილიანობის შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ევროკავშირის 15 წევრ ქვეყანაში, ყველაზე მაღალი შემცირება გამოვლინდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთან, ამ ქვეყნებში კვლავ არსებობს განსხვავებები სიკვდილიანობის თვალსაზრისით. ასევე არსებობს რამდენიმე ქვეყანა, როგორცაა ბელარუსი, ლატვია და უკრაინა, რომლებშიც გამოვლინდა სიკვდილიანობის ზრდა. 2017 წელს ევროპაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე 0.6-5.2 ფარგლებში ვარიირებდა. კვლევამ აჩვენა, რომ

CC-ს ადრეული დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული სკრინინგის პროგრამების ხელშეწყობა მიზნობრივი მოსახლეობის მაღალი ჩართულობით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში და, აგრეთვე, აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვა ევროპის ყველა ქვეყნის მაღალი მოცვით (305).

ესტონეთი საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის მაჩვენებლით მესამე ადგილზეა ევროპაში მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან მოქმედებს ორგანიზებული სკრინინგის პროგრამა. ესტონეთში პაპ-ნაცხზე დაფუძნებული სკრინინგის პროგრამის არაადეკვატურ გამოყენებას და არაეფექტურ ხარისხის კონტროლს CC-ს ავადობის შემცირება არ მოუტანია. K. Ojamaa-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო CC-ს ავადობის და გადარჩენის ანალიზი, ასაკთან, მორფოლოგიურ თავისებურებებთან და სტადიასთან კორელაციაში. 1968-2014 წლებში ასაკ-სტანდარტიზებული და ასაკსპეციფიკური ავადობის მაჩვენებლების შეფასების მიზნით გამოყენებული იყო ესტონეთის კიბოს რეგისტრის მონაცემები. ავადობის ტენდენციების წლიური პროცენტული ცვლილებები შეფასებული იყო რეგრესიული ანალიზის გამოყენებით, ხოლო ასაკობრივ-პერიოდულ-კოჰორტული მოდელი - დროის ტენდენციების შესაჯამებლად კოჰორტისა და პერიოდის ეფექტის მიხედვით. 1995-2014 წლებში დიაგნოსტირებული პაციენტებისთვის გამოითვალა გადარჩენის ფარდობითი კოეფიციენტები (RSR). კვლევამ აჩვენა, რომ 1980-იანი წლებიდან საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სტანდარტიზირებული ავადობის მაჩვენებელი წლიურად 0,8%-ით იზრდებოდა. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გარდა 70+ ასაკობრივი ჯგუფისა. ბრტყელუჯრედიანი კარცინომით ავადობა საერთო ტენდენციის შესაბამისი იყო, ხოლო ადენოკარცინომის ზრდა გამოვლინდა 1990-იანი წლებიდან. ასაკობრივ-პერიოდულ-კოჰორტულმა მოდელირებამ ძლიერი კოჰორტული ეფექტები აჩვენა, ამასთან ყველაზე დაბალი რისკით 1940 წელს დაბადებულთა კოჰორტისთვის და მნიშვნელოვნად გაზრდილი რისკით მომდევნო პერიოდებში დაბადებულთა კოჰორტებისთვის. დიაგნოზის დასმის მომენტში IV სტადიის შემთხვევების წილი 2005-2009 წლებში 13%-დან 2010-2014 წლებში 18%-მდე გაიზარდა. 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2010-2014 წლებში წინა 5-წლიან პერიოდთან (1995-1999 წლები) შედარებით (58% საპირწონედ 66%-ისა). 2010-2014 წლებში 5 წლიანი გადარჩენის ფარდობითი კოეფიციენტები ვარიირებდა 89%-დან 15-39 წლის ქალებში 41%-მდე 70+ ასაკობრივ ჯგუფში. I, II, III და მე-IV სტადიების შესაბამისი RSR-ები იყო 98, 74, 57 და 22% (211).

ევროპული საბჭო რეკომენდაციას უწევს საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებულ სკრინინგს ყველა წევრ ქვეყანაში. პრევენციის არსებული და ახალი მეთოდების გავლენის შესაფასებლად საჭიროა საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება. 2004 წელს 40 ევროპული ქვეყნის სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლები შეფასდა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის სტანდარტიზებული და კუმულაციური მაჩვენებლების (74 წლამდე ასაკის ქალებისთვის) მიხედვით ევროკავშირის 15 ძველი (EU15) და 10 ახალი (EU10) წევრი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი კონტრასტი ვლინდება. ტვირთი ყველაზე დაბალი

იყო ფინეთში (კუმულაციური ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელი 0.38% და 0.12%, შესაბამისად), ყველაზე მაღალი კი ლიეტუვაში (კუმულაციური ავადობა და სიკვდილიანობა 1.64% და 0.94% შესაბამისად). 45 წლამდე ასაკის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის შეფასება მიუთითებს, რომ დაავადების ტვირთი განსაკუთრებით მაღალია მთელ აღმოსავლეთ ევროპაში. დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის დრამატული კონტრასტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შესაბამისი ქვეყნების ჯანდაცვის ორგანოების და მთლიანად ევროკავშირის მხრიდან. ევროკომისია აგძელებდა საშვილოსნოს ყელის კიბოს კონტროლს და ყველაზე მეტად დაზარალებული წევრი ქვეყნების მხარდაჭერას (24).

საშვილოსნოს ყელის კიბო დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (LMICs) მცხოვრებ ქალებში კიბოს მეორე ყველაზე გავრცელებულ ტიპს და ქალთა კიბოთი სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს (38, 53, 55, 80, 99, 116, 122, 133, 143, 147, 159, 195, 201, 234). საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის მაჩვენებლები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ აფრიკაში (ზიმბაბვეს ჩათვლით), ყველაზე დაბალი კი - დასავლეთ აზიაში. Aamod Dhoj Shrestha-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევა LMIC-ებში 2000-2015 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების, ავადობისა და სიკვდილიანობის მიმოხილვას წარმოადგენს. 20 განხილული კვლევიდან 7 აფრიკიდან იყო, 7 აზიიდან, 3 სამხრეთ ამერიკიდან და თითო ჩრდილოეთ ამერიკიდან, ევროპიდან და ოკეანეთიდან. ყველაზე მაღალი ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი ზიმბაბვეშია (17,9/100000/წელიწადში, 2000 წელი), ხოლო ყველაზე დაბალი ჩინეთში (0,11/100000/წელიწადში, 2006 წელი). ნიგერიის ერთ-ერთმა კვლევამ 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში გამოავლინა საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობა 5.0-ის ტოლი 1000 ქალზე (2012 წელი). გარდა ამისა, ყველაზე მაღალი ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო ინდოეთში (16/100000/წელიწადში, 2015), ხოლო ყველაზე დაბალი კოლუმბიაში (1,8/100000/წელიწადში, 2013). ამასთან, სქესობრივი აქტივობის დაწყების ასაკი, თამბაქოს მოხმარება, სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა და საშვილოსნოს ყელის კიბოს ოჯახური ისტორია იყვნენ მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორები (252).

ადამიანის პაპილომაავირუსთან დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბო გლობალურ პრობლემად რჩება განსაკუთრებით სუბსაჰარულ აფრიკაში (SSA), სადაც გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა. ფაქტობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ მრავალი სხვა კიბო, როგორცაა ვაგინალური, ანალური, ოროფარინგეალური, სასქესო ასოს კიბო კორელაციაში არიან აპკ-თან, განსაკუთრებით მისი მაღალი რისკის ტიპებით გამოწვეული ინფექციის გამო. მონაცემთა რამდენიმე ბაზაში - PubMed-ში, Google Scholar-ში, Science Direct-ში და CINAHL-ში და MEDLINE-ში EBSCOhost-ის საშუალებით ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვის გზით Lekoane KMB-მა და სხვებმა მოიპოვეს მტკიცებულებები ადამიანის პაპილომაავირუსთან დაკავშირებული ონკოლოგიური დაავადებების ინციდენტობის, პრევალენტობის, სიკვდილიანობის და ტენდენციების შესახებ სუბსაჰარულ აფრიკაში. მეტა-ანალიზისთვის შეირჩა 74 კვლევა, რომლებიც იტყობინებოდნენ აპკ-სთან დაკავშირებულ ონკოლოგიურ დაავადებების პრევალენტობის, ინციდენტობის, სიკვდილიანობის და ტენდენციების შესახებ. საბოლოოდ ანა-

ლიზში გაერთიანდა კვლევები, რომლებშიც მოცემული იყო რეგიონ-სპეციფიკური ინფორმაცია: ორი (25%) კვლევა ჩატარებული იყო ნიგერიაში; ერთი (12,5%) იტყობინებოდა უგანდის, ზამბიის, გვინეის, მალავის, ტანზანიის, მალის, მოზამბიკის, ზიმბაბვეს შესახებ; ერთი (12,5%) - ეთიოპიის, სენეგალის, ზიმბაბვესა და უგანდას შესახებ. ოთხ კვლევაში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია აპვ-სთან დაკავშირებული ონკოლოგიური დაავადებების პრევალენტობის შესახებ, შვიდ კვლევაში - ინციდენტობის შესახებ, ოთხში - სიკვდილიანობის შესახებ, ხოლო ოთხში - აპვ-სთან დაკავშირებული ონკოლოგიური დაავადებების ტენდენციების შესახებ. მეტა-ანალიზმა გამოავლინა SSA-ში აპვ-ს ბოლოდროინდელი პრევალენტობის ეპიდემიოლოგიურ მონაცემთა დეფიციტი. მიმდინარე კვლევები რეკომენდებულია SSA-ში აპვ-ს და აპვ-სთან დაკავშირებული ონკოლოგიური დაავადებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების მოძიების მიზნით, რათა მოხდეს აპვ-სთან დაკავშირებული მდგომარეობების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სტრატეგიების ან/და პოლიტიკის შემუშავება (177).

2.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

შეერთებულ შტატებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, მიუხედავად უმნიშვნელო შემცირებისა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. წარმოდგენილ კვლევაში CONCORD-2 კვლევის მონაცემები გამოყენებული იყო ქალების გადარჩენის მაჩვენებელთა შესაფასებლად, რომელთაც 15-99 წლის ასაკში საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი დაესვათ იმ 37 შტატში, სადაც აშშ-ს მოსახლეობის 80% ცხოვრობს. 2001-2009 წლებში 90 620 ქალს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს დიაგნოზი. უმეტეს შტატში გვიან სტადიაზე დიაგნოსტირებული ონკოლოგიურ დაავადებათა წილი დროთა განმავლობაში გაიზარდა. 5-წლიანმა გადარჩენამ 2001-2003 წლებში 63.5%, ხოლო 2004-2009 წლებში 62.8% შეადგინა. გადარჩენა შედარებით დაბალი იყო შავკანიანებისთვის, რომლებზეც გვიანი სტადიის კიბოს უფრო მაღალი წილი მოდიოდა. საერთო გადარჩენის სტაბილურობა დროთა განმავლობაში და გადარჩენის მდგრადი განსხვავებები თეთრკანიან და შავკანიან ქალებს შორის აშშ-ს ყველა შტატში მიაწინებებს, რომ საჭიროა მიზანმიმართული ჩარევები, სკრინინგის, დროული მკურნალობისა და შემდგომი მოვლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით შავკანიან ქალებში (43).

Hou Y-მა და სხვებმა შეაფასეს გადარჩენის პროგნოზული ფაქტორები საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე აზიელ და თეთრკანიან ამერიკელ პაციენტებში. კვლევაში ჩართული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული 58780 პაციენტი, რომელთაგან 54827 თეთრკანიანი იყო, ხოლო 3953 - აზიური წარმოშობის ამერიკელი. მათ შესახებ სრული კლინიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო აშშ-ს კიბოს რეგისტრის (ეპიდემიოლოგიური და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდებით კვლევამ უჩვენა, რომ ასაკი და სტადია დიაგნოზის დასმის მომენტში, მეტასტაზები ლიმფურ კვანძებში, კიბოს ჰისტოლოგიური თავისებურება, მკურნალობის მეთოდი და რასა დაავადების პროგნოზის

განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამასთან, განსხვავებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული თეთრკანიანი და აზიური წარმოშობის ამერიკელი პაციენტების გადარჩენის სტატუსი (147).

ინგლისში ახალგაზრდა ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს I სტადიის გადარჩენის მაჩვენებელი მაქსიმალურია (99%-ზე მაღალი). ამ ქვეყანაში საშვილოსნოს ყელის კიბოს მაღალი გადარჩენის მაჩვენებელი სკრინინგულ პროგრამას და კიბოს ადრეულ დიაგნოსტიკას უკავშირდება. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის მიზნობრივი პოპულაციის ასაკის ქვედა ზღვარი ინგლისში ორჯერ შეიცვალა: 2004 წლამდე სკრინინგზე არ იყვნენ მიწვეული 25 წლის და უფრო ნაკლები ასაკის ქალები, ხოლო 2012 წელს კი სკრინინგზე მოსაწვევები ექვსი თვით ახალგაზრდა (24.5 წლის ასაკისთვის) ქალებს გაეგზავნათ. ამავდროულად, აღინიშნა სკრინინგით გამოვლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების მკვეთრი ზრდა. ინგლისში 2006-2016 წლებში, 20-29 წლის ასაკში დადგენილ საშვილოსნოს ყელის ინვაზიურ კიბოზე მეთვალყურეობა გაგრძელდა 2018 წლის ბოლომდე.

Castanon A-მა და სხვებმა შეაფასეს 8 წლიანი საერთო გადარჩენა კიბოს სტადიის და სკრინინგის პირველი მოწვევისას ბენეფიციართა ასაკის მიხედვით. შეფასებამ აჩვენა, რომ ინგლისში, 20-29 წლის ასაკში დიაგნოსტირებული ქალების საშვილოსნოს ყელის კიბოს IA სტადიის ($n=1905$) საერთო და ფარდობითი გადარჩენა მაქსიმალური იყო და, შესაბამისად, შეადგენდა 99.8%-ს (95%CI=99.4-99.9) და 100%-ს (95%CI=99.7-100.1). საშვილოსნოს ყელის კიბოს IB სტადიის ($n=1101$) საერთო გადარჩენა 90.4% (95%CI=88.3-92.2) იყო. IB სტადიისას გადარჩენა 20-24 წლის ასაკში დიაგნოსტირებულ ქალებს უფრო დაბალი ჰქონდათ 25-29 წლის ასაკში დიაგნოსტირებულებთან შედარებით (p მნიშვნელობა <0.0001), მაგრამ სკრინინგზე პირველი მოწვევის ასაკის მიხედვით განსხვავება გადარჩენის თვალსაზრისით არ შეინიშნებოდა (p მნიშვნელობა = 0.86). II სტადიის (65.5%, 95%CI=60.2-72.0) და III+ სტადიის (36.6%, 95%CI=28.4-44.7) საერთო გადარჩენა შედარებით დაბალი იყო (73).

ონკოლოგიურ დაავადებათა გადარჩენის მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მკურნალობის სტანდარტულ მეთოდებთან. ამერიკული და ევროპული გაიდლაინების თანახმად, ღია ოპერაცია, ლაპაროსკოპიული და რობოტული ქირურგია რადიკალური ჰისტერექტომიის ძირითად სამკურნალო მიდგომებს წარმოადგენენ საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე პაციენტებში. Trifanescu OG-ს და სხვათა მიერ რუმინეთში ჩატარებულ კვლევაში გაანალიზებულია კიბოს გრძელვადიანი შედეგები საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე პაციენტებში, რომლებმაც მულტიმოდალური მკურნალობა გაიარეს, მათ შორის რადიოთერაპია (±ქიმიოთერაპია) და რობოტული ქირურგია. რეტროსპექტულად გაანალიზებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული 56 პაციენტის სამედიცინო ისტორია, რომელთაც რობოტული ჰისტერექტომია და რადიოთერაპია ±ქიმიოთერაპია ჩაუტარდათ. საშუალო ასაკი დიაგნოზის დასმის მომენტში 50.5 წელი იყო (დიაპაზონი: 23-70 წელი). თერთმეტ პაციენტს (19.6%) დიაგნოზი დაავადების ადრეულ სტადიაზე (IB-IIA) დაესვა, ხოლო 80.4%-ს გვიან სტადიაზე (IIB-IVA). დაკვირვების საშუალო პერიოდის - 60 თვის შემდეგ (დიაპაზონი: 6-105 თვე) 8 პაციენტს

(14,2%) აღენიშნებოდა ადგილობრივი რეციდივი ან შორეული მეტასტაზები. 2 წლიანი დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენა (DFS) 92% იყო, ხოლო 3 და 5 წლიანი - 84%. პაციენტებში, რომლებმაც რობოტული ქირურგია გაიარეს 2, 3 და 5 წლიანი საერთო გადარჩენის (OS) მაჩვენებლებმა შესაბამისად 91%, 78% და 73% შეადგინა, საშუალო OS არ იყო მიღწეული. OS უფრო დაბალი იყო ღია ოპერაციის ჯგუფში (2, 3 და 5 წელში, შესაბამისად 87%, 71% და 61%; საშუალო OS 72 თვე იყო (p მნიშვნელობა = 0.054). პაციენტების შედეგების მულტივარიაციულმა ანალიზმა გამოავლინა გადარჩენის უპირატესობა ადრეული სტადიისთვის შორსწასულთან შედარებით (p მნიშვნელობა = 0.014) და 3 წლიანი DFS-ის 10%-ით გაზრდა იმ პაციენტებისთვის, რომელმაც ქიმიო-რადიოთერაპია ჰქონდათ დანიშნული (3-წლიანი DFS 75%-დან 85%-მდე). რობოტულ ქირურგიას ხელსაყრელი ონკოლოგიური შედეგის მოტანა შეუძლია, როდესაც მულტიმოდალურ თერაპიასთან არის დაკავშირებული (284).

2011-2015 წლებში ავსტრალიაში, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე ქალების 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 73.5%-ს შეადგენდა. 20-69 წლის ასაკის სკრინინგის სამიზნე პოპულაციისთვის 5-წლიანი ფარდობითი გადარჩენა 78.9% იყო. საშვილოსნოს ყელის კიბოს 5-წლიანი გადარჩენა ასაკთან ერთად მცირდება: 25-29 წლის ქალებს ყველაზე მაღალი გადარჩენა ჰქონდათ - 91.9%, მაშინ, როდესაც 75 წლის და უფროსი ასაკის საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე ქალების 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლები იყო. 1991 წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნა ორგანიზებული სკრინინგის დანერგვის შემდეგ, ამასთან, ყველაზე დიდ შემცირებას ადგილი ჰქონდა ხანდაზმულ ქალებში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 2002-2011 წლებში. 2002 წელს 20-69 წლის ასაკის ქალთა სიკვდილიანობა შემცირდა ისტორიულ მინიმუმამდე - 2 ახალ შემთხვევამდე 100 000 ქალზე (იმავე წელს, როცა ავადობამ მაქსიმუმს მიაღწია) და მას შემდეგ სტაბილურად ამ დონეზე რჩება (332).

პოლონეთში Basta T-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასება. CC-ს მკურნალობის სისტემის შეფასება და CC-ს მქონე პოლონელი ქალების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომელიც 70%-ით აღემატება ევროკავშირის (EU) ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, ასევე ის ფაქტი, რომ პოლონეთის ჯანდაცვის სისტემაში დანერგილი საშვილოსნოს ყელის კიბოს მართვის რეკომენდაციები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება არაევროპული გაიდლაინებისგან, ადასტურებს მოსაზრებას, რომ CC-ს მკურნალობა ქვეყანაში სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო გაიდლაინებს. ჩატარდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული იმ 1247 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერების მიმოხილვითი რეტროსპექტული მულტიცენტრული ანალიზი, რომლებმაც დაავადების მკურნალობა და მინიმუმ ორწლიანი შემდგომი მეთვალყურეობა გაიარეს. საშვილოსნოს ყელის IA-დან II-მდე სტადიის კიბოთი დაავადებულ პაციენტთა ჯგუფს მკურნალობა უტარდებოდა ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების (ASCO) გაიდლაინების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერებული და მაქსიმალური რესურსების პირობებში ერთდროული სხივური და მედიკამენტური თერაპია საშვილოსნოს ყელის კიბოს

IB-დან IVA-მდე სტადიის მქონე პაციენტების სტანდარტულ მკურნალობას წარმოადგენს, ჩატარებული ანალიზით დადგინდა, რომ ქალების პროცენტი, რომელთაც მედიკამენტური თერაპია ჰქონდათ გავლილი, უფრო დაბალი იყო, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც საერთო გადარჩენის მაჩვენებლები უფრო დაბალია. მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ პოლონეთში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამაში არსებულ დეფექტებთან ერთად, შეიძლება, დაავადების მართვის არასტანდარტული მეთოდების გამოყენება იყოს (37).

Farahat FM-ს და სხვათა მიერ ჩატარებულმა კაპლან-მაიერის ანალიზმა, რომლის მიზანი დასავლეთ საუდის არაბეთის მესამეული ზრუნვის სასწავლო ჰოსპიტალში რეგისტრირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შეფასება იყო, უჩვენა, რომ საერთო გადარჩენის მაჩვენებელი 81,5%-ს შეადგენდა. მეფე აბდულაზიზის სახელობის სამედიცინო ცენტრში (ჯიდა, საუდის არაბეთი) საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტების სამედიცინო ჩანაწერების რეტროსპექტული მიმოხილვის დროს შეგროვდა მონაცემები დემოგრაფიული მახასიათებლების, ჰისტოლოგიური ტიპების და სტადიის, მკურნალობის მოდალობებისა და დაავადების გამოსავლების შესახებ. კვლევის შედეგების თანახმად, 2002 - 2018 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბო დიაგნოსტირებული ჰქონდა 89 პაციენტს. ანამნეზში პაპ-ნაცხი დაფიქსირებული იყო 31 შემთხვევაში (34,8%). ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ყველაზე ხშირი ჰისტოპათოლოგიური ქვეტიპი იყო. პაციენტების თითქმის მესამედი (29,2%) დიაგნოზის დასმის მომენტში III ან IV სტადიაზე იმყოფებოდა. მკურნალობის ყველაზე ხშირი რეჟიმი კომბინირებული სხივური და ქიმიოთერაპია იყო. საშვილოსნოს ყელის კიბოს ეფექტური სკრინინგის პროგრამის არარსებობა ზრდის გვიანი დიაგნოსტიკის, გართულებებისა და სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლების ალბათობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს კიბოს სკრინინგზე, აპვ ინფექციების სკრინინგსა და აღრიცხვაზე და HPV-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის ღონისძიებების მხარდაჭერაზე (116).

საშვილოსნოს ყელის კიბო (CC) განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანდაცვის უდიდესი პრობლემაა დაავადების მაღალი ტვირთის და სიკვდილიანობის გამო. ეთიოპიაში ქალებს შორის საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაზიანებების საერთო პრევალენტობამ 9,4% შეადგინა, რაც დაკავშირებული იყო მრავლობითი სქესობრივი პარტნიორის ყოლასთან და ანამნეზში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების არსებობასთან (285). ბრაზილიაში, ისევე, როგორც ადამიანის განვითარების დაბალი ინდექსის მქონე სხვა რეგიონებში, ვლინდება ავადობის მაღალი მაჩვენებლები და ამ დაავადების ზრდის ტენდენცია. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიაში (რესიფში) საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის შეფასების მიზნით ჩატარებულ ეკოლოგიური კვლევაში შესწავლილი იყო 2000-2012 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები. დადგინდა, რომ კიბოს ამ ფორმით სიკვდილის რისკი მაღალი იყო 60 წელზე უფროსი ასაკის ქალებში, კანის შერეული ფერის მქონე (53,2%) პაციენტებში, ასევე დიასახლისებში (63,2%) და მათში, ვისაც არ ჰყავდა სქესობრივი პარტნიორი (44,3%). იმის გათვალისწინებით, რომ საშვილოსნოს

ყელის კიბოს სიკვდილიანობის თავიდან აცილება შესაძლებელია დაავადების ადრეული დიაგნოსტიკით, საჭიროა, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში იზრუნონ ადრეული გამოვლენისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერისთვის (105).

ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონი მეორე ადგილს იკავებს საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობით (20.5 ახალი შემთხვევა 100,000 ქალზე). ამ რეგიონში სიკვდილიანობის მაჩვენებლები მსგავსია იმ ქვეყნების მაჩვენებლებისა, რომელთაც სკრინინგის პროგრამაზე უნივერსალური წვდომა არ გააჩნიათ. Karina Cardoso Meira-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეულ სიკვდილიანობაზე ასაკისა და დაბადების კოჰორტის გავლენის ანალიზს. გაანალიზებულ პერიოდში (1980-2014) სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი 100, 000 ქალზე 10.35 იყო. შეინიშნებოდა სიკვდილიანობის რისკის შემცირება 1950-იანი წლების შემდეგ დაბადებულ ქალთა კოჰორტებში, მარანჰაოს შტატის გამოკლებით, სადაც აღინიშნა სიკვდილიანობის რისკის ზრდის ტენდენცია ახალგაზრდა თაობაში. აღმოჩნდა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატებში უცვლელი რჩება დროთა განმავლობაში. უცვლელი დარჩა 2000-იან წლებში ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შემდეგაც კი, რაც ასოცირდება კიბოს მოვლის ქსელზე გაზრდილ ხელმისაწვდომობასთან, რომელიც მოიცავს ადრეულ გამოვლენას (პაპ ტესტი), საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობას და პალიატიურ მზრუნველობას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1960-იანი წლების შემდეგ დაბადებულ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილის რისკის და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება შეიძლება კორელაციაში იყოს სკრინინგით მოცვის გაზრდასთან, ისევე როგორც ახალგაზრდა ქალებში კიბოს მკურნალობის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან (193).

მოგვიანებით, Nascimento MI-ს და სხვებმა ბრაზილიაში და მის მაკრორეგიონებში შეაფასეს საშვილოსნოს ყელის კიბოსთან დაკავშირებულ ნაადრევი სიკვდილიანობის (30-69) ტენდენციები დროის სერიების ანალიზის (time series analysis) გამოყენებით. 1998-2018 წლებში ბრაზილიაში საშვილოსნოს ყელის კიბოსგან 30-დან 69 წლამდე ასაკის 119,000-ზე მეტი ქალი მოკვდა. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა ჩრდილოეთის რეგიონში (>20 100,000-ზე). რეგრესიულმა ანალიზმა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (1998-2006) საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის ცვალებადი ტენდენციის პროგრესული ზრდა აჩვენა, როგორც მთელ ბრაზილიაში (კოეფიციენტი = 0,513; 95%CI=0,430 - 0,596), ასევე მის სამხრეთ-აღმოსავლეთ (კოეფიციენტი = 0,515; 95% CI=0,358 - 0,674), სამხრეთ (კოეფიციენტი = 0,925; 95%CI=0,642 - 1,208) და შუა დასავლეთ რეგიონებში (კოეფიციენტი = 0,590; 95%CI=0,103 - 1,077). ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში გამოვლინდა სასიკეთო ტენდენციები (-0,635; 95%CI=1,177-0,092) ნაადრევი სიკვდილიანობის ცვალებადი ტენდენციის პროგრესული შემცირებით (კოეფიციენტი = -0,151; 95%CI =0,221-დან - 0.007-მდე). კვლევამ დაადასტურა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის მაჩვენებლები მაღალია და ტენდენციები მეტწილად არასახარბიელო ბრაზილიასა და მის მაკრორეგიონებში (202).

სხვა მრავალი კვლევის მსგავსად, ტაივანში ჩატარებული კვლევაც ადასტურებს, რომ დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპლექსური მკურნალობის დაწყებას შორის ხანგრძლივი ინტერვალი ასოცირდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული პაციენტების უფრო არაკეთილსაიმედო პროგნოზთან (44, 79, 118, 200, 210, 212, 213, 248, 263, 308). ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის სიმარტივისა და მთავრობის მიერ კიბოთი დაავადებულთა სრული დაფინანსების მიუხედავად, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე ტაივანელი პაციენტების გარკვეულ ნაწილში მკურნალობა ფერხდება. Chen CP-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო დიაგნოზის დასმიდან მკურნალობის დაწყებამდე გასული დროის პერიოდსა და გადარჩენას შორის ურთიერთკავშირის შესწავლა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში. ტაივანში პოპულაციაზე დაფუძნებულ რეტროსპექტულ ობსერვაციულ კვლევაში, რომელიც 2004-2010 წლებში ჩატარდა, ჩართული იყო 9693 პაციენტი (80.6%). პაციენტების უმეტესობას მკურნალობა ჩაუტარდა დიაგნოზის დასმიდან 90 დღის განმავლობაში ($n=9341$, 96.4%). სხვა ცვლადების მიხედვით სტრატეგიკაციის შემდეგ პაციენტებს, რომლებმაც მკურნალობა მიიღეს დიაგნოზის დასმიდან 90-180 დღის ფარგლებში და 180-ზე მეტი დღის შემდეგ, სიკვდილის რისკი 1.33-ჯერ (95%CI=1.02-1.72, p მნიშვნელობა <0.05) და 1.36-ჯერ (95%CI=1.12-1.65, p მნიშვნელობა <0.05) მაღალი ჰქონდათ შესაბამისად, ვიდრე მათ, რომლებმაც მკურნალობა 90 დღის განმავლობაში მიიღეს. მიღებული შედეგები კაპლან-მაიერის ანალიზმაც დაადასტურა. დიაგნოსტიკასა და მკურნალობას შორის ხანგრძლივი ინტერვალი საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული პაციენტების არაკეთილსაიმედო პროგნოზთან ასოცირდება (79).

საშვილოსნოს ყელის კიბო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადება და ქალთა სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია ირანში. Asadi F. და სხვათა მიერ ჩატარებულ ჯვარედინ-სექციურ კვლევაში, რომლის მიზანს საშვილოსნოს ყელის კიბოს პროგნოზისა და მისი მნიშვნელოვანი პრედიქტორების შეფასება შეადგენდა. გაანალიზდა იმ 145 პაციენტის მონაცემი 23 ნიშნით, რომლებმაც 2017-2018 წლებში მიმართეს თეირანის შოჰდას საავადმყოფოს. კვლევის შედეგების მიხედვით მნიშვნელოვან პრედიქტორებს შეადგენდა ჯანმრთელობის პრობლემები (თანმხლები დაავადებები), ოჯახური და სოციალური მდგომარეობა, გამოყენებული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების დოზა, განათლების დონე და საკეისრო კვეთის რაოდენობა. კვლევამ დაადასტურა, რომ ალგორითმების გამოყენება შესაძლებელია ყველაზე რელევანტური პრედიქტორების დასადგენად. ასევე, პაციენტების ჯანმრთელობის და პირადი სოციალურ-კულტურული დონის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციას (31).

ორსულობასთან ასოცირებული კიბოს (Pregnancy-associated cancer, PAC) გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასების მიზნით ტაივანის კიბოს რეგისტრიდან შერჩეული იყვნენ კიბოთი დაავადებული ქალები, რომლებსაც დიაგნოზი 2001-2015 წლებში 16-49 წლის ასაკში დაუდგინდათ. PAC განისაზღვრება, როგორც კიბო, რომელიც დიაგნოსტიკდება ორსულობის პერიოდში ან მშობიარობიდან პირველ წელს და ყოველი 1000-დან 1-2 ორსულში ვლინდება. PAC-ის მქონე პაციენტების საერთო გადარჩენა შედარდა არა ორსული პაციენტების საერთო გადარჩენასთან. შვილოსნობის ასაკის კიბოთი დაავ-

ვადებული 126 646 ქალი პაციენტიდან 512-ს დიაგნოზი დაესვა ორსულობის დროს, ხოლო 2151-ს მშობიარობიდან პირველი წლის განმავლობაში. ორსულობის პერიოდში და მშობიარობიდან პირველი წლის განმავლობაში დიაგნოსტირებული კიბოს მქონე პაციენტებს ძირითადად უფრო გვიანი სტადიები აღენიშნებოდათ (შესაძლებლობის თანაფარდობა (OR) 1.35 და 1.36, 95%CI= 1.02-1.77 და 1.18-1.57 შესაბამისად). მშობიარობის შემდეგ პირველი წლის განმავლობაში საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტებს უკეთესი პროგნოზი ჰქონდათ ორსულობის პერიოდში დიაგნოსტირებულთან შედარებით (HR=0.40, 95%CI=0.20-0.82) (180).

2.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება ჰისტოლოგიურ ტიპებსა და ბიოლოგიურ მახასიათებლებზე

ჩინეთში Yuan Z-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს და საშვილოსნოს ყელის ადენოსარკომის მქონე პაციენტების მახასიათებლებისა და ონკოლოგიური შედეგების შეფასება. 2006-2019 წლებში პეკინის კავშირის სამედიცინო კოლეჯის საავადმყოფოში რეტროსპექტულად განხილული იყო საშვილოსნოს ყელისა და საშვილოსნოს ადენოკარცინომის შესაბამისად 21 და 32 შემთხვევა. დაკვირვების საშუალო დრომ 37.5 თვე შეადგინა (დიაპაზონი, 1-153 თვე). დაავადების პროგრესირების მაჩვენებელი (DPR) საშვილოსნოს ადენოკარცინომის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნად მაღალი იყო საშვილოსნოს ყელის ადენოკარცინომის მქონე პაციენტებთან შედარებით (28.1% და 4.8% შესაბამისად). დაავადების პროგრესირების გადარჩენის მრუდი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ნაყოფიერების შემანარჩუნებელი ოპერაცია (FSS) ჩატარდა საშვილოსნოს ყელის ადენოკარცინომის მქონე 4 პაციენტს და საშვილოსნოს ადენოკარცინომის მქონე 5 პაციენტს. ადრე ჩატარებული კვლევების შედეგების მსგავსად, საშვილოსნოს ადენოკარცინომის მქონე პაციენტთა DPR შედარებით მაღალი იყო საშვილოსნოს ყელის ადენოსარკომის მქონე პაციენტებთან შედარებით (323).

საშვილოსნოს ყელის კარცინომის მეტასტაზირება დაკავშირებულია დაავადების ლიმფო-ვასკულურ გავრცელებასთან. Yan W-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი მიზანი იყო ლიმფოვასკულურ სივრცეში ინვაზიის (LVSI) პროგნოზული ღირებულების განსაზღვრა საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული სტადიის მქონე პაციენტებში ქალაქ ჟილინში (ჩინეთი). ამ რეტროსპექტულ კოჰორტულ კვლევაში ჩართული იყვნენ საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული სტადიის (IB-IIA სტადია) მქონე პაციენტები, რომლებმაც ჟილინის უნივერსიტეტის კლინიკაში 2014-2016 წლებში გაიარეს მკურნალობა. კვლევაში, სადაც ყველა მონაწილეს ჩატარებული ჰქონდა რადიკალური ჰისტერექტომია მენჯის ლიმფადენექტომიით, ძირითადი გამოსავალი საერთო გადარჩენა და პროგრესირებისგან თავისუფალი გადარჩენა (PFS) იყო. პაციენტის გადარჩენის შესაფასებლად გამოიყენეს კაპლან-მაიერის მრუდები, ხოლო პროგნოზის რისკის ფაქტორები შეფასდა კოქსის რეგრესიული სტატისტიკური ანალიზის მეთოდით. კვლევამ აჩვენა, რომ LVSI-ის ინციდენტობა დადებითად იყო დაკავშირებული სტრომალური ინვაზიის სიღრმესთან (p მნიშვნელობა=0.009) და ლიმფური კვანძების მეტასტაზებთან (LNM, p მნიშვნელობა <0.001). LVSI დამოუკიდებელი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს

როგორც საერთო გადარჩენაზე (p მნიშვნელობა=0.009), ასევე პროგრესირებისგან თავისუფალ გადარჩენაზე (p მნიშვნელობა=0.006) საშვილოსნოს ყელის ადრეული სტადიის მქონე პაციენტებში. LNM სტატუსი დამოუკიდებელი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ოპერაციის შემდგომ საერთო გადარჩენაზე (p მნიშვნელობა=0.005) (320).

ენდოცერვიკალური ადენოკარცინომის საერთაშორისო კრიტერიუმები და კლასიფიკაცია (IECC) კატეგორიზაციას ახდენს ეტიოლოგიასთან დაკავშირებული მორფოლოგიური მახასიათებლების საფუძველზე, რაც აპვ-სთან დაკავშირებულ და არადაკავშირებულ ენდოცერვიკალური ადენოკარცინომების ტიპებად დაყოფას გამოიწვევს. არსებული გამოცდილებით, აპვ-არადაკავშირებულ ადენოკარცინომებს დიდი ზომა და მაღალი სტადია ახასიათებთ ხანდაზმულ პირებში. Stolnicu S-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო სიმსივნის ამ ტიპების კლინიკური გამოსავლების შესწავლა. გლობალურად 7 სამედიცინო დაწესებულებიდან შეგროვდა ენდოცერვიკალური ადენოკარცინომის 205 შემთხვევის სლაიდის სრული ნაკრები და კლასიფიცირდა აპვ-სტატუსის საფუძველზე. საერთო გადარჩენის, დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენის და პროგრესირებისგან თავისუფალი გადარჩენის სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა კაპლან-მაიერის მრუდების და კოქსის რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. გადარჩენის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო აპვ-დამოკიდებული ადენოკარცინომის შემთხვევაში, მათ შორის, პაციენტებში, რომლებსაც ქირურგიული ჩარევა და შემდგომი თანმხლები თერაპია ჩატარდათ. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნებოდა ტენდენციები აპვ-დამოკიდებული კიბოს გამოსავლების სასარგებლოდ, ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო ზოგიერთ კატეგორიებში. როგორც აპვ-დამოკიდებული, ისე აპვ-დამოუკიდებული ადენოკარცინომის გადარჩენა მსგავსი იყო ქირურგიული ჩარევის გამოყენებისას ადიუვანტური თერაპიის გარეშე. მულტივარიაციულმა ანალიზმა უჩვენა აპვ-დამოკიდებული ადენოკარცინომის სტადიის მნიშვნელოვანი სტატისტიკური კავშირები საერთო გადარჩენასა და დაავადებისგან თავისუფალ გადარჩენას შორის (p მნიშვნელობა=0.07 და 0.06, შესაბამისად), ინვაზიის მახასიათებლებსა და საერთო გადარჩენას შორის (p მნიშვნელობა=0.09). ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა აპვ-დამოუკიდებულ ადენოკარცინომას საერთო გადარჩენასა და ასაკს (p მნიშვნელობა=0.03), სტადიასა (p მნიშვნელობა = 0.02) და სიმსივნის ზომას შორის (p მნიშვნელობა=0.002) და, აგრეთვე, დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენა კორელაციაში იყო დაავადების სტადიასა (p მნიშვნელობა=0.004) და სიმსივნის ზომასთან (p მნიშვნელობა=0.004). მულტივარიაციულმა ანალიზმა, რომელშიც ჩართული იყო აპვ-დამოკიდებული და აპვ-დამოუკიდებული შემთხვევები, გამოავლინა საერთო გადარჩენის თითქმის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები აპვ სტატუსსა და სტადიას შორის (ორივე შემთხვევაში p მნიშვნელობა=0.06). დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენისთვის სტადია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი იყო (p მნიშვნელობა= 0.04), ხოლო აპვ-სტატუსი და სიმსივნის ზომა - სტატისტიკურად თითქმის მნიშვნელოვანი (p მნიშვნელობა=0.06 და 0.07, შესაბამისად) (269).

საშვილოსნოს ყელის ბრტყელუჯრედოვანი ინტრაეპითელური დაზიანებების იმუნოჰისტოქიმიური შედეგა შესაძლოა გამოყენებული იყოს პაციენტთა დაბალი ან მა-

ღალი რისკის ჯგუფებად სტრატეგიკაციის და CIN2(+)-ის პროგრესირების/რეციდივის შეფასების მიზნით. Charoonwatana T-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო შეეფასებინათ კავშირი საშვილოსნოს ყელის ბრტყელუჯრედოვან ინტრაეპითელური დაზიანებების p16-ის იმუნოჰისტოქიმიურ (p16-IHC) შეღებვასა და საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის CIN1-დან CIN2(+)-მდე პროგრესირებას ან CIN2(+)-ის რეციდივს შორის. ჩატარდა ბრტყელუჯრედოვანი ინტრაეპითელური დაზიანებების 2013-2017 წლებში დიაგნოსტირებულ პაციენტთა რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა. კვლევაში ჩართული 187 ქალიდან - 91 შემთხვევა იყო p16-IHC დადებითი და 96 - უარყოფითი შეღებვით. 22-თვიანი დაკვირვების შემდეგ, დადებითი p16-IHC-ის მქონე ქალებს მნიშვნელოვნად დაბალი ერთწლიანი ინტერვალი (DFI) ჰქონდათ უარყოფითი p16-IHC-ს მქონე ქალებთან შედარებით (86.8% და 96.6% შესაბამისად, p მნიშვნელობა=0.006). CIN1-ის მქონე ქალების 22.6%-ს და CIN2-3-ის მქონეთა 86.7%-ს დადებითი p16-IHC აღნიშნებოდათ. მულტივარიაციული ანალიზის შედეგების თანახმად, დადებითი p16-IHC და 35 წელზე უფროსი ასაკი CIN2(+)-ის პროგრესირების/რეციდივის მნიშვნელოვანი პროგნოზული ფაქტორები იყო (კორექტირებული HR=5.33, 95%CI=1.77-16.01, p მნიშვნელობა=0.003; და კორექტირებული HR=5.80, 95%CI=1.34-25.08, p მნიშვნელობა=0.019, შესაბამისად). ქვეჯგუფის ანალიზიდან გამომდინარე, დადებითი p16-IHC მნიშვნელოვანი პროგნოზული ფაქტორი აღმოჩნდა საწყისი CIN1-ის მქონე ქალებში (HR=5.29, 95%CI=1.18-23.76, p მნიშვნელობა=0.030), მაგრამ არ იყო დაკავშირებული პროგნოზთან საწყისი CIN2-3-ის მქონე ქალებში (HR=2.13, 95%CI=0.28-16.38, p მნიშვნელობა=0.468) (78).

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ახლად დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე პაციენტების გადარჩენა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. 203 პაციენტის მონაცემების გამოყენებით ჩატარდა იმ გენების იდენტიფიცირებისკენ მიმართული გენეტიკური კვლევები, რომლებსაც შეეძლოთ გავლენის მოხდენა საშვილოსნოს ყელის ყველაზე გავრცელებული ქვეტიპის - ბრტყელუჯრედოვანი კიბოს (SCCC) გადარჩენაზე. ანალიზებმა მაღალი რისკის მქონე 42 გენი გამოავლინა. მულტივარიაციული ანალიზის შედეგების მიხედვით, სიკვდილიანობის მნიშვნელოვან პრედიქტორებს მიეკუთვნებოდა მაღალი ტრანსკრიპტორული რისკის ქულა (TRS, HR=44.8), IV სტადია (HR=28.1), ინტერმედიალური TRS (HR=4.75) და ლიმფური კვანძების დადებითი სტატუსი (HR=2.92). ადრეულ სტადიაზე მყოფი პაციენტების დაახლოებით 18% იდენტიფიცირებული იყო, როგორც ცუდი პროგნოზის მქონე ქვეჯგუფი მაღალი TRS-ის არსებობის გამო. ბრტყელუჯრედოვანი კიბოს მქონე პაციენტებში ტრანსკრიპტომული რისკი, როგორც ჩანს, უკეთესი გადარჩენის პროგნოზია, ვიდრე კლინიკური პროგნოზული ფაქტორები, როგორცაა კიბოს სტადია და ლიმფური კვანძების დადებითი სტატუსი (294).

Ng SC-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო შეეფასებინათ შესაძლო კორელაცია მატრიქსული მეტალოპროტეინაზა-11 (MMP-11) გენის პოლიმორფიზმებს, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას, კლინიკო-პათოლოგიურ მახასიათებლებს, და ასევე, პაციენტების გადარჩენას შორის. კვლევაში ჩართული იყო ინვაზიური კიბოს დიაგნოზის მქონე 130 პაციენტი, საშვილოსნოს ყელის მაღალი ხარისხის ცერვიკალური ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN) მქონე 99 პაციენტი და 335 კიბოს არმქონე საკო-

ნტროლო პირი. ასაკის მიხედვით სტრატეგიკაციისას შედეგებმა გამოავლინა MMP-11 გენის მნიშვნელოვნად განსხვავებული განაწილების ტენდენცია საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს მქონე პაციენტებსა და ჯანმრთელ საკონტროლო ქალებს შორის. ($p=0.044$, $AOR=0,63$, $95\%CI=0.41-0.99$). ამასთან, მენჯის ღრუს ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების არსებობისას მეტასტაზების არმქონე პაციენტებთან შედარებით უფრო მძიმე რეციდივისგან თავისუფალი გადარჩენა ($p=0.033$; $HR=2.83$, $95\%CI=1.09-7.35$) და უკეთესი საერთო გადარჩენა ($p=0,001$; $HR=4.80$, $95\%CI=1.82-12.62$) გამოვლინდა. საბოლოოდ, ეს მიუთითებს, რომ მატრიქსული მეტალოპროტეინაზა-11 გენის პოლიმორფიზმები გავლენას არ ახდენს ტაივანელი ქალების საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენაზე (207).

ბანგლადეშში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოს დაავადების მზარდი ტვირთი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა დაავადების ეპიდემიოლოგიასთან, ავთვისებიანობასთან და მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებული რამდენიმე კვლევა, ბანგლადეშში საშვილოსნოს ყელის კიბოში მარკერული გენების მუტაციური პროფილები ჯერ კიდევ შეუსწავლელი რჩება. Sharmin S-ს და სხვათა მიერ ჩატარებულ კვლევაში, ბანგლადეშელ პაციენტებში მუტაციების სიხშირის შესწავლისთვის, კიბოს მონაცემთა ბაზაში შერჩეული იყო ხუთი სხვადასხვა გენომური რეგიონი 3 გენის (EGFR, KRAS და PIK3CA) ფარგლებში, რომლებსაც ყველაზე ხშირად ახასიათებთ მუტაცია და გადამწყვეტი როლი აქვთ საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ბანგლადეშელ პაციენტებში დაფიქსირებული მუტაციების სიხშირე (KRAS-ს მუტაციის სიხშირის გარდა) უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნაწილებში. აღნიშნული კვლევა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ბანგლადეშში საშვილოსნოს ყელის კიბოს მუტაციის მონაცემთა ბაზის შექმნის საფუძველი (250).

Seebacher V-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო გლაზგოს პროგნოზული შკალის (GPS) ღირებულების შეფასება საშვილოსნოს ყელის მორეციდივე კიბოს მქონე პაციენტებში პოსტ-რეციდივული გადარჩენის (PRS) პროგნოზირების მიზნით. რეტროსპექტულად შეფასდა საშვილოსნოს ყელის მორეციდივე კიბოს მქონე 116 პაციენტის მონაცემები, რომელთა სეროლოგიური ბიომარკერები ფასდებოდა რეციდივის დროს. ფაქტორებს შორის კავშირის შესაფასებლად, მათ შორის GPS-სა და PRS-ს შორის, ჩატარდა გადარჩენის უნი- და მულტივარიაციული ანალიზი. რეციდივიდან 20.9-თვიანი დაკვირვების მედიანის შემდეგ 5-წლიანი PRS მაჩვენებელი 25% აღმოჩნდა ($SE=4.7\%$). პაციენტების 29.8%-ში რეციდივი მხოლოდ მენჯით შემოიფარგლა. გადარჩენის უნი- და მულტივარიაციულ ანალიზებში, GPS ($HR=1.6$, $95\%CI=0.9-2.4$, $p=0.01$), ანამნეზში სხივური თერაპია, როგორც საწყისი მკურნალობის ნაწილი ($HR=2.7$, $95\%CI=1.1-6.9$, $p=0.03$) და პერიტონეალური კარცინომატოზის ან რეციდივის მრავალი გამოვლინება ($HR=4.2$, $95\%CI=1.9-9.3$, $p<0.001$) უფრო ხანმოკლე PRS-თან იყო დაკავშირებული. GPS კორელირებდა ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის ანტიგენის მაღალ მაჩვენებლებთან ($p=0.001$), PRS-ის უფრო ხანმოკლე მედიანასთან ($p=0.01$) და რეციდივის ნაკლებად ინტენსიურ მკურნალობასთან ($p=0.02$). უფრო მაღალი GPS რეციდივის დროს, ანამნეზში სხივური თერაპია და პერიტონეალური კარცინომატოზის ან რეციდივის მრავალი გა-

მოვლინების არსებობა დამოუკიდებლად და დაკავშირებული უფრო მოკლე PRS-სთან საშვილოსნოს ყელის მორეციდივე კიბოს მქონე პაციენტებში (244).

ცნობილია, რომ კალიკრინ 5 (KLK5), რომელიც ხშირად ვლინდება ნორმალურ ცერვიკო-ვაგინალურ სითხეში, გავლენას ახდენს ზოგიერთი სოლიდური სიმსივნის პროგნოზზე. Chang JS-მა და სხვებმა შეაფასეს საშვილოსნოს ყელის კიბოსთვის KLK5-ის პროგნოზული მნიშვნელობა სიმსივნის ქსოვილის მიკროზონის და იმუნოჰისტოქიმიური შედეგების მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული 165 პაციენტის ნიმუშები, რომლებსაც ბოლო სხივური თერაპიის კურსი 2004-2012 წლებში ჩაუტარდათ. KLK5-ის აქტივობის მიხედვით პაციენტების სტრატეგიკაცია მოხდა ორ ჯგუფად: ნეგატიური/სუსტი (0-1 +, 120 პაციენტი) და საშუალო/ძლიერი (2-3+, 45 პაციენტი) ჯგუფი. პროგნოზული ფაქტორების დასადგენად ჩატარდა უნივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზი. მულტივარიაციული ანალიზით KLK5 2-3+ ექსპრესიის როლი დადასტურდა სიმსივნის ზომისა და სტადიის სხვა ცნობილი პროგნოზული ფაქტორების მიხედვით სტრატეგიკაციის შემდეგ. KLK5-ის ზეექსპრესია დაკავშირებულია საშვილოსნოს ყელის კიბოს აგრესიულობასთან და შეიძლება განაპირობებს ჩვეულებრივი მკურნალობის მეთოდებზე დაქვეითებულ რეაქციას. შესაბამისად, KLK5 შეიძლება საიმედო პროგნოზული ფაქტორი იყოს საშვილოსნოს ყელის კიბოს დროს (77).

Xu Y-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში აპე-16 და მე-18-ის პროგნოზული მნიშვნელობის შეფასება. ჩატარდა მეტაანალიზი პროგრესირებისგან თავისუფალი გადარჩენის (PFS), დაავადებისგან თავისუფალი გადარჩენისა (DFS) და საერთო გადარჩენის (OS) შესაფასებლად. მეტაანალიზმა, რომელშიც ჩართული იყო 13 კვლევა, აჩვენა, რომ აპე-16-ზე პოზიტიური პასუხი არანაირ გავლენას არ ახდენდა საერთო გადარჩენაზე (HR=0.76; 95%CI=0.37-1.54; p მნიშვნელობა=0.44). საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტებს, რომლებიც ინფიცირებული იყვნენ აპე-18-ით, უფრო დაბალი საერთო გადარჩენა (HR=1.66; 95%CI=1.28-2.17; P=0.0001), DFS (HR=2.10; 95%CI=1.73-2.54; p მნიშვნელობა<0.0001) და PFS (HR=2.97; 95%CI=1.69-5.23; p მნიშვნელობა=0.0001) გამოუვლინდათ იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც აპე-18-ით არ იყვნენ ინფიცირებულნი. დამატებით, აპე-18-ით ინფიცირებულ პაციენტებს აპე-16-ით ინფიცირებულებთან (HR=1.34; 95%CI=1.06-1.70; p მნიშვნელობა=0.01) შედარებით უარესი PFS ჰქონდათ. ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტებს, რომლებიც ინფიცირებული არიან აპე-18-ით, უფრო არაკეთილსაიმედო გადარჩენა აქვთ აპე-16-ით ინფიცირებულ პაციენტებთან შედარებით (317).

საშვილოსნოს ყელის კიბო გინეკოლოგიური კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რჩება, ამასთან, ადამიანის პაპილომა ვირუსით ინფიცირება დაავადების ყველაზე მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს წარმოადგენს. Kamal M-ს და სხვათა მიერ შეფასდა ვირუსულ ინტეგრაციას, კლინიკურ პარამეტრებსა და დაავადების გამოსავალს შორის კავშირი CC დიაგნოზის მქონე წარსულში ნამკურნალევ პაციენტებში. ეს იყო პირველი კვლევა, რომელიც CC კოჰორტაში პროსპექტულად აფასებდა

აპვ-ს ინტეგრაციის პროგნოზულ მნიშვნელობას. აპვ ინტეგრაციის მახასიათებლები ჰისტოლოგიურ ქვეტიპთან FIGO სტადიასთან ან მკურნალობასთან არ იყო დაკავშირებული. თუმცა, ვირუსული ინტეგრაციის ტიპი დამოკიდებული იყო აპვ გენოტიპზე (p მნიშვნელობა <0.0001). აპვ 18 და აპვ 45 ყოველთვის ინტეგრირებული იყო (165).

2.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება დაავადების სტადიაზე დიაგნოზის დასმის მომენტში

თანამედროვე კომპლექსური ეფექტური მკურნალობის არსებობის პირობებშიც კი, საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადია დიაგნოზის დასმისას კვლავაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადარჩენის მაჩვენებელზე. დიაგნოზის დადგენა გვიან სტადიაზე, სავარაუდოდ, ის ძირითადი ფაქტორია, რომელიც დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მაღალშემოსავლიანთან შედარებით, საერთო გადარჩენის დაბალ დონეს განაპირობებს (13, 47, 101, 144, 149, 173, 215, 216, 224, 226, 229, 266, 278).

Wright JD-მა და სხვებმა ჩატარებული კვლევისას შეისწავლეს გინეკოლოგიისა და მეანობის საერთაშორისო ფედერაციის (FIGO) მიერ 2018 წელს გადახედილი საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადირების სქემის პროგნოზული მოქმედება. 2004-2015 წლებში დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული ქალების გამოსავლენად გამოყენებული იყო კიბოს ეროვნული მონაცემთა ბაზა. კლინიკური და პათოლოგიური მონაცემების გამოყენებით თითოეული პაციენტის სტადია კლასიფიცირებული იყო სტადირების სამი სქემის საშუალებით: კიბოს ამერიკული გაერთიანებული კომიტეტის მე-7 გამოცემა, FIGO 2009 და FIGO 2018. FIGO 2018-ის მიხედვით IB სტადიის სიმსივნეები კლასიფიცირდება სამ ქვესტადიად სიმსივნის ზომის მიხედვით (IB1-IB3), ხოლო დადებითი ლიმფური კვანძების (პათოლოგიურად ან კლინიკურად დიაგნოსტირებული) მქონე პაციენტების მდგომარეობა კლასიფიცირდება როგორც IIIC1 (მენჯის დადებითი კვანძები) ან IIIC2 სტადია (დადებითი პარააორტული კვანძები). ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები შეფასდა თითოეული სტადიის ჯგუფისთვის. სულ გამოვლინდა 62212 ქალი. IB სტადიის სიმსივნეების სამ ქვესტადიად კლასიფიცირებამ გააუმჯობესა დიფერენცირების შესაძლებლობა. ხუთწლიანმა გადარჩენამ FIGO 2018 სქემაში შეადგინა 91.6% (95%CI=90.4-92.6%) IB1 სტადიის კიბოსთვის, 83.3% (95%CI=81.8-84.8%) IB2 სტადიის ახალწარმონაქმნებისთვის და 76.1% (95%CI=74.3-77.8%) IB3 სტადიისთვის. ამის საპირისპიროდ, III სტადიის კიბოს მქონე ქალების შემთხვევაში FIGO-ს უფრო მაღალი სტადია ყოველთვის არ იყო დაკავშირებული 5-წლიანი გადარჩენის უარეს მაჩვენებლებთან: IIIA სტადიამ (40.7%, 95%CI=37.1-44.3%), IIIB სტადიამ (41.4%; 95%CI=39.9-42.9%), IIIC1 სტადიამ (მენჯის დადებითი კვანძები) შეადგინა 60.8% (95%CI=58.7-62.8%), ხოლო IIIC2 სტადიამ - 37.5% (95%CI=33.3-41.7%) (314).

შეერთებულ შტატებში საშვილოსნოს ყელის კიბო ავადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვან მიზეზად რჩება. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება (19, 45, 145) კორელაცია ონკოლოგიურ დაწესებულებამდე მანძილსა და დიაგნოზის დადგენისას საშვილოსნოს ყელის კიბოს კლინიკურ სტადიას შორის. აღნიშნული კორელაციის შეფასების მიზნით ჩატარებულ კვლევაში ჩართული იყვნენ პირები, რომლებსაც 2004-2015

წლებში დაესვათ საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი. პირები, რომლებიც ონკოლოგიური დაწესებულებიდან 1000 მილის (1609,344 კმ) დაშორებით ცხოვრობდნენ, გამოირიცხნენ კვლევიდან. პაციენტები დაიყვნენ ორ ჯგუფად - ლოკალიზებული (1a-2a სტადია) და შორს წასული (2b-4b სტადია) სტადიის მქონენი. ჩატარდა უნივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზი. საკვლევ პირთა საშუალო ასაკი იყო 51.0 წელი, ქალების 16.9% შავკანიანი იყო, 14.7% - ესპანურენოვანი, 45.0%-ს კერძო დაზღვევა ჰქონდა, ხოლო 10.7% არ იყო დაზღვეული. ქალების 50.9%-ს დაავადების გვიანი სტადია ჰქონდა. მულტივარიაციული ანალიზის გზით არ დადასტურდა დადებითი კორელაცია სამედიცინო დაწესებულებამდე მანძილსა და დაავადების შორსწასულ სტადიას შორის: ყველაზე შორეულ კვარტალში და ახლოს მცხოვრებთათვის შანსების თანაფარდობა 0.73 იყო ($p < 0,001$). ხოლო ასაკი, რასა, შემოსავალი და დაზღვევის სტატუსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა შორს წასული დაავადების დადგენაზე. კვლევამ აჩვენა, რომ საცხოვრებლის ონკოლოგიური დაწესებულებიდან დაშორებამ შორსწასულ სტადიაზე დიაგნოსტიკის რისკის შემცირება გამოიწვია. თუმცა, მკვლევარები არ გამოირიცხავენ სხვადასხვა დამაბნეველი ფაქტორის მნიშვნელობას (267).

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის, დიაგნოზის დასმისას დაავადების სტადიის, ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მიხედვით ვლინდება რასობრივი და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები. Yu L-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო დიაგნოზის დასმისას საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიის საცხოვრებელ ადგილთან და რასობრივ/ეთნიკურ კუთვნილებასთან შესაძლო კავშირის შეფასება. გაანალიზდა აშშ-ს კიბოს ეროვნული ინსტიტუტის რეგისტრის (ეპიდემიოლოგიისა და საბოლოო შედეგების) ბაზებიდან მიღებული 2010-2014 წლის მონაცემები. თითოეული სტადიისთვის შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სიხშირე და ასაკსპეციფიკური ინციდენტობა საცხოვრებელი (აგრარული/ურბანული) ადგილის და რასობრივი/ეთნიკური კუთვნილების მიხედვით ოლქის დონეზე. შესწავლილი იყო 2010-2014 წლებში დადგენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს 59432 შემთხვევა. დიაგნოზის დასმისას ყველაზე ხშირი იყო ლოკალიზებული სტადია (ურბანულ ტერიტორიაზე 43,3%; სოფლებში 41,3%). საშვილოსნოს ყელის კიბოს ლოკალიზებული (RR=1.11; 95%CI=1.07-1.15), რეგიონული (RR=1.14; 95%CI=1.10-1.19) და შორეული (RR=1.12; 95%CI=1.05-1.19) სტადიის ინციდენტობა აგრარულ (სასოფლო) ტერიტორიაზე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ურბანულ ტერიტორიაზე. ესპანურენოვან და არაესპანურენოვან შავკანიან ქალებს რეგიონული და შორეული სტადიის საშვილოსნოს ყელის კიბოს უფრო მაღალი ინციდენტობა აღმოაჩნდათ, ვიდრე არაესპანურენოვან თეთრკანიან ქალებს. ნებისმიერი სტადიის ინციდენტობა არაესპანურენოვან თეთრკანიან ქალებში სოფლად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ურბანულ ტერიტორიაზე. ამასთან, ინციდენტობა არაესპანურენოვან თეთრკანიან ქალებში დაბალი იყო არაესპანურენოვან შავკანიან ან ესპანურენოვან ქალებთან შედარებით. ამასთან, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კავშირი ინციდენტობასთან ვარიირებდა რასობრივი/ეთნიკური კუთვნილების მიხედვით (324).

Matsuo K-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო პათოლოგიური პარამეტრული ინვაზიის პრედიქტორების შესწავლა საშვილოსნოს ყელის კიბოს IIB კლინიკუ-

რი სტადიისას და პროგნოზული ფაქტორების შესწავლა დაავადების IIB პათოლოგიური სტადიისას. აღნიშნული კვლევა ნაციონალური რეტროსპექტული კოჰორტის ანალიზს წარმოადგენდა, რომელიც შეისწავლიდა საშვილოსნოს ყელის IB-IIB კლინიკური სტადიის კიბოს 6003 შემთხვევას. გამოკვლეული იყვნენ დაავადების IB-IIB კლინიკური სტადიის მქონე ქალები, რომლებმაც პირველადი რადიკალური ჰისტერექტომია გაიარეს ლიმფადენექტომიით (n=714). ჩატარდა მულტივარიაციული ანალიზი. 400 ქირურგიულ ნიმუშში (56.0%, 95%CI=52.4-59.7) დადგინდა პარამეტრული ინვაზია. მულტივარიაციული ანალიზით გამოვლინდა, რომ ღრმა სტრომალური ინვაზია (კორექტირებული OR=3.92), მენჯის ლიმფურ კვანძებში მრავლობითი მეტასტაზები (კორექტირებული OR=3.27), ლიმფოვასკულარულ სივრცეში ინვაზია (კორექტირებული OR=2.33) და საშვილოსნოს სხეულის ინვაზია (კორექტირებული OR=1.66) პარამეტრული ინვაზიის დამოუკიდებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. ღრმა სტრომალური ინვაზიის და მენჯის ლიმფურ ჯირკვლებში მრავლობითი მეტასტაზების მქონე სიმსივნეებს პათოლოგიური პარამეტრული ინვაზიის ყველაზე მაღალი ინციდენტობა ჰქონდათ (75.0-87.7%), და პირიქით, ღრმა სტრომალური ინვაზიის არმქონე სიმსივნეებს - ყველაზე დაბალი ინციდენტობა (21.9%). დაავადების IIB პათოლოგიური სტადიის მქონე პაციენტებში, დაავადებისგან თავისუფალი 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელთა აბსოლუტურმა სხვაობამ 57.2% შეადგინა, ის ვარირებდა 80.9%-დან ბრტყელუჯრედოვანი ჰისტოლოგიის მქონე პაციენტებში მენჯის ლიმფურ ჯირკვლებში მეტასტაზირების გარეშე ან ერთეული მეტასტაზით, 23.7%-მდე ბრტყელუჯრედოვანი ჰისტოლოგიის არმქონე პაციენტებში, რომლებსაც მრავლობითი მეტასტაზები აღნიშნებოდათ მენჯის ლიმფურ კვანძებში. საშვილოსნოს ყელის კიბოს IIB კლინიკური სტადიის დროს პათოლოგიური პარამეტრული ინვაზიის განსაზღვრის სიზუსტე დაბალია. ღრმა სტრომალური ინვაზიის არარსებობის შემთხვევაში, IIB კლინიკური სტადიის ხუთი შემთხვევიდან მხოლოდ ერთს აქვს IIB პათოლოგიური სტადია. IIB პათოლოგიური სტადიის გადარჩენა ფართოდ ვარირებს და დიდწილად დამოკიდებულია ლიმფური ჯირკვლების ფაქტორებზე (191).

Zhang S-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის მეტასტაზური კიბოს (mCEC) გადარჩენის პროგნოზირების ინსტრუმენტის (კითხვარი) შექმნა და ვალიდაცია. შესწავლილი იყო ეპიდზედამხედველობა, ეპიდემიოლოგია და საბოლოო შედეგების (SEER) მონაცემთა ბაზა mCEC პაციენტების გამოსავლენად, რომლებსაც დიაგნოზი 2010-2014 წლებში დაესვათ. კვლევაში ჩართული იყო 1252 პაციენტი mCEC-iT, რომლებიც გაიყო ექსპერიმენტულ (n=880) და შესადარებელ (n=372) კოჰორტებად. 1- და 3-წლიანი საერთო გადარჩენის პროგნოზისთვის, როგორც გადარჩენის დამოუკიდებელი პრედიქტორები, ჩართული იყო: ასაკი, რასა, პათოლოგიური ტიპი, ჰისტოლოგიური დიფერენცირების ხარისხი, სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია. აღნიშნულმა ინსტრუმენტმა დამაკმაყოფილებელი სიზუსტე და კლინიკური სარგებლობა აჩვენა და შესაძლებელია მათი გამოყენება პაციენტების კონსულტირებასა და ინდივიდუალური კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებისას (326).

ჩინეთში Li M-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ლიმფურ ჯირკვლებში მეტასტაზების (LNM, Lymph node metastasis) განვითარების და ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების დაბალი გადარჩენის რისკების პათოლოგიური ფაქტორების

განსაზღვრა. კვლევაში ჩართული იყო 874 პაციენტი, რომლებსაც 2010-2018 წლებში ქირურგიული ჩარევა ჩაუტარდათ. შეფასებული იყო პროგნოზული რისკის ფაქტორების როლი, როგორცაა ასაკი, ჰისტოლოგიური ქვეტიპი, სიმსივნის ხარისხი, მიომეტრიუმის ინფილტრაცია, სიმსივნის დიამეტრი, საშვილოსნოს ყელის ინფილტრაცია, ლიმფოპოეზის სივრცეში ინვაზია (LVSI) და ასციტები. LNM-ის პრედიქტორების დასადგენად გამოყენებული იყო მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიის მოდელები, ხოლო პაციენტთა საერთო გადარჩენის შეფასების მიზნით - კაპლან-მაიერის და კოქსის რეგრესიის მოდელები. მულტივარიაციულმა რეგრესიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ საშვილოსნოს ყელის სტრომული ინვაზია (OR=3.41, 95%CI=1.63-7.14; p მნიშვნელობა<0.01), LVSI (OR=2.54, 95%CI=1.06-6.01; p მნიშვნელობა = 0.04) და მეტასტაზები საკვერცხეებში (OR=6.24, 95%CI=1.56-24.90; p მნიშვნელობა=0.01) ლიმფურ ჯირკვლებში მეტასტაზირების მნიშვნელოვან პრედიქტორებს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მიომეტრიუმის ინვაზია (OR=2,70, 95%CI=1,14-6,40; p მნიშვნელობა=0,01) და ლიმფური კვანძების მეტასტაზირება (OR=9,68, 95%CI=3,71-25,25; p მნიშვნელობა <0,01) საერთო გადარჩენის შემცირების დამოუკიდებელი პრედიქტორები იყო (181).

საინტერესოა Dane C-ს და Bakir S-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც საშუალებას იძლევა შედარდეს საშვილოსნოს ყელის და ენდომეტრიუმის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლები სტადიების მიხედვით: აღნიშნულ კვლევაში ენდომეტრიუმის კიბოს პროგრესირებისგან თავისუფალი 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლებმა შეადგინა: 90% I სტადიაზე, 66% - II სტადიაზე, 32% - III სტადიაზე და 60% - IV სტადიაზე. 5-წლიანი საერთო გადარჩენის მაჩვენებელი I სტადიაზე 95% იყო, II სტადიაზე - 89%, III სტადიაზე - 49% და IV სტადიაზე - 30%. პროგრესირებისგან თავისუფალი გადარჩენა და საერთო გადარჩენა მიომეტრიუმის 50%-ზე მეტი ინვაზიის მქონე პაციენტებისთვის აღმოჩნდა 58 თვე 67%-ში და 60 თვე 66%, შესაბამისად (96).

2.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის ასაკზე დიაგნოზის დასმის მომენტში

საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკსა და გადარჩენას შორის კორელაციის შეფასებას მრავალი კვლევა მიემდგნა, რითაც დასტურდება, რომ პაციენტის ასაკი გადარჩენაზე მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია (72, 73, 81, 88, 120, 140, 142, 151, 152, 185, 187, 190, 192, 197, 200, 214, 228, 230, 238, 239, 271, 274, 305). Barrett JC-ს მიერ გაანალიზდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის მონაცემები ინგლისსა და უელსში 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისა და ოთხი ხუთწლიანი პერიოდის მიხედვით 1951-1970 წლებისთვის. სიკვდილიანობის მაჩვენებელთა ლოგარითმების რეგრესიულმა ანალიზმა დაადასტურა ასაკობრივი ჯგუფებისა და დაბადების კოჰორტების გავლენა საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მაჩვენებელზე (35).

იაპონიაში, გინეკოლოგიური კიბოთი დაავადებული ხანდაზმული პაციენტების რიცხვისაზოგადობის დაბერების შესაბამისად იზრდება. ამასთან, მათი გადარჩენის შესახებ იაპონიაში ცოტა რამ არის ცნობილი. გინეკოლოგიური კიბოს მქონე 75 წლის ან უფროსი

ასაკის ქალების გადარჩენის გასარკვევად Inoue Sh-ს და სხვათა მიერ გაანალიზებული იყო 75 წლის ან უფროსი ასაკის ქალებში 2006-2008 წლებში დიაგნოსტირებული 4,089 გინეკოლოგიური კიბოს შემთხვევის მონაცემები (საშვილოსნოს ყელის კიბოს 1,309 შემთხვევა, ენდომეტრიუმის კიბოს 1,319 შემთხვევა, და საკვერცხის კიბოს 1,461 შემთხვევა), რომლებიც მოპოვებული იყო იაპონიის კიბოს 21 პოპულაციური რეგისტრიდან. გადარჩენის მაჩვენებლები შედარდა 75-79 წლის, 80-84 წლის და ყველაზე ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფების 85-99 წლის პაციენტებისთვის. კვლევამ უჩვენა, რომ 75 წლის ასაკის შემდეგ საშვილოსნოს ყელის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები თანდათან კლებულობს და 75-79, 80-84, 85-99 წლის ასაკობრივ ჯგუფებში შეადგინა 54.5%, 40.8% და 28.2% შესაბამისად (152).

ფინეთში, საშვილოსნოს ყელის კიბოთი გარდაცვალების შემთხვევების უმეტესობა 30-დან 64 წლამდე ასაკის ქალებზე ორიენტირებული ეროვნული სკრინინგ-პროგრამის დასრულების შემდეგ, ანუ 65 წლის ასაკიდან ვლინდება. Pankakoski M-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო 65 წლის ასაკში სკრინინგის ეფექტურობის შესწავლა საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის შემცირების მიზნით. ჩატარდა რეგისტრზე დაფუძნებული კოჰორტული კვლევა 1991-დან - 2014 წლამდე დაკვირვების პერიოდით. შედარდა 65 წლის ან უფროს ასაკში დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა სკრინინგისთვის მიწვეულ და არმიწვეულ ქალებს შორის. 65 წლის ასაკში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგზე მიწვეული ქალების სიკვდილის ფარდობითმა რისკმა 0.52 შეადგინა (95%CI=0.29-0.94). სიკვდილიანობის ფარდობითი რისკები ქალებისთვის, რომლებიც არ მივიდნენ და მივიდნენ სკრინინგზე, არმიწვეულ ქალებთან მიმართებით 1.28 (CI:0.65-2.50) და 0.28 (CI:0.13-0.59) იყო, შესაბამისად. სკრინინგისთვის 65 წლის ქალების მიწვევა ეფექტური აღმოჩნდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის შემცირების მიზნით (216).

დანიაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობა ამჟამად შედარებით მაღალია ხანდაზმულ ქალებში, მაშინ როდესაც რუტინული სკრინინგი წყდება 65 წლის ასაკში. Andersen B-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დანიაში 2017 წელს, 69 წლის და უფროსი ასაკის ყველა ქალი მიიწვიეს ადამიანის პაპილომავირუსზე სკრინინგისთვის. ქალების იდენტიფიკაცია მოხდა ცენტრალური პოპულაციური რეგისტრიდან, ხოლო მათი პირადად მიწვევა განხორციელდა ელექტრონული ან ჩვეულებრივი ფოსტით, რათა ზოგადი პრაქტიკის ექიმს ნიმუში აეღო სკრინინგისთვის. ოთხ რეგიონში მაღალი რისკის აპ-ზე ნიმუშების ტესტირება მოხდა cobas 4800® აპ-ანალიზით, ხოლო ბოლო რეგიონში BD Onclarity® აპ-ანალიზით. მონაწილეობის მაჩვენებელი, მაღალი რისკის აპ-ს პრევალენტობა და აპ 16-ზე, აპ 18-ზე და სხვა მაღალი რისკის აპ ტიპებზე დადებითი ნიმუშების წილი შეტანილი იყო ცხრილში 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მიწვეული 455612 ქალიდან მონაწილეობა მიიღო 30.2%-მა (95%CI=30.0-30.3). მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 74.6 წელი. საერთო ჯამში, მონაწილეთა 4.3% (95%CI=4.1-4.4) იყო აპ-დადებითი, რომელთაგან 24%-ს ჰქონდა აპ 16/18. აპ-ს პრევალენტობა მცირედით შემცირდა 4.5%-დან 69-73 წლის ქალებში, 3.1%-მდე 84-88 წლის ქალებში, მაგრამ 5.2% შეადგინა 89.2+ წლის მონაწილეთა ძალიან პატარა ჯგუფში. აპ-ს სკრინინგზე

მიწვევა ხანდაზმულმა ქალებმა კარგად მიიღეს. აპვ-ს პრევალენტობა მცირედით შემცირდა ასაკის მატებასთან ერთად. მენოპაუზის შემდეგ აპვ-ს პრევალენტობის მატება არ იყო აღმოჩენილი, როდესაც აღნიშნული კვლევის მონაცემები გაერთიანდა დანიის ახალგაზრდა ქალების შესახებ ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებთან. საშვილოსნოს ყელის კიბოს ამჟამინდელი შედარებით მაღალი ინციდენტობა ხანდაზმულ ქალებში არ აისახა აპვ-ს პრევალენტობაზე (20).

ახალგაზრდა ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა იზრდება. Yujia Kong-ის და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა პეკინში საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული ≤ 25 წლის ასაკის ქალების კლინიკო-პათოლოგიური მახასიათებლების, მკურნალობის და პროგნოზების ანალიზს. შესწავლილი იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული ≤ 25 წლის ასაკის 60 პაციენტის სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც პეკინის სამედიცინო კოლეჯების კავშირის კლინიკა (Peking Union Medical College Hospital) მკურნალობდნენ 1986-2017 წლებში. საერთო გადარჩენის მაჩვენებელი შეფასდა კაპლან-მაიერის მეთოდის გამოყენებით. პროგნოზთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები გაანალიზდა უნივარიაციული და მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით. 60 პაციენტს შორის 44-ს (73.3%) დიაგნოსტირებული ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კარცინომა, ხოლო 16-ს - (26.7%) საშვილოსნოს ყელის სარკომა. საშვილოსნოს ყელის კარცინომის ჯგუფში ყველაზე გავრცელებული ჰისტოლოგიური ტიპი იყო ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ($n=22$, 50.0%), რომელსაც მოჰყვებოდა ადენოკარცინომა ($n=18$, 40.9%). საშვილოსნოს ყელის კარცინომით დაავადებულ თერთმეტ პაციენტს ფერტილობის შემანარჩუნებელი ოპერაცია ჩაუტარდა და ცოცხლადშობადობის მაჩვენებელი 66.7%-ს მიუახლოვდა. მთლიანი კოჰორტის 5-წლიანმა საერთო გადარჩენის მაჩვენებელმა 79.8% შეადგინა, ამასთან, კარცინომის და სარკომის ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა (74.3% საპირწონედ 93.3%, p მნიშვნელობა=0.14). სტადია (RR=6.71, 95%CI=1.37-32.97, p მნიშვნელობა=0,019) და ლიმფური კვანძებში მეტასტაზირება (RR=9.09, 95%CI=1.05-78.73, p მნიშვნელობა=0,045) საშვილოსნოს ყელის კარცინომის მქონე ახალგაზრდა პაციენტების არაკეთილსაიმედო პროგნოზის დამოუკიდებელი რისკის ფაქტორები იყო. საშვილოსნოს ყელის ადენოკარცინომა და სარკომა საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველაზე ხშირად გავრცელებული ტიპებია ახალგაზრდა ქალებში. მათი საერთო პროგნოზი ხანდაზმული პაციენტების პროგნოზზე უარესი არ არის. გადარჩენის მაჩვენებლები, როგორც წესი, ფართოდ ვარიირებენ ჰისტოლოგიური ქვეტიპების მიხედვით (171).

Vargas AC-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის ტენდენციის ანალიზი ბრაზილიის რეგიონებში მცხოვრებ იმ ქალებში, რომლებმაც გაიარეს და რომლებმაც არ გაიარეს სკრინინგი 1996-დან 2015 წლამდე. საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის დროის სერიათა (time series analysis) ეპიდემიოლოგიური ანალიზი ჩატარდა 24 წლამდე ასაკის (343 ქალი), 25-დან 64 წლამდე (32 703 ქალი) და 65 წელზე მეტი ასაკის (10 909 ქალი) 90 856 ქალში. სკრინინგში მონაწილეთა 43.8% თეთრკანიანი იყო, ხოლო 76%-ს რვა წელზე ნაკლები ფორმალური

განათლება ჰქონდა. სტატისტიკურმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მზარდი ტენდენცია 15-24 წლის ასაკის ბრაზილიელ ქალებში (p მნიშვნელობა =0.01). 25-დან 64 წლამდე და 65 წლის ან უფროსი ასაკის ქალებში ეს ტენდენცია სტაბილური, მაგრამ მაღალი რჩებოდა (p მნიშვნელობა =0.07; 0.99). ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონში აღინიშნა მზარდი ტენდენცია 15-24 წლის (p მნიშვნელობა=0.01), 25-64 წლის (p მნიშვნელობა=0.01) და 65 წელზე უფროსი ასაკის ქალებში (p მნიშვნელობა =0.001). ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში აღინიშნა ყველაზე მაღალი მატება წელიწადში. სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და შუა დასავლეთის რეგიონებში შემცირების ტენდენციები შეინიშნებოდა მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად. ფედერალურ ოლქში აღმავალი ტენდენცია დაფიქსირდა 1996-2015 წლებში. ბრაზილიაში აღმავალი ტენდენცია შეინიშნებოდა მთელი გაანალიზებული პერიოდის განმავლობაში. კვლევამ აჩვენა, რომ გარდა იმისა, რომ მაღალი მაჩვენებლები შეინიშნება 65 წლის ან უფროსი ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობა ახალგაზრდა ქალებში სულ უფრო გავრცელებული ხდება (289).

2.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის დამოკიდებულება პაციენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან

Lee H.-ს და სხვათა მიერ სამხრეთ კორეაში ჩატარებული პოპულაციურ რეგისტრზე დაფუძნებული კვლევის მიზანი იყო პროფესიის ფაქტორის მოქმედების შეფასება კიბოს დიაგნოზის მქონე კორეელი ქალების გადარჩენის მაჩვენებელზე. საკვლევი პოპულაცია მოიცავდა მომუშავე ქალებს, რომლებიც 1995-2000 წლებში რეგისტრირებულნი იყვნენ კორეის დასაქმების დაზღვევის ეროვნულ პროგრამაში და 1995-2008 წლებში დაუდგინდათ კიბოს დიაგნოზი. კვლევაში ჩართული იყო კიბოს დიაგნოზის მქონე 61110 ქალი, რომელთაც აღნიშნებოდათ ათი სპეციფიკური ლოკალიზაციის კიბო, მათ შორის საშვილოსნოს ყელის კიბოც. პროფესიები დაიყო ოთხ ჯგუფად: (1) მენეჯერები, პროფესიონალები და ტექნიკური მუშაკები, (2) საქმის მწარმოებლები, (3) მომსახურების /გაყიდვების მუშაკები და (4) ფიზიკური სამუშაოთი დაკავებული პირები. ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი მომსახურების/გაყიდვების სფეროში მყოფი (HR=1.25, 95%CI=1.15-1.35) და ფიზიკური სამუშაოთი დაკავებული ქალებისთვის (HR=1.34, 95%CI=1.25-1.44) მაღალი იყო ერთად აღებული ყველა ლოკალიზაციის კიბოსთვის, ხოლო ფიზიკური სამუშაოთი დაკავებულ მუშებს, პროფესიონალურ და მენეჯერულ პოზიციებზე მომუშავე ქალებთან შედარებით, დაბალი გადარჩენა ჰქონდათ ფილტვების (HR=1.41, 95%CI=1.14-1.77), ძუძუს (HR=1.28, 95%CI=1.06-1.54), საშვილოსნოს ყელის კიბოს (HR=1.42, 95%CI=1.02-2.06) და არაჰოჯკინის ლიმფომის შემთხვევაში (HR=1.69, 95%CI=1.09-2.77). კვლევამ აჩვენა, კიბოს სკრინინგისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის ფონზე კი, კიბოთი დაავადებული კორეელი ქალების პროფესიულ ჯგუფებს შორის საერთო გადარჩენის მნიშვნელოვანი უთანასწორობა (176).

საშვილოსნოს ყელის კიბო იშვიათი გახდა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, მაგრამ ქალთა სიკვდილიანობის წამყვან მიზეზს წარმოადგენს დაბალ-და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ეს უთანასწორობა განპირობებულია ეკონომიკური, სოციალური, კულ-

ტურული ფაქტორებით და უნდა განიხილოს, როგორც ეპიდემიური გავრცელება (45, 62, 124, 136, 137, 232, 276, 291, 299, 318). დაბალ-და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში (LMIC) საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო დონორებმა პრიორიტეტად უნდა დასახონ (138).

ბოლო წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების მიუხედავად, ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემად რჩება. Li Z.-ს და სხვათა მიერ აშშ-ში ჩატარებულ კვლევაში გაერთიანებული იყო 1980-2014 წლებში დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 39160 შემთხვევა ეპიდზედამხედველობის, ეპიდემიოლოგიის და საბოლოო შედეგების (SEER) მონაცემთა 18 ბაზიდან. ზოგიერთ შტატში, როგორებიცაა კალიფორნია და ჯორჯია, უკეთესი ეკონომიკური სტატუსის და ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ჯანდაცვაში მეტი ინვესტიციის გამო, მოსახლეობაში უფრო დაბალი ინციდენტობა, პრევალენტობა, დაავადების დროული დიაგნოსტირება, ეფექტური მკურნალობა და უკეთესი პროგნოზი აღინიშნა. ავტორთა განმარტებით, კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის გავრცელების მახასიათებლებზე (183).

აპვ წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ სქესობრივი გზით გადამდებ ვირუსს. პოპულაციები, რომლებსაც აქვთ დაავადების ყველაზე მაღალი სიხშირე და სიკვდილიანობა, ძირითადად დაუცველები არიან. აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინის სწრაფი გავრცელება დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში შეიძლება იყოს ერთადერთი გზა საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის და პრევენციის სფეროში არსებული უთანასწორობის შესამცირებლად (60). Altobelli E-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნებში აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვასა და სკრინინგის პროგრამებში არსებული განსხვავებების აღწერა, განსაკუთრებით შემოსავლის დონის მიხედვით. შეფასდა კორელაცია შემდეგ ცვლადებს შორის: მთლიანი ეროვნული შემოსავლის (GNI) დონეები (საშუალოზე დაბალი (LMI), საშუალოზე მაღალი (UMI) და მაღალი (HI) შემოსავალი); CC სკრინინგის პროგრამის ტიპი (მოცვა, ოპორტუნისტული/ორგანიზებული); ვაქცინაციის ფინანსური დაფარვის პოლიტიკა (უფასო, ნაწილობრივი ან მთლიანი დაფარვა); სიკვდილიანობის მაჩვენებლები/100 000 ქალზე (≤ 3 , $>3-6$, $>6-9$, >9); ინციდენტობის მაჩვენებლები/100000 ქალზე (≤ 7 , $>7-15$, $>15-21$, >21). აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაწყების წლები (2006-2008, 2009-2011, 2012-2014; >2014 - პროგრამა არ მოქმედებს); აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვის პროცენტი ($\leq 25\%$, $26-50\%$, $51-75\%$, $>75\%$); სკრინინგის დაწყების წლები (<1960 , $1960-1980$, $1981-2000$, >2000); პირველადი სკრინინგის ტესტი (აპვ, ციტოლოგია) და სკრინინგით მოცვის პროცენტი (≤ 25 , $>25-50$, $>50-75$, >75). მაღალი შემოსავალი დაკავშირებულია: სკრინინგის დაწყებასთან 1960 წლამდე, სკრინინგით საშუალო ან მაღალ მოცვასთან, ორგანიზებულ სკრინინგთან, ვაქცინაციის დაწყებასთან 2009-2011 და 2012-2014 წლების პერიოდებში და იმუნიზაციით მაღალ მოცვასთან. მეორეს მხრივ, საშუალოზე დაბალი შემოსავალი დაკავშირებულია ვაქცინაციის და სკრინინგის პროგრამების გვიან დაწყებასთან, რომლებშიც ციტოლოგია გამოიყენება პირველადი ტესტის სახით, ვაქცინაციით საშუალო ან დაბალ

მოცვასთან, და, ასევე, მაღალი სიკვდილიანობისა და ინციდენტობის მაჩვენებლებთან. კვლევის შედეგები გასათვალისწინებელია გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოებმა უნდა გააკონტროლონ აპკ ვაქცინირებული მოსახლეობა, რათა უფრო ზუსტად განსაზღვრონ ინციდენტობის და სიკვდილიანობის მოკლე-და გრძელვადიან მაჩვენებლებზე გავლენა. ფაქტობრივად, რაც უფრო მაღალია ვაქცინაციით მოცვა, მით უფრო მაღალი იქნება CC-ს და აპკ-თან დაკავშირებული სხვა დაავადებების პრევენციის პროგრამების ეფექტურობა (17).

2.7. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება ეთნიკურ/რასობრივ თავისებურებებთან

ისტორიულად, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ აშშ-ში მცხოვრები უცხოეთში დაბადებული ქალები, იშვიათად გადიან გამოკვლევას და უფრო ხშირად კვდებიან საშვილოსნოს ყელის კიბოთი, ვიდრე აშშ-ში დაბადებული მათი თანატოლები. Hallowell BD-ს და სხვათა მიერ ჩატარებულ კვლევაში პრევენციული ზომებისთვის ინფორმაციის მიღებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ამ უთანასწორობის შემცირების მიზნით, ამერიკის ჯანდაცვის სტატისტიკის ეროვნული ცენტრიდან მიღებული იყო სიკვდილიანობის მონაცემები აშშ-სა და უცხოეთში დაბადებულ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის აღსაწერად. 2017-2018 წლებში, ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებლები და მაჩვენებელთა შეფარდებები გამოთვლილი იყო რასის/ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, გეოგრაფიული რეგიონისა და დაბადების ქვეყნის მიხედვით. კვლევის შედეგების თანახმად, უცხოეთში დაბადებულ ქალებში დაფიქსირდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი გარდაცვალების 5,924 შემთხვევა, ხოლო აშშ-ში დაბადებულ ქალებში - 33,893 გარდაცვალების შემთხვევა. საერთო ჯამში, უცხოეთში დაბადებულ ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ აშშ-ში დაბადებულ ქალებთან შედარებით (სიხშირეთა შეფარდება=0,95, 95%CI=0,92-0,97). ამასთან, უცხოეთში დაბადებულ ხანდაზმულ ქალებში სიკვდილიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალი იყო აშშ-ში დაბადებულ ქალებთან შედარებით: 65-79 წლის ასაკში (სიხშირეთა შეფარდება=1,15, 95%CI=1,09-1,22) და ≥ 80 ასაკში (სიხშირეთა შეფარდება=1,43, 95%CI=1.32-1.55). მექსიკაში დაბადებულ ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ (სიხშირეთა შეფარდება=1,35, 95%CI=1,27-1,42) აშშ-ში დაბადებულ ქალებთან შედარებით. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხელმისაწვდომობის გაზრდამ, შესაძლოა, კიდევ უფრო შეამციროს საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილობა აშშ-ში და ჭარბი ტვირთი, რომელიც აღინიშნება უცხოეთში დაბადებულ უფროსი ასაკის ქალებში (141).

შეერთებულ შტატებში მცხოვრებ უცხოეთში დაბადებულ პოპულაციებში აღინიშნება ადამიანის პაპილომავირუსთან დაკავშირებული მრავლობითი განსხვავებები, მათ შორის, საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლები, თუმცა ამ პოპულაციაში გენიტალიების აპკ-ინფექციის გავრცელება მცირერიცხოვანი კვლევებით იყო შესწავლილი. Bhattacharya M-ს და სხვათა მიერ გამოყენებული იყო ამერიკაში მცხოვრები 20-59 წლის ასაკის 1,822 ქალის და 1,622 კაცის მონაცემები,

რომლებიც მონაწილეობდნენ 2013-2014 წლების ჯანმრთელობის და კვების ეროვნულ კვლევაში (NHANES). მონაწილეებმა შეატყობინეს თავისი დაბადების სტატუსის შესახებ (უცხოეთში აშშ-ში დაბადებულების საპირწონედ) და მიაწოდეს ბიონიმუშები აპ-ზე ტესტირებისთვის. კვლევის ავტორების მიერ ლოჯისტიკური რეგრესიის გამოყენებით შეფასდა აპ ინფექციის სამი ტიპის (აპ-ს ნებისმიერი ტიპი, მაღალი რისკის აპ-ს ტიპი და ვაქცინით მართვადი აპ-ს ტიპი) პრევალენტობის თვალსაზრისით არსებული განსხვავებები დაბადების ადგილის მიხედვით. საერთო ჯამში, ქალების 40%-მა და მამაკაცების 46%-მა აჩვენა დადებითი შედეგი აპ-ს ნებისმიერი ტიპზე. აშშ-ში დაბადებულ ქალებთან შედარებით, უცხოეთში დაბადებულ ქალებს აპ-ს ნებისმიერი ტიპით გამოწვეული ინფექციის უფრო დაბალი პრევალენტობა ჰქონდათ (32% vs. 42%, p მნიშვნელობა < 0.01). შეერთებულ შტატებში დაბადებულ მამაკაცებთან შედარებით, უცხოეთში დაბადებულ მამაკაცებს აპ ვირუსის ნებისმიერი ტიპით გამოწვეული ინფექციის უფრო დაბალი პრევალენტობა აღმოაჩნდათ (ნებისმიერი ტიპის: 39% vs. 48%; მაღალი რისკის: 22% vs. 34%; ვაქცინით პრევენტაბელური: 12% საპირწონედ 16%-ისა; ყველა $p < 0.05$). მულტივარიაციული მოდელით შემცირდა ამ განსხვავებებიდან რამდენიმე, თუმცა უცხოეთში დაბადებულ მამაკაცებს, კოვარიატების მიხედვით სტრატეგიკაციის შემდეგ, მაღალი რისკის აპ-ს ტიპით ინფიცირების უფრო დაბალი შანსები ჰქონდათ (OR = 0.75; 95% CI: 0.60-0.93, $p < .01$). მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე აშშ-ში დაბადებულებში, HPV ინფექცია გავრცელებულია აშშ-ში მცხოვრებ უცხოეთში დაბადებულ ქალებსა და მამაკაცებში. ეს შედეგები შესაძლოა, გამოყენებული იყოს სტრატეგიული საკომუნიკაციო კამპანიების ჩატარების საფუძვლად და, ასევე, აპ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის მიზნობრივი პოპულაციის იდენტიფიკაციისთვის(48).

კიბოს ტვინითი სამხრეთ ფლორიდაში, რომლის მოსახლეობა 6 მილიონს აღემატება და ძირითადად ესპანურენოვანი და აფრო-კარიბული მოსახლეობისგან შედგება, რაოდენობრივად არ იყო განსაზღვრული. Pinheiro PS-ს და სხვათა მიერ გაანალიზდა სამხრეთ ფლორიდის 2012-2016 წლების კიბოს სიკვდილიანობის მონაცემები თეთრკანიანი, ლათინოამერიკელი და შავკანიანი პოპულაციებისთვის, რომლებიც დაიყო კუბელების, პურტო-რიკოელების, სამხრეთ ამერიკელების, აფრო-ამერიკელების და აფრო-კარიბელების ჯგუფებად. გამოთვლილი იყო სპეციფიკური ლოკალიზაციის კიბოს და ყველა ლოკალიზაციის კიბოს კომბინირებული ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებლები. სამხრეთ ფლორიდის და დანარჩენი ქვეყნის კიბოს სიკვდილობის მაჩვენებლების შესადარებლად სიკვდილიანობის სიხშირეთა შეფარდება განისაზღვრა ნეგატიური ბინომიალური რეგრესიის მეშვეობით. სულ გაანალიზდა კიბოთი გარდაცვალების 53 837 შემთხვევა. 100 000 მოსახლეზე, სამხრეთ ფლორიდაში კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებლები მსგავსი იყო თეთრკანიან (173 100,000-ზე) და შავკანიან (176 100,000-ზე) მამაკაცებსა და თეთრკანიან და შავკანიან ქალებში (133 ორივესთვის) და ყველაზე დაბალი იყო ლათინოამერიკელი მამაკაცებისა (151 100,000-ზე) და ქალებისათვის (93 100,000-ზე). ამასთან, დანარჩენი ქვეყნის ანალოგიურ პოპულაციასთან შედარებით, სამხრეთ ფლორიდის ლათინოამერიკელ მოსახლეობას კიბოს

სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა, ძირითადად, კუბის მოსახლეობის ხარჯზე, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებლები თეთრკანიან და შავკანიან მოსახლეობაში, განსაკუთრებით მამაკაცებში, მნიშვნელოვნად დაბალი იყო. საშვილოსნოს ყელის კიბო მაღალი იყო თეთრკანიან, შავკანიან და პუერტო-რიკოელ ქალებში. აუცილებელია გაგრძელდეს ეპიდზედამხედველობა, გაიზარდოს კლინიკურ კვლევებში უმცირესობათა მონაწილეობა და ინვესტირება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინებით (222).

2.8. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის ქცევით ფაქტორებთან

კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი შემცირება ჯანსაღ კვებასთანაა დაკავშირებული. Karavasiloglou N-ს და სხვებმა კიბოსგან გადარჩენილ ქალებში შეაფასეს კავშირი დიაგნოსტიკის შემდგომი დიეტის თავისებურებებსა და სიკვდილიანობას შორის. ჯანმრთელობისა და კვების მესამე ეროვნული კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ძუძუს და გინეკოლოგიური (საკვერცხის, საშვილოსნოს ყელის ან საშვილოსნოს) კიბოს დიაგნოზის მქონე 230 ქალის მონაცემები. ჯანსაღი კვების ინდექსი (HEI) და ხმელთაშუა ზღვის დიეტის ქულა (MDS) გამოთვლილი იყო კვების შესახებ ინტერვიუს საფუძველზე. კორექტირებული მულტივარიაციული რისკების თანაფარდობის (HR) და 95%CI-ის გამოსათვლელად გამოიყენეს კოქსის პროპორციული რეგრესიის მოდელი. უფრო მაღალი HEI ქულა დაკავშირებული იყო უფრო დაბალ სიკვდილიანობასთან (HRHEI = 0.97, 95%CI=0.95-0.98, 1 ერთეულით ზრდა), მაგრამ MDS-ს შემთხვევაში კავშირი არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო (HRMDS=0.87, 95%CI=0.74-1.04). ქვეჯგუფების ანალიზისას დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უკუკავშირი HEI-სა და სიკვდილიანობას შორის. MDS-სთვის, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დაფიქსირებულა. კიბოსგან გადარჩენილ ქალებში უფრო მაღალი HEI ქულა უარყოფით კორელაციაში იყო სიკვდილიანობასთან, რაც HEI-ით განსაზღვრული დიეტის დამცავ ეფექტზე მიანიშნებს (166).

2.9. საშვილოსნოს ყელის გადარჩენის მაჩვენებლის დამოკიდებულება პაციენტის აივ-შიდსით ინფიცირებასთან

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის დაბალ მაჩვენებლებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორისაა დაავადების დადგენა დაგვიანებულ სტადიაზე, მკურნალობისადმი არასტანდარტული მიდგომები. დაავადება უფრო სწრაფად პროგრესირებს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფიცირებულ და შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომის (შიდსი) მქონე პაციენტებში (76, 87, 104, 109, 119, 128, 130, 139, 235, 249). უგანდაში ყურადღება გამახვილებული იყო კიდევ ერთ ფაქტორზე - დაავადებათა კომორბიდობაზე. Wu ES-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო განესაზღვრათ, თუ რა გავლენას ახდენს აივ ინფექცია საშვილოსნოს ყელის კიბოს დროულ გამოვლენასა და საერთო გადარჩენაზე. კვლევაში ჩართული იყო 149 (53 აივ-დადებითი და 96 აივ-უარყოფითი პაციენტი) ქალი, რომლებსაც დიაგნოზი 2013-2015 წლებში უგანდის კიბოს ინსტიტუტში დაესვათ. პრევალენტობის კოეფიციენტების (PR)

გამოსათვლელად აივ ინფექციასა და გვიან სტადიაზე დიაგნოზის დასმას შორის შესაძლო კორელაციის დადგენის მიზნით გამოყენებული იყო პუასონის რეგრესიის მოდელი.

აივ ინფექციასა და საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმის შემდეგ საერთო გადარჩენას შორის კავშირი შეფასდა კოქსის პროპორციული რისკების მოდელების გამოყენებით. დიაგნოზის დადგენის მომენტში საშუალო ასაკმა შეადგინა 44 წელი აივ-დადებითი მონაწილეების, ხოლო 54 წელი - აივ-უარყოფითი პაციენტებისთვის. აივ-დადებითი მონაწილეების 77% იღებდა ანტირეტროვირუსულ თერაპიას. CD4 უჯრედების საწყისი რაოდენობის მედიანამ 373 უჯრედი/მმ³ შეადგინა აივ-დადებითი და 926 უჯრედი/მმ³ აივ-უარყოფითი მონაწილეებისთვის. აივ-დადებითი მონაწილეების 32%-ს და აივ-უარყოფითი მონაწილეების 39%-ს საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი გვიან სტადიაზე (III-IV) დაესვა. კავშირი არ იყო აღმოჩენილი აივ ინფიცირებასა და კიბოს გვიან სტადიაზე დადგენას შორის (PR=1.0; 95%CI=0.6-1.8). ქალთა უმეტესობამ, რომლებმაც ექიმს მიმართეს, კიბოს მკურნალობის კურსი მიიღეს, თუმცა მათგან თითქმის ნახევარმა, ვინც სხივური თერაპია გაიარა, არ დაასრულა მკურნალობა. აივ-დადებითი მონაწილეებისთვის საერთო გადარჩენის მედიანამ 13.7 თვე შეადგინა, ხოლო აივ-უარყოფითი მონაწილეებისთვის - 24.3 თვე. ასაკისა და სტადიის მიხედვით სტრატეფიკაციის შემდეგ, აივ ინფექცია სუსტად იყო დაკავშირებული საერთო გადარჩენასთან (HR=1.3, 95%CI=0.8-2.2). აივ ინფექცია არ აღმოჩნდა დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიასთან დიაგნოზის დასმისას, მაგრამ, სუსტად იყო დაკავშირებული შედარებით ხანმოკლე გადარჩენასთან (316).

ტაილანდში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე შეადგენს 18.1 და 5.7-ს შესაბამისად. დაავადება უფრო სწრაფად პროგრესირებს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფიცირებულ და შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომის (შიდსი) მქონე პაციენტებში. Thokanit NS-ს და სხვათა მიერ განისაზღვრა აივ/შიდსის პრევალენტობა და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გადარჩენაზე. შესწავლილი იყო აივ ინფიცირებული და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული იმ ქალების სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც 2007-2014 წლებში გადიოდნენ მკურნალობას რამათიბოდის ჰოსპიტალში. დემოგრაფიული და კლინიკური მონაცემები შეგროვდა დიაგნოზის დასმის შემდეგ. გამოყენებული იყო კაპლან-მეიერის მეთოდი და კოქსის პროპორციული რისკების სტატისტიკური მოდელი, რის შედეგადაც შეფასდა რისკ-ფაქტორებთან საერთო გადარჩენის კავშირი. კვლევაში ჩართული 1362 პაციენტისთვის საშუალო ასაკი, მედიანა და ასაკობრივი დიაპაზონი დიაგნოზის დასმის მომენტში შეადგენდა 53.9 წელს, 53.0 წელს და 20-94 წელს, შესაბამისად. აივ/შიდსის გავრცელებამ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში 2.3% შეადგინა, ხოლო 5-წლიანი გადარჩენა 61.2% იყო. მულტივარიაციულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ხელსაყრელ პროგნოზულ ფაქტორებს წარმოადგენდა სახელმწიფო მოსამსახურის სამედიცინო დაზღვევა და უმაღლესი განათლება. საშვილოსნოს ყელის კიბოს გვიანი სტადიები (III სტადია: HR=7.3, 95%CI=4.4-12.0 და IV სტადია: HR=20.6, 95%CI=11.6-36.5) დადებით კორელაციაშია მაღალ სიკვდილიანობასთან. ამასთან, აივ/შიდსის მქონე პა-

ციენტების ერთ-, სამ- და 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (74.2%, 67.6% და 63.6% შესაბამისად) გარკვეულწილად დაბალია აივ/შიდსის არმქონე პაციენტების შესაბამის მაჩვენებლებზე (87.4%, 71.3% და 63.7% შესაბამისად) (277).

აივ-ით ინფიცირებულ ადამიანებს (PLHIV) ხშირად უვითარდებათ შიდსით განპირობებული ან შიდსთან კავშირში არმყოფი კიბო. Tricky A. და სხვათა მიერ გამოკვლეული იყო სიკვდილის მიზეზები კიბოს დიაგნოზის დასმიდან 5 წლის განმავლობაში აივ-ინფიცირებულ ადამიანებში, რომლებიც ჩართული იყვნენ ევროპულ და ჩრდილოეთ ამერიკულ აივ-ჯგუფებში, ანტირეტროვირუსული თერაპია დაწყებული ჰქონდათ 1996–2015 წლებში ≥ 16 წლის ასაკში და შემდგომში დაესვათ კიბოს დიაგნოზი. ონკოლოგიური დაავადებები დაჯგუფდა შემდეგი სახით: შიდსთან დაკავშირებული, ვირუსული ეტიოლოგიის შიდსთან კავშირში არმყოფი და არავირუსული ეტიოლოგიის შიდსთან კავშირში არმყოფი. გამოითვალეს მიზეზ-სპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებლები კონკრეტული კიბოს დიაგნოზის დასმის შემდეგ და შეადარეს 5-წლიანი გადარჩენა დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთლიან მოსახლეობასთან. კვლევის ფარგლებში კიბოს დიაგნოზი ჰქონდა 83,856 აივ-ინფიცირებული ადამიანიდან 4,436-ს. კიბოს დიაგნოზის დასმის შემდეგ 603 გარდაცვალების შემთხვევიდან 292 (48%) შიდსით იყო განპირობებული. დაფიქსირდა 467/847 (55%) ვირუსული ეტიოლოგიის შიდსთან კავშირში არმყოფი და 74/189 (39%) არავირუსული ეტიოლოგიის შიდსთან კავშირში არმყოფი სიკვდილის შემთხვევები. სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალი იყო მათთვის, რომელთაც 1996-2005 წლებში დაესვათ დიაგნოზი, 2006-2015 წლებში დიაგნოსტირებულებთან შედარებით. 5-წლიანი გადარჩენა აივ-ინფიცირებულთათვის, რომლებსაც დაესვათ ღვიძლის (29% [95%CI=19-39%]), ფილტვების (18% [95%CI=13-23%]) და საშვილოსნოს ყელის (75% [95%CI=63-84%]) კიბოს დიაგნოზი, მთლიანი მოსახლეობის ანალოგიური იყო. ყველაზე მაღალი სიკვდილიანობა აღინიშნა ღვიძლისა და ფილტვების კიბოებისთვის. შიდსთან კავშირში არმყოფი ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში დიაგნოზის დასმიდან 5 წლის განმავლობაში კიბოთი სიკვდილობის ალბათობა მეტი იყო, ვიდრე შიდსით (283).

2.10. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის როლი პაციენტის გადარჩენის თვალსაზრისით

სკრინინგი მნიშვნელოვნად ამცირებს საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობას და სიკვდილიანობას. საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს ნახევარზე მეტი დაკავშირებულია სკრინინგში იშვიათ ან საერთოდ არ მონაწილეობასთან. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია და მართვა შესაძლებელია, თუ სკრინინგის საშუალებით კიბო და კიბოსწინარე დაზიანებები გამოვლინდება ადრეულ ეტაპზე (8, 10, 12, 21, 22, 23, 32, 33, 36, 51, 52, 55, 67, 70, 74, 83, 84, 92, 93, 98, 102, 103, 106, 111, 112, 113, 123, 126, 157, 158, 161, 178, 182, 186, 242, 272, 286, 292, 296, 297, 298, 300, 301, 311, 315, 319, 321, 327, 328, 329, 330). ქალებს, რომლებიც სკრინინგს არსებული რეკომენდაციების შესაბამისად არ იტარებენ, საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის და სიკვდილიანობის მომატებული რისკი აქვთ იმ ქალებთან შედარებით, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ სკრინინგულ პროგრამებში. სკრინინგის არათანაბარი ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია სამედიცინო

დაწესებულებებისა და ადამიანური რესურსების დეფიციტთან, ასევე, ინფორმაციის შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან კულტურული, ეთნიკური თუ ენობრივი ბარიერების გამო. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეროვნულმა პროგრამებმა უნდა მოახდინონ სკრინინგის მეთოდების ადაპტირება, იმ ქალებისთვის, რომლებიც რეგულარულად არ იტარებენ სკრინინგს. ჯანმრთელობის თანაბარი უფლების პრინციპებზე ფოკუსირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამების მეშვეობით, შესაძლებელია სკრინინგის გაფართოება დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მოსახლეობის იმ მარგინალურ ჯგუფებში, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით არ აკითხავენ ჯანდაცვის პროვაიდერებს რეგულარული სკრინინგის ჩასატარებლად (218).

2018 წელს აშშ-ს პრევენციული სერვისების მიზნობრივმა ჯგუფმა (USPSTF) მხარი დაუჭირა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სამი სახის სტრატეგიას 30-დან 65 წლამდე ასაკის ქალებში: ციტოლოგია ყოველ 3 წელიწადში, ადამიანის პაპილომაავირუსის მაღალი რისკის ტიპების (hrHPV) ტესტირება ყოველ 5 წელიწადში და ციტოლოგია + hrHPV ტესტირება (კო-ტესტირება) ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. სკრინინგის არარსებობის საპირწონედ შეფასდა USPSTF-ს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის სამი სახის ალტერნატივა და hrHPV ტესტირება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. შეფასდა სხვადასხვა სახის გამოსავალი: კოლპოსკოპია ბიოფსიით, ცრუ დადებითი ტესტი (კოლპოსკოპია, რომელშიც არ აღმოჩნდა მე-2 ხარისხის ან უფრო შორსწასული საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია), მკურნალობა, კიბოს განვითარება და სკრინინგიდან მოკლე პერიოდში (15 წელი) გამოხატული კიბოთი სიკვდილიანობა. სკრინინგის ყველა სტრატეგიამ გამოიწვია კიბოს და კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება ქალებში, რომელთაც ჩატარებული ჰქონდათ სკრინინგი (146).

Termrungruanglert W-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ადამიანის პაპილომაავირუსის პირველადი სკრინინგის ტრიაჟის კლინიკური და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება პაპ-ტესტირებასთან (ციტოლოგიასთან) შედარებით. საშვილოსნოს ყელის სკრინინგზე მისული 30-65 წლის ასაკის ქალთა კოჰორტის მონაწილეობით ჩატარებული იყო Excel®-ზე დაფუძნებული ბიუჯეტის ზემოქმედების მოდელი, რათა შეფასებულიყო პრეინვაზიური და ინვაზიური საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები, სიკვდილიანობის მაჩვენებელი, პირდაპირი სამედიცინო ხარჯები, ხარისხიანი სიცოცხლის წლები (QALY) და ორი სტრატეგიის ხარჯეფექტურობის დამატებითი ანალიზი გადამხდელის თვალთახედვით. ადამიანის პაპილომაავირუსზე პირველადი სკრინინგის ტრიაჟმა ჩვეულებრივ პაპ-ნაცხთან შედარებით უფრო მაღალი მგრძნობელობა აჩვენა სპეციფიკურობის დაკარგვის გარეშე. სკრინინგის ეფექტურობის გაუმჯობესება კიბოსწინარე დაზიანების პრევალენტობის, საშვილოსნოს ყელის კიბოს წლიური ინციდენტობისა და სიკვდილიანობის შემცირებას იწვევს. ახალი ალგორითმით გამოვლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობამ, ჩვეულებრივ მეთოდთან შედარებით, 31,607 და 38,927 შეადგინა შესაბამისად. გარდა ამისა, ახალი ალგორითმი უფრო ეფექტური, თუმცა უფრო ძვირი იყო (საშუალო QALY 24.03, წლიური ღირებულება 13 262 693 აშშ დოლარი), ვიდრე ჩვეულებრივი ციტოლოგია (საშუალო QALY 23,98,

წლიური ღირებულება 7 713 251 აშშ დოლარი). დამატებითი ხარჯეფექტურობის კოეფიციენტმა (ICER) QALY-ის ერთ ერთეულზე 1,395 აშშ დოლარი შეადგინა. მგრძობელობის ანალიზმა აჩვენა, რომ თუ ციტოლოგიისა და აპვ ტესტის ღირებულება სამჯერ გაიზრდება, ICER დაეცემა \$303/QALY-ით და გაიზრდება \$4,970/QALY-ით, შესაბამისად. კვლევის ავტორების მოდელის შედეგები ცხადყოფს, რომ სკრინინგი აპვ გენოტიპირების ტესტის, როგორც პირველადი სკრინინგული ტესტის ორმაგი შედეგის ციტოლოგიასთან და აპვ პოზიტიური ქალების ტრიაჟთან კომბინაციაში გამოყენება, სავარაუდოდ, უფრო ხარჯეფექტური იქნება, ვიდრე ჩვეულებრივი პაპ-ტესტირება (275).

კაროლინაში ქალებისთვის შეთავაზებული მიდგომა - My Body My Test (MBMT) - აფასებს ადამიანის პაპილომაავირუსზე ტესტის ჩასატარებლად ნიმუშების თვით-შეგროვებისთვის საჭირო ნაკრების ფოსტით გაგზავნის გავლენას საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის დასრულებაზე დაბალშემოსავლიან ქალებში, რომლებმაც საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგში დროულად არ მიიღეს მონაწილეობა. კვლევაში ჩართული იყო 25-64 წლის ასაკის ქალები, რომლებსაც არ ჩაუტარებიათ პაპ-ტესტი ბოლო 4 წლის განმავლობაში და აპვ ტესტი ბოლო 6 წლის განმავლობაში. მონაწილეების რანდომიზირება მოხდა ინტერვენციისა და საკონტროლო ჯგუფში. ინტერვენციის ჯგუფი სახლში იღებდა კონტეინერს ნიმუშის თვითშეგროვებისთვის და ფოსტით აგზავნიდა მას აპვ-ზე ტესტირებისთვის. ამ მეთოდით მოხდა დემონსტრირება, რომ შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის შემცირება არასაკმარისი სამედიცინო მომსახურების და საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების უფრო მაღალი რისკის მქონე ქალებში (265).

ევროკავშირსა და მის რეგიონებში საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პროგრამები სხვადასხვა გზით ხორციელდება. Jansen EEL-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ამ პროგრამების გავლენის შეფასება CC სიკვდილიანობაზე. ევროპაში ორგანიზებული სკრინინგის CC სიკვდილიანობაზე გავლენის შეფასების კვლევების განსაზღვრის მიზნით ძიება ჩატარდა ექვს მონაცემთა ბაზაში, მათ შორის Embase, Medline და Web of Science-ში (2018 წლის მარტი) წინასწარ განსაზღვრული ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმებით. შერჩეული იყო ათი ობსერვაციული კვლევა: შვიდი კოჰორტული და სამი შემთხვევა-კონტროლით კვლევა. ამ კვლევებიდან შვიდი ჩატარებული იყო მეოცე საუკუნეში; შვიდ კვლევაში გამოვლინდა CC-ით სიკვდილიანობის შემცირება ქალებში, რომლებმაც ჩაიტარეს სკრინინგი იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ ჩაუტარებიათ მერყეობდა 41%-დან 92%-მდე. შემცირება მსგავსი იყო დასავლეთ (45-92%) და ჩრდილოეთ (41-87%) ევროპაში და უფრო მაღალი იყო სამ ბოლო კვლევაში (66-92%). სკრინინგზე მოწვეულ ქალებში არ მოწვეულ ქალებთან შედარებით ეს შემცირება 17%-დან 79%-მდე მერყეობდა. ეს სისტემური მიმოხილვა ამტკიცებს, რომ ორგანიზებული სკრინინგი ამცირებს CC-ით სიკვდილს ევროპის იმ ნაწილებში, სადაც დანერგილია აღნიშნული სკრინინგი და მონიტორინგი (157).

შვედეთში საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობა და სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა სკრინინგის ეროვნული პროგრამის დანერგვის შემდეგ, მაგრამ ნარ-

კოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული დარღვევების (DUD, Drug Use Disorders) მქონე ქალები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას სკრინინგულ პროგრამებში. Dahlman D-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის შესწავლა DUD-ის მქონე ქალებში შვედეთის ქალთა საერთო პოპულაციასთან შედარებით. ჩატარებული იყო კოჰორტული კვლევა, რომელიც ეფუძნებოდა შვედეთის ეროვნული რეგისტრის 1997-2015 წლის მონაცემებს. შეგროვებული იყო 15-75 წლის ასაკის 3,838,248 ქალის მონაცემი, რომელთაგან 50,858-ს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები აღნიშნებოდა. ქალებისთვის DUD-ით და მის გარეშე, საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის და სიკვდილიანობის რისკების კორექტირებული თანაფარდობები (HRs) შეფასდა კოქსის რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. კვლევამ უჩვენა, რომ ასაკის, განათლების დონის, სოციალური მდგომარეობის, საცხოვრებელი რეგიონის, ოჯახური მდგომარეობისა და აივ ინფექციის დიაგნოზის მიხედვით სტანდარტიზაციის (კორექტირების) შემდეგ DUD მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის მატებასთან (HR=1.39, 95%CI=1.39-1.61), მაგრამ არა საშვილოსნოს ყელის კიბოს ლეტალურ გამოსავალთან (HR=1.25, 95%CI=0.91-1.71). ამრიგად, DUD-ის მქონე ქალები იდენტიფიცირდნენ, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაღალი რისკის ჯგუფი, რის ერთ-ერთ მიზეზს სკრინინგის პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმა შეადგენს (94).

დანიაში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ზედა ზღვარი 65 წელია, თუმცა საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 23% ამ ასაკის შემდეგ ვლინდება. გარდა ამისა, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის თანდათანობითი იმპლემენტაციის გამო ხანდაზმული ქალები დღევანდელი სტანდარტების მიხედვით სკრინინგის ფარგლებში არასაკმარისად არიან გამოკვლეულნი. ამიტომ, 1948 წლამდე (65 წელზე უფროსი) დაბადებული დანიელი ქალებისთვის შეთავაზებული იყო ერთჯერადი სკრინინგი აპვ ტესტით. კვლევა ჩატარდა რეგისტრის საფუძველზე, სადაც შეტანილი იყო ინფორმაცია ჰისტოლოგიური დიაგნოზებისა და კონიზაციების შესახებ ქალებში, რომლებიც აპვ-დადებითები აღმოჩნდნენ ერთჯერადი სკრინინგისას. ჰისტოლოგიური კვლევის მიმე და მსუბუქი შედეგების მქონე ქალების რაოდენობა და პროპორცია გამოითვალა სკრინინგში მონაწილე და აპვ დადებითი ქალებისთვის ასაკობრივი ჯგუფის ან საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით. ბიოფსიით და/ან კონიზაციით საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN2, CIN2+ ან CIN3+) ერთ შემთხვევაზე ქალების რაოდენობა ასევე გამოითვალა ასაკობრივი ჯგუფების და რეგიონების მიხედვით. კვლევის შედეგების თანახმად, 4479 ქალს (სკრინინგში მონაწილე ქალების 4,1%) აპვ-ტესტზე ჰქონდა დადებითი შედეგი; 2,785 (62%) აპვ-დადებით ქალს ჰისტოლოგიური კვლევა, ხოლო 1076 ქალს კონიზაცია ჩაუტარდა (აპვ-დადებითების 24% და სკრინინგში მონაწილე ქალთა 1%). აპვ-დადებითობის და CIN3+-ის გამოვლენა მცირედით ვარირებდა რეგიონებს შორის, მაგრამ აპვ-დადებითი ქალების პროპორციები, რომელთაც ჰისტოლოგიური კვლევები ჰქონდათ ჩატარებული, 40%-86%-ის ფარგლებში ცვალებადობდა, ხოლო კონიზაცია გავლილი ქალების პროპორცია 13%-36%-ს შეადგენდა. საერთო ჯამში, დიაგნოსტირებული იყო 514 CIN2+ (სკრინინგში მონაწილეთა 0.47%, აპვ-დადებითი ქალების

11%) და 337 CIN3+ (სკრინინგში მონაწილეთა 0.31%, აპვ-დადებითი ქალების 7.5%), მათ შორის, საშვილოსნოს ყელის კიბოს 37 შემთხვევა. სკრინინგული პროგრამების ფარგლებში არასაკმარისად გამოკვლეული დაბადების კოჰორტების აპვ სკრინინგს შეუძლია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის პრევენცია, მაგრამ უფრო ხანგრძლივი დაკვირვება იქნება საჭირო იმის დასადგენად, შემცირდება თუ არა საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობა მომდევნო წლებში (268).

რუმინეთს ათწლეულების მანძილზე აქვს ევროპაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის და სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. რუმინეთის მოსახლეობაში ადამიანის მაღალი რისკის პაპილომავირუსის (hrHPV) გავრცელების მონაცემების ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისთვის მაღალი რისკის ჯგუფებში. Ilisiu MB-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო hrHPV ინფექციის პრევალენტობის განსაზღვრა რუმინეთში და მაღალი რისკის მოსახლეობის იდენტიფიცირება საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის ეფექტური დანერგვის მიზნით. კვლევის სამიზნე მოსახლეობა იყო ყველა ქალი რუმინეთში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები, სხვადასხვა რეგიონებში, ქალაქად და სოფლად მცხოვრები ქალები. ქალებს, რომლებსაც ანამნეზში არ ჰქონდათ კიბოსწინარე ან ონკოლოგიური დაზიანებები შესთავაზეს სკრინინგი hrHPV-ზე. ნიმუშების ტესტირება განხორციელდა ჰიბრიდული Capture 2 (HC2) დნმ ტესტით. შეფასდა ასაკ-სტანდარტიზებული hrHPV პრევალენტობის მაჩვენებლები 95%-იანი სარწმუნობის ინტერვალებით. 18-დან 70 წლამდე 2060 ქალის hrHPV-ტესტირების შედეგების გაანალიზებამ უჩვენა, რომ HrHPV პრევალენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა რუმინელებში (17,9%; 95%CI=15,5-20,7%), უნგრელებში (16,6%; 95%CI=13,1-20,8%), რუსებში (15,6%; 95%CI=11,3-21,3%), ჩრდილოეთ (19.2%; 95%CI=16.5-22.3%) და დასავლეთ რეგიონებში მცხოვრებ ქალებში (23.0%; 95%CI=18.6-28.0%) და ქალებში, რომლებიც ცხოვრობენ ურბანულ არეებში (20.0%; 95%CI=18.5-28.0%). hrHPV პრევალენტობის მაჩვენებლები უფრო დაბალი იყო რომის პოპულაციაში (7,8%; 95%CI=4,7-12,5%). hrHPV-ს პრევალენტობის ეს მაჩვენებლები საშვილოსნოს ყელის კიბოს მაღალი ინციდენტობის ქვეყანაში წარმოადგენს საბაზისო ინფორმაციას საშვილოსნოს ყელის კიბოს მიმართ ინტერვენციის სამიზნე სტრატეგიებისთვის, აგრეთვე, საბაზისო ინფორმაციას მომავალში hrHPV ვაქცინაციის გავლენის შესაფასებლად (150).

ნიდერლანდებში მაღალი რისკის ადამიანის პაპილომავირუსზე (hrHPV) პირველადი სკრინინგის ჩატარებასთან ერთად შეინიშნებოდა კოლპოსკოპიაზე არასაჭირო რეფერალების რაოდენობის ზრდა (საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (CIN) 1). Kaljouw S-ს და სხვათა მიერ ჩატარებული მოდელირებული კვლევის შედეგების მიხედვით, რომლის მიზანი იყო შეესწავლათ ტრიაჟის რომელი ალტერნატიული სტრატეგია ამცირებს უსაფრთხოდ არასაჭირო რეფერალების რაოდენობას აპვ-ზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამებში, აღმოჩნდა, რომ არასაჭირო რეფერალების რაოდენობის შესამცირებლად ინციდენტობისა და სიკვდილიანობის 2%-ზე მეტით გაზრდის გარეშე, საჭიროა HPV16 ან HPV16/18-ის გენოტიპირება განხორციელდეს 12 თვიანი (და არა 6-თვიანი) ინტერვალით (164).

Cubie A და Campbell C-ს მიმოხილვაში მალავის (სამხრეთ აფრიკა) მაგალითზე აღწერილია საშვილოსნოს ყელის კიბოს დადგენის, მკურნალობის და მოვლის არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები დაბალ- და საშუალო შემოსავლიან ბევრ ქვეყანაში. სკრინინგის ისეთი მეთოდები, როგორცაა ციტოლოგია, მართალია, ფართოდ გამოიყენება მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, მაგრამ შეზღუდული რელევანტურობა აქვს დაბალი რესურსის მქონე ბევრ ქვეყანაში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია იძლევა სკრინინგის რეკომენდაციას ადამიანის პაპილომაავირუსის ტესტის გამოყენებით ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის პაპილომაავირუსის პირველადი ტესტირება უფრო მგრძობიარეა და ციტოლოგიაზე ადრე ავლენს კიბოსწინარე მდგომარეობებს და კიბოს, ის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით, რაც ზღუდავს მის გამოყენებას დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. კიბოს მართვის კლინიკური მეთოდების (ქირურგიული ჩარევა, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია და პალიატიური მზრუნველობა) თითოეული კომპონენტის მიწოდება ხშირად შეზღუდულია ინფრასტრუქტურის და სამედიცინო პერსონალის დეფიციტის გამო (92).

მალავიში საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი ძალზე მაღალია აივ ინფექციის მაღალი მაჩვენებლისა და სკრინინგის და მკურნალობის არაადეკვატური სერვისების გამო. ქვეყნის საშვილოსნოს ყელის კიბოს კონტროლის პროგრამა იყენებს ვიზუალურ დათვალიერებას ძმარმყავათი (VIA) და კრიოთერაპიას, მაგრამ სკრინინგი დიდწილად შეზღუდულია სამედიცინო დაწესებულებებთან შეზღუდული წვდომის, კრიოთერაპიული გაზის მაღალი ღირებულების და მკურნალობის შემდგომი დაკვირვების პერიოდში პაციენტების დაკარგვის მაღალი მაჩვენებლის გამო. ამ შეზღუდვების დასაძლევად, Lee F-ს და სხვათა მიერ თემის დონეზე დანერგილი იყო სკრინინგი და მკურნალობის საპილოტე პროგრამა VIA და თერმოკოაგულაციით. ქალებთან, რომლებიც პროგრამის განმავლობაში თერმოკოაგულაციით მკურნალობდნენ, ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები. გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი სკრინინგის და მკურნალობის გამოცდილების, პროგრამის მისაღებობისა და სკრინინგის ალტერნატიული მეთოდის - აპვ-ზე ტესტირებისთვის ნიმუშების თვითშეკრებისადმი დამოკიდებულების შესასწავლად. 2017 წლის ივლისიდან აგვისტომდე პერიოდში, 408 მონაწილემ, რომლებიც სკრინინგის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, გაიარეს VIA-თი სკრინინგი. ოცდაათ მონაწილეს VIA პოზიტიური შედეგი ჰქონდა და მათგან 28 პაციენტმა იმავე დღეს გაიარა თერმოკოაგულაცია. მკვლევარებმა გამოკითხეს 17 ქალი იმ 28-დან, რომლებმაც თერმოკოაგულაცია გაიარეს. ყველა მონაწილემ აღნიშნა საერთო პოზიტიური დამოკიდებულება თემზე დაფუძნებულ სკრინინგის და მკურნალობის პროგრამასთან დაკავშირებით. უარყოფითი შეფასება იშვიათი იყო და მოიცავდა დისკომფორტს სკრინინგის ხანგრძლივობის და პროცედურის შემდგომი შეზღუდვების დაცვასთან დაკავშირებით. მონაწილეთა უმეტესობამ ჩათვალა, რომ თვითშეკრებილი ნიმუშით აპვ-ტესტირების ჩატარება შეიძლება მისაღები იყოს მათი თემის სკრინინგისთვის. აღნიშნულმა ხარისხობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ თემის დონეზე ფართოდ იყო აღიარებული ჩატარებული “სკრინინგი და მკურნალობა” VIA-თი

და თერმოკუაგულაციით. მონაწილეებმა შეაფასეს ხელმისაწვდომი, დროული და უმტკივნეულო მკურნალობა თერმოკუაგულაციით და აღნიშნეს მინიმალური გვერდითი მოვლენების არსებობა. სოფლად მცხოვრები ქალების მოცვის შესახებ სამომავლო მოსაზრებები შეიძლება მოიცავდეს შემდგომ დაკვირვებას თემის დონეზე, მამაკაცი პარტნიორების განათლებას საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ და ნიმუშის თვითაღებას აპვ-ზე ტესტირების მიზნით (175).

ინდოეთში, სადაც საშვილოსნოს ყელის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტვირთი ახლავს, ორგანიზებული სკრინინგის დანერგვის შეფერხების შედეგების შესაფასებლად Campos NG-ს და სხვათა მიერ მოხდა დაავადების აცილებადი ტვირთის პროგნოზირება სკრინინგის პროგრამის დანერგვის სხვადასხვა შესაძლებლობის მიხედვით. გამოყენებული იყო ადამიანის პაპილომავირუსის ინფექციისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს ინდივიდუალური მიკროსიმულაციის მოდელი, რომელიც ადაპტირებული იყო ინდოეთის ეპიდემიოლოგიურ მონაცემებთან რათა მომხდარიყო კიბოს ასაკსპეციფიკური ინციდენტობისა და ძმარმჟავათი ერთჯერადი (30-34 წლის ასაკის ქალებში) ვიზუალური დათვალიერების (VIA) და აპვ დნმ-ზე ერთი ან ორჯერადი ტესტირების გზით ჩატარებულ სკრინინგთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემცირების პროგნოზირება სკრინინგის სხვადასხვა მეთოდის მიხედვით, რომლებსაც ადგილი ექნებოდა 2017-2026 წლებში: 1. სკრინინგის დაუყოვნებელი დანერგვა ამჟამად არსებული სკრინინგ ტესტებით (ერთჯერადი VIA, აპვ-ზე ორჯერადი ტესტირება); 2. სკრინინგის დაუყოვნებელი დანერგვა ამჟამად არსებული სკრინინგ ტესტებით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ადგილას აპვ-ს ერთჯერად ტესტირებაზე გადასვლით 5 წელიწადში; და 3. სკრინინგის 5 წლით შეფერხებული დანერგვა მიმდინარე სკრინინგ ტესტებით ან სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ადგილას აპვ-ზე ტესტირებით. აპვ-ზე ორჯერადი ტესტირების დაუყოვნებელმა დანერგვამ უზრუნველყო 574,100 შემთხვევის და 382,500 სიკვდილის თავიდან აცილება 30-დან 34 წლამდე ასაკის 81.4 მილიონი ქალის სიცოცხლის განმავლობაში, რომლებმაც ერთხელ გაიარეს სკრინინგი 2017-2026 წლებში. შეფერხებულმა დანერგვამ აპვ-ზე ერთჯერადი ტესტირებით გამოიწვია 209,300 შემთხვევის და 139,100 სიკვდილის თავიდან აცილება. მაღალი ტვირთის პირობებში სკრინინგის პროგრამების დანერგვის შეფერხების შედეგად მნიშვნელოვანად გაზრდის ავადობას და სიკვდილიანობას აპვ ვაქცინაციის ასაკს გადაცილებულ ქალებში (68).

2020-2021 წლებში ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტალური კიბოს სკრინინგის პროგრამები ჩაიშალა COVID-19 პანდემიის გამო. Kregting-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო გადატვირთვის ხუთი სტრატეგიის ეფექტის შეფასება სკრინინგის შეფერხების შემდეგ. მოდელირებით შეფასდა სკრინინგის შესაძლებლობები, კიბოს ინციდენტობა და კიბო-სპეციფიკური სიკვდილიანობა 6 თვიანი შეფერხების შემდეგ. გადატვირთვის სტრატეგიები ფასდებოდა იმის მიხედვით, ჩატარდა თუ არა გამოტოვებული სკრინინგული კვლევები და თუ ჩატარდა, დაუყოვნებლივ თუ შეფერხებით და ასევე, გაიზარდა თუ არა ზედა ასაკობრივი ზღვარი. კვლევამ უჩვენა, რომ სკრინინგული პროგრამების შეფერხება გამოტოვებული სკრინინგული კვლევების ანაზღაურების გარეშე მომდევნო 10 წლის განმავლობაში 100000 ადამიანზე გამოიწვევს ძუ-

მუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტული კიბოთი სიკვდილის 2.0, 0.3 და 2.5-ჯერ ზრდას შესაბამისად. გამოტოვებული სკრინინგული კვლევების დაუყოვნებელი ჩატარება მინიმუმამდე შეამცირებს შეფერხების გავლენას, მაგრამ საჭიროებს სკრინინგის შესაძლებლობების გაზრდას. გადატვირთვის რომელი სტრატეგია არის უმჯობესი - დამოკიდებულია სკრინინგის განმახორციელებელ ორგანიზაციაზე და ქვეყანაში არსებულ შესაძლებლობებზე (172).

მოსალოდნელია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტურობა შემცირდება დაავადების პრევალენტობის კლების შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო წარმატებული ვაქცინაციის შედეგს წარმოადგენს. ასევე მოსალოდნელია, რომ ციტოლოგიის ჩანაცვლება მოლეკულური აპკტესტირებით (როგორც პირველადი სკრინინგ ტესტით) და რისკზე დაფუძნებული სკრინინგი ვაქცინირებული პირების ნაკლებად ინტენსიური სკრინინგით და შედარებით უფროს ასაკში ინიცირებით, გააუმჯობესებს ეფექტურობას. Tota JE-ს და სხვათა მიერ აშშ-ში სხვადასხვა სახის კიბოს რისკის ამჟამად დასაშვები დონის შესაფასებლად (ე.ი. ონკოლოგიური დაავადებების, რომელთათვისაც კლინიკური გაიდლაინები არ იძლევიან მეორადი პრევენციის რეკომენდაციას, თუმცა არსებობს სკრინინგის ეფექტური მეთოდები) და სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოსთან (რომელთათვისაც ორგანიზებული სკრინინგი რეკომენდებულია და არ არის რეკომენდებული) დაკავშირებული ინციდენტობის (2008-2012) და გადარჩენის (1988-2011) შესადარებლად, გამოყენებული იყო აშშ-ს კიბოს რეგისტრის მონაცემები. 70-74 წლის ასაკში ყველაზე გავრცელებული კიბო (ე.ი. ასაკობრივ ჯგუფში კიბოს ყველაზე მაღალი ინციდენტობითა და სიცოცხლის გონივრული ხანგრძლივობით, რათა განხილული იყოს სკრინინგის ჩატარების შესაძლებლობა აშშ-ში), რომელიც აკმაყოფილებდა ვილსონისა და იუნგერის სკრინინგის კლასიკურ კრიტერიუმებს, იყო ვულვის კიბო (ინციდენტობა = 9/100 000 ქალზე). შედარებისთვის, საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობა 65 წლის ასაკის ქალებში (სკრინინგის ზედა რეკომენდებული ასაკობრივი ზღვარი) იყო 13 შემთხვევა 100 000 ქალზე (დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სკრინინგის ეფექტურობას), მაშინ როდესაც 10 წლიანი გადარჩენა შეადგენდა 66%-ს (ვულვის კიბო ანალოგიური მაჩვენებელი 67%). სტატიის ავტორების მიდგომა კიბოს სკრინინგში დასაშვები (ტოლერანტული) რისკის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მომავალში ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღებას საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ პროგრამების მოდიფიცირების შესახებ (282).

2.11. ინფორმირებულობის როლი საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულთა გადარჩენაში

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისა და მკურნალობის ეფექტურობაზე მრავალი ბარიერი ახდენს გავლენას, მათ შორის, დაავადებისა და სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის დეფიციტი (14, 42, 49, 90, 115, 125, 127, 163, 169, 179, 184, 196, 204, 227, 233, 247, 251, 253, 262, 270). კამერუნში, რეპროდუქციული ასაკის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობა 24%-ს შეადგენს. შეფასებების თანახმად, ამ ქვეყანაში ყოველწლიურად დაავადების 1,993 ახალი შემთხვევა ფიქსირდება გარდაცვალების 1676 შემთხვევით.

მიუხედავად ამ არაკეთილსაიმედო ვითარებისა, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სერვისებით მოცვა კვლავ დაბალი რჩება და მხოლოდ 19.6%-ს შეადგენს. სწორედ ამ ფონზე, Donatus L-ს და სხვათა მიერ ჩატარებულ კვლევაში შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და ინფორმირებულობა 25-65 წლის ასაკის ქალებში კუმბოს დასავლეთ ჯანდაცვის ოლქში (KWHD). კერძოდ, კვლევა აფასებდა ამ ოლქში ქალების ცოდნას საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ და განსაზღვრავდა ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სერვისებით მოცვაზე. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ჯვარედინ-სექციურ კვლევას KWHD-ში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25-დან 65 წლამდე ასაკის 253 ქალმა. კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი იყო სამნაწილიანი კითხვარი, რომელიც შეიქმნა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის, საშვილოსნოს ყელის კიბოს ცოდნისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის გავლასთან დაკავშირებული ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონაწილეთა უმრავლესობას (74.7%) გაგონილი ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ, ხოლო 43.5%-ს ჩატარებული ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი. მონაწილეთა 24.5%-მა და 29.3%-მა, შესაბამისად, ვერ შეძლო საშვილოსნოს ყელის კიბოს რაიმე რისკის ფაქტორის და სიმპტომის იდენტიფიცირება. კვლევამ აჩვენა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით მოცვა KWHD-ში უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყანაში. დაბალია საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორებისა და სიმპტომების შესახებ ინფორმირებულობის დონე, რის გამოც საჭიროა მოსახლეობაში განათლების და საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორების, პრევენციის ზომებისა, ნიშნების და სიმპტომების შესახებ ცოდნის ამაღლება (106).

საშვილოსნოს ყელის კიბო ქალთა კიბოს ძირითადი ფორმაა სვაზილენდში (ახლა ეს-ვატინი, ქვეყანა სამხრეთ აფრიკაში). ამ პოპულაციაში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის დაბალმა მაჩვენებელმა ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები გამოიწვია. 18-69 წლის ასაკის 300 ქალში, რომლებმაც 2014 წლის მაისიდან აგვისტომდე მიმართეს კლინიკებს, ჩატარდა ჯვარედინ-სექციური კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სვაზილენდში საშვილოსნოს ყელის სკრინინგის დაბალ მაჩვენებელთან დაკავშირებული ფაქტორების იდენტიფიცირებას. მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზმა აჩვენა, რომ 30 წლამდე ასაკის ქალები ნაკლებად მონაწილეობდნენ სკრინინგულ კვლევებში 30 წლის და უფროსი ასაკის ქალებთან შედარებით ($OR=0.06$, $95\%CI=0.01-0.67$). უმაღლესი განათლების მქონე ქალებს საშვილოსნოს ყელის სკრინინგში მონაწილეობის ალბათობა თითქმის 6-ჯერ მაღალი ჰქონდათ ($OR=5.83$, $95\%CI=1.11-30.50$), ხოლო ქალები, რომლებმაც არ იცოდნენ როდის უნდა გაეველოთ სკრინინგი, 73%-ით ნაკლებად იკეთებდნენ საშვილოსნოს ყელის სკრინინგულ ტესტებს ($OR=0.27$, $95\%CI=0.01-0.74$). კვლევამ აჩვენა, რომ უმცროსი ასაკი, დაბალი განათლების დონე და არასაკმარისი ცოდნა იმის შესახებ, თუ როდის უნდა გაკეთდეს საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, გავლენას ახდენს ქალების სკრინინგულ პროგრამებში ჩართულობაზე. კვლევის შედეგებით იკვეთება ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების, საშვილოსნოს ყელის გამოკვლევების მნიშვნელობის შესახებ განათლების საჭიროება. სკრინინგის ამ ბარიერების მოგვარებამ უნდა გამოიწვიოს საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავა-

დებებისა და კიბოს შემცირება, განსაკუთრებით აივ-დადებით პოპულაციაში (11).

Todor DR-ს და სხვათა მიერ ჩატარებული ანალიზი მიზნად ისახავდა იმ ძირითადი მიზეზების დადგენას, რაც განაპირობებს რუმინეთში საშვილოსნოს ყელის კიბოს მაღალ სიკვდილიანობას. კვლევის შედეგებმა უჩვენეს, რომ ქალების დიდი პროცენტი აცნობიერებს სკრინინგის მნიშვნელობას და ადრეული დიაგნოზის სარგებელს, ამასთან, უმეტესობა აღიარებს, რომ თავს არიდებს რუტინულ შემოწმებას დროისა და ფინანსური რესურსის უკმარისობის გამო. კვლევის შედეგები ასევე უჩვენებს, რომ ერთადერთმა უფასო სკრინინგის პროგრამამ, რომელიც რუმინეთში 2012-2017 წლებში განხორციელდა, წარმატებლობა განიცადა მიზნობრივი პოპულაციისთვის მიუღებელი (არასტანდარტიზებული) პროცედურების, ტესტირებული ქალების მცირე რაოდენობის, დაფინანსების ნაკლებობისა და მხარდაჭერის არარსებობის გამო. სკრინინგული პროგრამების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სისტემური, ორგანიზებული პროგრამების დანერგვა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებულ სარწმუნო მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები და, ამასთან, საგანმანათლებლო კამპანიები მოსახლეობის ინფორმირებულების ზრდის თვალსაზრისით (279).

Miles TT-ს და სხვათა მიერ 2015-2016 წლებში პამპასსა და ოაზისში (პერუ) მცხოვრებ ქალებში ჩატარებული ჯვარედინ-სექციური კვლევის მიზანი იყო შეეფასებინათ საშვილოსნოს ყელის კიბოსა და მის პრევენციასთან დაკავშირებით არსებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა ოაზისის და პამპასის ურბანულ მოსახლეობაში, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის სამომავლო კამპანიების დაგეგმვის მიზნით. კვლევაში ჩართული იყო 224 ქალი. საშვილოსნოს ყელის კიბოსა და პაპ ტესტირების შესახებ ცოდნის დონე მაღალი იყო, ხოლო მონაწილეთა უმეტესობის დამოკიდებულება - პოზიტიური. მონაწილეთა უმეტესობამ (89,7%) იცოდა სკრინინგული კვლევის პერიოდულობის, მიზნობრივი პოპულაციის (74,6%), პაპ ტესტირების ფასის (61,9%) შესახებ და მიაჩნდათ, რომ პაპნაცხი მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისთვის (70,1%). პრემენოპაუზაში მყოფი ქალების დაახლოებით მესამედს (29,5%) სკრინინგული კვლევა ჩატარებული ჰქონდა გასულ წელს. ღია კითხვებმა გამოავლინეს აპე ინფექციასთან დაკავშირებული გარკვეული სტიგმა. მიუხედავად იმისა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის შესახებ ცოდნა ზოგადად მაღალი იყო, ხოლო აღქმა პოზიტიური პერუს ურბანულ თემებში მცხოვრებ ქალებში, კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ სტიგმის შესამცირებლად საჭიროა აპე ინფექციის შესახებ განათლება სქესობრივად აქტიურ პირებში (194).

2.12. აპე ვაქცინაციის როლი საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციაში

იმ ცოდნის შედეგად, რომ ადამიანის პაპილომაავირუსის პერსისტენტული ინფექცია საშვილოსნოს ყელის კიბოს გამომწვევ ძირითად მიზეზს წარმოადგენს, შემუშავდა აპე ინფექციის თავიდან ასაცილებელი პროფილაქტიკური ვაქცინები და სკრინინგული ტესტირება აპე-ზე, რომლებიც ვირუსის ნუკლეინის მჟავას ავლენენ.

ჯანმო-მ წამოიწყო გლობალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს პრევენციული, სკრინინგული და სამკურნალო ღონისძიებების მასშტაბის გაზრდას საშვილოსნოს ყელის კიბოს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის, აღმოსაფხვრელად XXI საუკუნის განმავლობაში (26, 61, 85, 89, 107, 108, 160, 189, 255, 256, 257, 271, 273).

საშვილოსნოს ყელის კიბოს 99%-ის, ანალური კიბოს 90%-ის, საშოს კიბოს 65%-ის, ვულვის კიბოს 50%-ის და საყლაპავის კიბოს 45-90%-ის მიზეზად აპვ მიაჩნიათ (7, 9, 15, 16, 17, 20, 25, 27, 30, 39, 40, 54, 59, 63, 64, 131, 150, 241, 245, 309, 310, 313). HPV-ს გადაცემა პირველ რიგში კანით-კანთან ან კანით-ლორწოვან გარსთან კონტაქტით ხდება. სქესობრივი გადაცემის გზა ყველაზე ხშირად არევისტრირებული, მაგრამ კვლევებით დადასტურებულია გადაცემის სხვა გზების არსებობაც. აპვ-ს ჰორიზონტალური გადაცემისას ხდება კონტაქტი ინფიცირებულის ხელებთან, პირის ღრუსთან და კანთან (გარდა სქესობრივი კონტაქტისა). კვლევებში თვით-ინოკულაცია მოხსენიებულია, როგორც აპვ-ს გადაცემის პოტენციური გზა, რადგან ის აღწერილია გენიტალური მეჭეჭების (დაბალი რისკის აპვ) მქონე ქალწულ ქალებში და ბავშვებში, ანამნეზში სქესობრივი ძალადობის გარეშე. დედიდან შვილზე ვერტიკალური გადაცემა აპვ-ს გადაცემის კიდევ ერთი შესაძლო გზაა. რამდენიმე კვლევაში ხაზგასმულია ინფიცირების შესაძლებლობა ბუნებრივი მშობიარობისას პლაცენტასთან ან დედის სასქესო ორგანოების ლორწოვანთან კონტაქტის გზით. დადასტურებულია, რომ რუტინული პირადი ჰიგიენის ზომები არაეფექტურია აპვ-ს გადაცემის თავიდან ასაცილებლად. აპვ-სთან ასოცირებული დაავადებების ავადობასა და სიკვდილიანობასთან დაკავშირებული წლიური ხარჯები დაახლოებით 4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ავსტრალიაში აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ბევრმა გამოკვლევამ აჩვენა თავდაპირველი ეფექტები: საშვილოსნოს ყელის სერიოზული ანომალიების სიხშირის შემცირება და 21 წლამდე ასაკის ქალებში ახალი გენიტალური მეჭეჭების შემთხვევების არარსებობა. ფართო საზოგადოებაში ვაქცინაციის აშკარა სარგებლის შესახებ უფრო ღრმა ცოდნის მიღების ხელშეწყობამ შეიძლება შექმნას ვაქცინის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება და გაფანტოს მითები ცრუ გვერდითი მოვლენების თაობაზე (219).

აპვ ვაქცინაცია უზრუნველყოფს დიდ სარგებელს ჯანმრთელობისთვის და უფრო ხარჯეფექტურია, ვიდრე ადრე იყო შეფასებული. მსოფლიოში პაპილომავირუსის სწრაფი მოდელირებისა და ეკონომიკის ინტერფეისი (Papillomavirus Rapid Interface for Modelling and Economics, PRIME) გამოიყენება გოგონებში ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჯანმრთელობაზე გავლენის და ხარჯეფექტურობის შესაფასებლად. Abbas KM-მ და სხვებმა განაახლეს PRIME მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების (გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივების 2019 წლის შესწორებით), ინვალიდობის ხვედრითი წილის (დაავადებათა გლობალური ტვირთის 2017 წლის კვლევა) და საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის (GLOBOCAN-ის 2018 წლის მონაცემთა ბაზიდან) მიხედვით. შეფასდა ჯანმრთელობის სარგებელი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, 9 და 12 წლის გოგონების ბივალენტური ან კვადრივალენტური და ნონავალენტური ვაქცინაციით 90%-იანი მოცვის შემთხვევაში 2020-29 წლებში, 177

ქვეყნის ტერიტორიაზე. განახლებული მოდელით 9 წლის გოგონების ჯანმრთელობაზე აპვ ვაქცინაციის ზემოქმედების შეფასებამ გამოავლინა, რომ 1000 ვაქცინირებულ გოგონაზე საშვილოსნოს ყელის კიბოს თავიდან აცილებადი შემთხვევების, სიკვდილისა და DALY-ის შეფასებითი მაჩვენებლები 26%-ით, 51%-ით და 72%-ით გაიზარდა წინა შეფასებებთან შედარებით. ბივალენტური ან კვადრივალენტური აპვ ვაქცინა, შეფასების თანახმად, იწვევს 15 შემთხვევის, 12 სიკვდილის და 243 DALY-ის თავიდან აცილებას 1000 ვაქცინირებულ გოგონაზე, ხოლო ნონავალენტური აპვ ვაქცინა -19 შემთხვევის, 14 სიკვდილის და 306 DALY-ის თავიდან აცილებას 1000 ვაქცინირებულ გოგონაზე. 12 წლის გოგონების ჯანმრთელობის სარგებელი ვაქცინაციისგან მსგავსია, მაგრამ მცირედით შემცირებული 9 წლის გოგონების ვაქცინაციასთან შედარებით. მოსალოდნელია, რომ აფრიკის რეგიონი ჯანმრთელობის უდიდეს სარგებელს მიიღებს, თუ ჯანმო პრიორიტეტულ ყურადღებას მიაქცევს აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციას (7).

ექსპერტთა შეფასებით, აშშ-ში აპვ-სთან დაკავშირებული კიბოთი სიკვდილიანობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ტვირთთან ასოცირდება, რომლის დიდი ნაწილის თავიდან აცილება ვაქცინაციითაა შესაძლებელი. Priyadarshini M-ს და სხვათა მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიზანი იყო აპვ (ნონავალენტური, 9v აპვ) ვაქცინაციის სამიზნე ჯგუფებში ვაქცინის გამოყენებამდე პოტენციური სიცოცხლის დაკარგული წლების (YPLL) შეფასება, რაც აპვ-თან ასოცირებული ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ ნაადრევ სიკვდილიანობას უკავშირდებოდა. შეფასებების თანახმად, 2017 წელს ადგილი ჰქონდა აპვ-სთან დაკავშირებული კიბოთი სიკვდილის 7,085 შემთხვევას, რამაც 154,954 YPLL შეადგინა.

აშშ-ში ლათინოამერიკელები წარმოადგენენ მეორე ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ყველაზე მეტად არიან დაზარალებულნი საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობით და სიკვდილიანობით. აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია პირველადი პრევენციის ეფექტურ ფორმას წარმოადგენს. ვაქცინაციის შესახებ გადაწყვეტილების ძირითადი მიმღებები მშობლები არიან, რადგან ვაქცინაცია რეკომენდებულია 9-12 წლის ბავშვებისთვის. Lechuga J. და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო სოციალურ-კულტურული ფაქტორების გავლენის შესწავლა, განსაკუთრებით აშშ-ში მცხოვრებ ლათინო-ამერიკელებთან და მათი როლის განსაზღვრა ვაქცინაციის შესახებ კომუნიკაციის ხელშეწყობასა ან შეფერხებაში. ჩატარდა თანმიმდევრული კვლევა შერეული მეთოდებით მექსიკური წარმოშობის დედა-ქალიშვილ წყვილებში. კვლევა დაფუძნებული იყო პრევენციული ქცევის ინფორმაციულ-მოტივაციურ-ქცევითი უნარების (IMB) მოდელზე. შეფასებული იყო სექსუალობის შესახებ კომუნიკაციის გავლენა აღქმაზე და, ასევე, დედისა და ქალიშვილის კავშირის, ბავშვების ავტონომიის და ეთნიკური იდენტობის გავლენა სექსუალობასთან დაკავშირებულ კომუნიკაციაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ დედების მიერ მათი ქალიშვილების აცრის ალბათობა 5.69-ჯერ მეტი იყო, თუ ისინი ქალიშვილებთან ჩასახვის საწინააღმდეგო მეთოდებზე საუბრობდნენ. ხარისხობრივმა კვლევებმა აჩვენა, რომ ვაქცინირებულთა დედები საუბრობდნენ სექსუალობის შესახებ, ხაზს უსვამდნენ რომ სექსუალობა არის ნორმალური ცხოვრების ნაწილი, მიიჩნევენ, რომ მათი შვილი შესაძლოა, ერთ დღესაც სექსუალურად აქტიური გახდეს და თავის თავს აღიქვამდნენ

სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ძირითად წყაროდ, იმ დედებთან შედარებით, რომელთა შვილებიც არ იყვნენ ვაქცინირებულები. შედეგებმა გამოავლინა საჭირო სოციო-კულტურული მიდგომები სექსუალობის შესახებ ღია ურთიერთობების წახალისების და ბავშვების სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ზომების მიღებისთვის (174).

იაპონიაში ჩატარებული კვლევა აპ-ვაქცინაციის ეფექტურობას ადასტურებს. იაპონიაში, 2010 წელს დაიწყო აპ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაფინანსება 12-16 წლის ასაკის გოგონებისთვის, ამასთან, სამდოზიანმა მოცვამ თავდაპირველად 70%-ს გადააჭარბა. 2013 წელს იაპონიის იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამაში ოფიციალური ჩართვიდან 2 თვის შემდეგ, აპ ვაქცინის შესახებ პროაქტიული რეკომენდაციები შეჩერდა გვერდითი მოვლენების შესახებ მედიაში ფართოდ გაშუქებული ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო. შედეგად ვაქცინაციით მოცვა 1%-ზე დაბლა დაეცა. ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა რაოდენობრივად შეფასებულიყო ვაქცინის ამ კრიზისის გავლენა, და ჯანმრთელობის პოტენციური გაუმჯობესება იმ შემთხვევაში, თუ მოცვის აღდგენა შესაძლებელი იქნება. ამ სამოდულო კვლევაში გამოყენებული იყო Policy1-Cervix მოდელირების პლატფორმა. იაპონიისთვის მოდელი ადაპტირდა აპ-ს გავრცელების, სკრინინგის მეთოდებისა და მოცვის, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის მონაცემების გამოყენებით. შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოს მოსალოდნელი შემთხვევები და სიკვდილიანობა 1994-2007 წლებში დაბადებულთა კოჰორტებისთვის ვაქცინის გადაუჭრელი კრიზისის ქრილში, ასევე შეფასდა აღდგენის მთელი რიგი სცენარები 2020 წლიდან და შემდეგ. დღევანდელ დღეზე ვაქცინის კრიზისის გავლენის შესაფასებლად მოხდა კონტრაქტობრივი სცენარის მოდელირება, რომელშიც 12 წლის ასაკის ბავშვებში 70%-იანი მოცვა შენარჩუნდა 2013 წელს და შემდეგ. ვაქცინაციის კრიზისი 2013-2019 წლებში, სავარაუდოდ, გამოიწვევს დამატებით 24,600-27,300 შემთხვევას და 5000-5700 სიკვდილს 1994-2007 წლებში დაბადებულთა კოჰორტების სიცოცხლის მანძილზე, იმასთან შედარებით მოცვა დაახლოებით 70%-ზე რომ დარჩენილიყო 2013 წლიდან. თუმცა, მოცვის აღდგენას 2020 წელს, გამოტოვებული კოჰორტების catch-up ვაქცინაციის ჩათვლით, შეუძლია 14800-16200 შემთხვევის და 3000-3400 გარდაცვალების თავიდან აცილება. თუ მოცვა არ აღდგება 2020 წელს, დამატებით 3400-3800 შემთხვევას და 700-800 გარდაცვალებას ექნება ადგილი იმ ადამიანების სიცოცხლის განმავლობაში, რომლებიც 2020 წელს 12 წლის არიან. კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში, მომდევნო 50 წლის განმავლობაში (2020-2069) საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 9300-10800 თავიდან აცილებადი სიკვდილის შემთხვევას ექნება ადგილი. შეფასების თანახმად, აპ ვაქცინაციის კრიზისმა დღემდე იაპონიაში დაახლოებით 5000 ადამიანის საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილი გამოიწვია. აქედან ბევრი სიკვდილის შემთხვევის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოხდებოდა ვაქცინაციით მოცვის სწრაფი აღდგენა (254).

ადამიანის პაპილომავირუსთან დაკავშირებული კიბოს ტვირთის შესახებ ცოდნა აუცილებელია აპ-ს არსებული ვაქცინების პოტენციური სარგებელის შეფასებისა და კიბოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ჩინეთში აპ-სთან დაკავშირებული

კიბოს ტვირთი დიდია, ამიტომ აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია და საშვილოსნოს ყელის სკრინინგი აქაც პრიორიტეტული უნდა იყოს. ჩინეთის კიბოს რეგისტრის წლიური ანგარიშიდან ამოღებული იყო კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის 2014 წლის მონაცემები, ხოლო სტატისტიკის ეროვნული ბიუროდან - მონაცემები ქვეყნის მოსახლეობის შესახებ. აპვ-სთან დაკავშირებული კიბოს ტვირთი შეფასდა კიბოს მაჩვენებლებისა და პოპულაციის დინამიკის პროგნოზების გათვალისწინებით სქესის, კიბოს ლოკალიზაციის, ასაკისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. შეფასების თანახმად, 2014 წელს ჩინეთში აპვ-სთან დაკავშირებული კიბოს 110 894 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 99253 საშვილოსნოს ყელის, 4449 სხვა კიბო ქალებში და 7192 კიბო მამაკაცებში. აპვ-ით გამოწვეული ონკოლოგიური დაავადებების ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი 5.69 იყო 100000-ზე, რაც ოდნავ მეტი იყო სოფლად, ვიდრე ქალაქებში. აპვ-სთან დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 51.1% დიაგნოსტირებული იყო 40-54 წლის ასაკის ქალებში, ხოლო არა საშვილოსნოს ყელის კიბოს 75.8% - 45-79 წლის ასაკში. მამაკაცებში კიბოს შემთხვევების 53.4% დიაგნოსტირებული იყო 55-74 წლის ასაკში. შეფასდა აპვ-სთან დაკავშირებული კიბოთი გამოწვეული სიკვდილის 35683 შემთხვევა, მათ შორის 29683 საშვილოსნოს ყელის კიბოთი და 2307 და 3693 არა საშვილოსნოს ყელის კიბოთი, შესაბამისად ქალებსა და მამაკაცებში. მკვლევარები ასკვნიან, რომ ჩინეთში აპვ-სთან დაკავშირებული კიბოს ტვირთი დიდია, ამიტომ აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია და საშვილოსნოს ყელის სკრინინგი პრიორიტეტული უნდა იყოს (110).

პაპუა-ახალ გვინეას საშვილოსნოს ყელის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტვირთი აქვს მსოფლიოში, მაგრამ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის და აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის. პაპუა-ახალი გვინეას მთავრობას განზრახული აქვს აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვა პირველადი პრევენციის მიზნით, მაგრამ არ არსებობს დანერგვის პროცესის სახელმძღვანელოდ საჭირო ადგილობრივი კვლევების მონაცემები.

Kelly-Hanku A-მ და სხვებმა აღწერეს 2012-2014 წლებში პაპუა-ახალი გვინეის სამ პროვინციაში ჩატარებული მულტიცენტრული ხარისხობრივი კვლევის შედეგები. გენდერ-სპეციფიკურ ფოკუს-ჯგუფებში ორგანიზებულმა დისკუსიებმა და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით ჩატარებულმა ინტერვიუებმა პაპუა-ახალ გვინეაში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისთვის აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვამ საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერა მიიღო (168).

საშვილოსნოს ყელის კიბო პარაგვაელი ქალების კიბოთი სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით (შესაბამისად 31.2 და 16 ყოველ 100 000 ქალზე). მიუხედავად იმისა, რომ მაღალი რისკის აპვ-ინფექციასთან (მრავ) და საშვილოსნოს ყელის პრენეოპლასტიკურ და-ზიანებებთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები ფართოდაა შესწავლილი, სპეცი-ფიური გარემოებების პოპულაციურმა მახასიათებლებმა შეიძლება იმოქმედონ აპვ-ზე დაფუძნებული CC სკრინინგის დანერგვის სარგებლიანობაზე. Kasamatsu E-ს და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო აპვ ინფექციასთან და მრავ-პოზიტი-

ურ პარაგვაველ ქალებში მაღალი ხარისხის საშვილოსნოს ყელის ნეოპლაზიასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა. პარაგვავის ცენტრალური დეპარტამენტიდან აპკ ტესტით და პაპ ნაცხით გამოკვლეული იყო 30-64 წლის სულ 5677 ქალი. მრავ-პოზიტიური ქალები გაგზავნილი იყვნენ კოლპოსკოპიაზე, ხოლო ქალებს ანომალიური კოლპოსკოპიით აუღეს ბიოფსია. გამოვლინდა მრავ-სტატუსი და საშვილოსნოს ყელის მაღალი ხარისხის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის ან უფრო მძიმე ხარისხის (CIN2+) არსებობა მრავ-პოზიტიურ ქალებში. კორელაციები შეფასდა მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. მრავ-დადებითი (მრავ+) ქალების პრევალენტობამ 13.8% (95%CI=13.0-14.8) შეადგინა. ეს მნიშვნელობა მცირდებოდა ქალების ასაკთან ერთად (p მნიშვნელობა <0.001) და იზრდებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში სქესობრივი პარტნიორების რაოდენობასთან (p მნიშვნელობა <0.001) და მათი ამჟამინდელი მამაკაცი პარტნიორის წინა ქალი პარტნიორების რაოდენობასთან ერთად, თუ ქალებს ერთი სქესობრივი პარტნიორი ჰყავდათ ცხოვრების მანძილზე (p მნიშვნელობა <0.001); მნიშვნელობა იზარდებოდა 3.06-დან (95%CI=0.073-20.9) თუ პარტნიორ მამაკაცებს ჰყავდათ მხოლოდ ერთი წინა ქალი პარტნიორი 9.19-მდე (95%CI=2.36-61.1), თუ პარტნიორ მამაკაცებს რვა ან მეტი პარტნიორი ქალი ჰყავდათ წარსულში. მრავ-დადებით ქალებში CIN2+ პრევალენტობა 10.7% იყო (95%CI=8.58-13.2) და გაიზარდა ბოლო პაპ ნაცხის შემდეგ გასული დროის ხანგრძლივობასთან (p მნიშვნელობა <0.001) და ორსულობების რაოდენობის ზრდასთან ერთად (p მნიშვნელობა =0.05). ამ გარემოებებში, ქალებისა და მათი მამაკაცი-პარტნიორების სქესობრივი ქცევა დაკავშირებულია მრავ-ინფექციასთან. მრავ+ ქალებში არასაკმარისი სკრინინგის პრაქტიკა და მრავალჯერადი ორსულობა ასოცირდება CIN2+-ის მაღალ პრევალენტობასთან (167).

3. კვლევის მეთოდები და მასალა

3.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის გავრცელების თავისებურებების შეფასება საქართველოში

საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების ეპიდემიოლოგიური თავისებურებების (ავადობა, სიკვდილიანობა, ასაკობრივი და გეოგრაფიული გავრცელება, სტადია დიაგნოზის დასმისას) შეფასების მიზნით გამოყენებული იყო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კერძოდ, კიბოს პოპულაციური რეგისტრის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. პაციენტისა და კიბოს პარამეტრების დასახასიათებლად გამოყენებული იყო ცენტრალური ტენდენციის სტანდარტული საზომები (მოდა, მედიანა, კვარტილი).

მონაცემთა ბაზა მოიცავდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი (ICD10, C53) გამოწვეული სიკვდილის ყველა შემთხვევას 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში. ვინაიდან საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობა 25 წლამდე ასაკში ძალიან იშვიათია საქართველოში (2011-2020 წლებში სიკვდილის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო აღრიცხული), ამ ასაკობრივ ჯგუფში სიკვდილიანობა გამოირიცხა ანალიზიდან. სიკვდილიანობის დინამიკის შესაფასებლად კვლევის პერიოდი გაიყო ორ ნაწილად - 2011-2014 და 2015-2020 წლები.

მონაცემთა ანალიზისთვის ჩატარდა აღწერილობითი კვლევა და შეფასდა ასაკსპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000-ზე ქალზე და სხვა სტატისტიკური ინდიკატორები - ასაკის მედიანა, პირველი კვარტილი (Q1, გარდაცვლილთა 25%-ის ასაკი < Q1-ზე), მესამე კვარტილი (Q3, ასაკი, რომელზეც უფროსია გარდაცვლილთა 25%) და კვარტილთაშორისი დიაპაზონი (IQR, ინტერვალი, სადაც ხვდება ყველა სიკვდილის შემთხვევათა 50%) საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით სიკვდილის მომენტისთვის.

თორმეტი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის (25-29, 30-34, 35-39, 40-44, 45-49, 50-54, 55-59, 60-64, 65-69, 70-74, 75-79, 80 და მეტი), ზემოთ აღნიშნული ათი კალენდარული წლის განმავლობაში, დათვლილია ასაკსპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 ქალზე. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამების EpiInfo მე-7 და Statistical Package of the Social Science (SPSS) Windows-ის 22-ე ვერსიების გამოყენებით. შედეგების სტატისტიკური სანდოობის შესაფასებლად გამოყენებული იყო სტატისტიკური მნიშვნელობის ტესტები - p-value და 95% სარწმუნოების ინტერვალი (95% CI).

3.2 კვლევის მეთოდები

3.2.1 კაპლან-მეიერის სტატისტიკური მეთოდი

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებლის და მასზე მოქმედი ფაქტორების შეფასების მიზნით გამოყენებული იყო სტატისტიკური მოდელირების კაპლან-მეიერის და კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მეთოდები. კაპლან-მეიერის მეთოდით შეფასდა გადარჩენის საერთო მაჩვენებელი. ამასთან, კვლევის ამ მეთოდით შესაძლებელია გადარჩენის მაჩვენებლების შედარება პაციენტთა ორი ან მეტი ჯგუფისთვის, რომლებიც განსხვავებული პრედიქტორების ზემოქმედებას განიცდიან. აღნიშნული მეთოდი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პაციენტთა იმ ფრაქციის/ხვედრითი წილის დადგენის მიზნით, რომლებიც დიაგნოზის დასმიდან, ან სპეციფიკური მკურნალობის დაწყებიდან დროის განსაზღვრულ პერიოდში ცოცხლობენ.

კაპლან-მეიერის მეთოდით შეფასებისას იმ პირებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია გარკვეული პერიოდისთვის ხელმისაწვდომი არ არის (უცნობია, ცოცხალია ან გარდაიცვალა), მოიხსენიებიან როგორც არასრული დაკვირვების შემთხვევებს (Censored Cases). კვლევაში მონაწილე პირთა სიიდან ამ პაციენტთა უგულვებელყოფით მნიშვნელოვანი ინფორმაცია იკარგება. აღნიშნული ანალიზის დროს გამოიყენება ორი დაშვება: პირველი - მიჩნეულია, რომ დაკვირვების არეალიდან დაკარგულ ნებისმიერ პაციენტს, აქვს ისეთივე გადარჩენის პერსპექტივა, როგორც იმ პაციენტებს, რომლებზეც მეთვალყურეობა გრძელდება; მეორე - გადარჩენის ალბათობა მსგავსია კვლევაში სხვადასხვა დროს ჩართული პაციენტებისთვის.

სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების ქვემდებარე ჯგუფების გადარჩენის მაჩვენებელთა შორის არსებული განსხვავების სტატისტიკური სანდოობა შეფასდა logrank ტესტის და 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალის გამოყენებით.

კაპლან მეიერის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია სტანდარტული მრუდებით და ცხრილებით. სტანდარტული ცხრილების სტატისტიკური პარამეტრების ახსნა კი მოცემულია ქვემოთ (ცხრილები 3.1 და 3.2).

ცხრილი 3.1. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

ფაქტორი	საშუალო			
	შეფასებითი მნიშვნელობა	სტანდარტული შეცდომა	95% სარწმუნოების ინტერვალი	
			ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი

ცხრილი 3.2. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

ტესტი	ხი-კვადრატი	დიფერენცირების ხარისხი	სარწმუნოება
LogRank (Mantel-Cox)			

3.2.2 საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის (ზიანის) რისკის შეფასება კოქსის სტატისტიკური რეგრესიული ანალიზის მეთოდით

logrank ტესტი არ იძლევა სხვა დამოუკიდებელი ცვლადების ზემოქმედების ეფექტის შეფასების საშუალებას. კოქსის რეგრესიით ანუ პროპორციული რისკების რეგრესიული ანალიზით (რისკის ფუნქცია), ისევე როგორც მულტივარიაციული რეგრესიის მოდელით, შესაძლებელია გადარჩენის პერიოდზე სხვადასხვა დამოუკიდებელი ცვლადების ერთობლივი ეფექტის შეფასება, ანუ ფასდება განსაზღვრულ დროის ინტერვალში ინდივიდუალური გამოსავალის (მაგალითად, სიკვდილის) გამოვლენის ალბათობა რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადის ერთობლივი ზემოქმედების დროს.

რისკი, რომელიც გადარჩენის ალბათობის საპირისპირო ფუნქციაა, დამოუკიდებელი ცვლადია და, შესაძლოა, განისაზღვროს როგორც სიკვდილის ალბათობა მოცემულ დროში, იმის დაშვებით, რომ პაციენტები მიაღწევენ ამ მოცემულ დრომდე. პროპორციული რისკების მოდელი (კოქსის რეგრესია) გამოყენებული იყო სიკვდილიანობის მაღალი რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების (პრედიქტორების) დადგენის მიზნით. აღნიშნულის ინტერპრეტაცია შესაძლებელია, როგორც დროის t შუალედში გარდაცვალების რისკი.

ჰისტოლოგიურად დადასტურებული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელთა და სიკვდილიანობის რისკების შეფასების მიზნით, გამოყენებული იყო კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზა. კვლევის პროცესში გაანალიზდა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკის, საცხოვრებელი რეგიონის, კიბოს სტადიის, დიფერენცირების ხარისხის, ჩატარებული მკურნალობის და სხვა თავისებურებების ზემოქმედება გადარჩენის პერიოდზე.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა შერჩეული სტატისტიკური პაკეტის გამოყენებით (SPSS).

უნივარსიტეტული ანალიზი განიხილებოდა როგორც ნულოვანი მოდელი, რა დროსაც საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა შეფასდა თითოეული ფაქტორის სხვადასხვა კატეგორიების/დონეების მიხედვით სხვა ფაქტორით/ფაქტორებით კორექტირების გარეშე. თითოეული ფაქტორისთვის შესადარებელი დონე (reference level) შეირჩა წინასწარ.

მომდევნო ეტაპზე გამოყენებული იყო მულტივარიაციული ანალიზის რამდენიმე მოდელი. პირველი მოდელი - დიაგნოზის დასმისას კიბოს დიფერენცირების ხარისხის მიხედვით კორექტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიები. მომდევნო მოდელებში (2-5) სიკვდილიანობის თანაფარდობა შეფასდა დამატებითი კორექტირებით: მე-2 მოდელი - პირველ მოდელს დაემატა კორექტირება ქსოვილის ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით; მე-3 მოდელი - კიბოს სტადია დიაგნოზის დასმისას კორექტირებული პაციენტის ასაკით დიაგნოზის დასმისას; მე-4 მოდელი - მესამე მოდელს დაემატა კორექტირება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; მე-5 მოდელი - საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა ჩატარებული მკურნალობის მეთოდების მიხედვით.

კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზით მიღებული შედეგები ასახულია სტანდარტულ ცხრილებში. წარმოდგენილი სტატისტიკური პარამეტრების ახსნა კი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში (ცხრილები 3.3 და 3.4).

ცხრილი 3.3. შერჩეული ფაქტორების ან ერთი და იმავე ფაქტორის სხვადასხვა მნიშვნელობების/დონეების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ჯგუფებში სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასება

ფაქტორ(ებ)ი	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95% CI for Exp(B)	
							Lower	Upper

სარწმუნობის დონე ვასდება p-მნიშვნელობით, რომელიც მოცემულია „sig“ (significance) სვეტში. ინდივიდუალური პრედიქტორის ეფექტი მოცემულია Exp(B) სვეტში, რომელიც რისკების (ზიანის) თანაფარდობას წარმოადგენს (hazard ratio). ცხრილში (3.3) წარმოდგენილი დანარჩენი ცვლადების მნიშვნელობაა: Wald – სტატისტიკური ტესტი (მას აგრეთვე უწოდებენ Wald ხი-კვადრატ ტესტს), SE (Standard Error) - სტანდარტული შეცდომა, B - კვლევის ძალა, df – degrees of freedom - თავისუფლების ხარისხი (თხ), 95%CI (Confidence Interval) - 95%-იანი სარწმუნობის ინტერვალი, Lower - ქვედა (ზღვარი), Upper - ზედა (ზღვარი).

ცხრილი 3.4. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.

-2 Log Likelihood - ლოგარითმული ალბათობის კოეფიციენტი

3.3. კვლევაში გამოყენებული ცვლადები

კვლევაში გამოსავალ/დამოკიდებული ცვლადია (Outcome Variable) დიაგნოზის დასმის შემდეგ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტთა გადარჩენის პერიოდი. გადარჩენის პერიოდი მოცემულია თვეებში.

შესწავლილი იყო გადარჩენის პერიოდზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები (პრედიქტორები):

1. საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადია დიაგნოზის დასმისას: საქართველოში გამოიყენება კიბოს ამერიკის გაერთიანებული საბჭოს (American Joint Committee on Cancer AJCC) მიერ მიღებული კიბოს სტადიები, რომელთა შესაბამისად, კვლევაში დიაგნოზის დასმისას კიბოს სტადიის კატეგორიზაცია მოხდა ხუთ ჯგუფად: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და უცნობი.
2. კიბოს ქსოვილის დიფერენცირების ხარისხი ხუთ ჯგუფად დაიყო: მაღალი, საშუალო, დაბალი, არადიფერენცირებული და უცნობი.
3. საშვილოსნოს ყელის კიბოს ჰისტოლოგიური ტიპები სტატისტიკური ანალიზის დროს გაერთიანდა 7 ჯგუფში: სიმსივნე, ავთვისებიანი, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8000); კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8010); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8070); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა გარქოვანების პროცესში (8071); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე (8072); ინვაზიური ადენოკარცინომა (8140); უცნობი და „სხვა“. „სხვა“-ში გაერთიანებულია დანარჩენი ჰისტოტიპები, რომლებიც, თითოეული ძალიან მცირე ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი და დამოუკიდებლად გაანალიზება სტატისტიკურად მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოიტანდა.
4. საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას პაციენტთა ასაკის დაყოფა მოხდა სამ ქვეჯგუფად: 41 წლამდე, 41-59 და 60 წელი და უფროსი ასაკის. პაციენტის ასაკის დასახასიათებლად გამოყენებულია ცენტრალური ტენდენციის სტანდარტული სა-

ზომები (საშუალო ასაკი, კვარტილი).

5. კიბოს მკურნალობის (ქირურგია, სხივური და მედიკამენტური თერაპია) ჩატარების შესახებ მონაცემები გაანალიზდა როგორც დიხოტომური ცვლადი - ჩაიტარა/არ ჩაუტარებია.
6. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადარჩენის მაჩვენებელთა გაანალიზებისას თბილისის მაჩვენებელი შედარდა დანარჩენი რეგიონების - აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი - გადარჩენის მაჩვენებლებს.


4. კვლევის შედეგები

4.1 საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის თავისებურებები, საქართველო, 2015-2021 წლები

საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობა


2015-2021 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობა საქართველოში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. მაქსიმალურ მაჩვენებელს მან 2016 წელს მიაღწია და შეადგინა 21.4 100 000 ქალზე. ამავე წლიდან შეინიშნება კლება, ხოლო 2019 წელს მაჩვენებელმა მოიმატა და მიაღწია 18-ს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი, გამოვლინდა 2021 წელს და შეადგინა 14.6 100 000 ქალზე. სიკვდილიანობის მაჩვენებელი საანგარიშო წლებში მერყეობდა 6.2-დან (2016 წ.) 8.6-მდე (2018 წ.) 100 000 ქალზე. სხვა წლებში კი ასე განაწილდა - 2015 წელს შეადგინა 8.5, 2017 წელს - 8.1, 2019 წელს - 8.5, 2020 წელს - 8.1, ხოლო 2021 წელს - 7.8 (სურათი 4.1.1) (3, 4).

სურათი 4.1.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელება საქართველოში 2015-2021 წლებში




2019-2021 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიები თითქმის ერთნაირად განაწილდა. 2019 წელს პირველ და მეორე სტადიაზე დიაგნოზი 46%-ში დაისვა, 2020 და 2021 წლებში ეს მონაცემი შემცირდა და ორივე წელს 42% შეადგინა (სურათი 4.1.2).

სურათი 4.1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს განაწილება სტადიების მიხედვით 2019-2021 წლებში



საშვილოსნოს ყელის კიბოს და კიბოსწინარე დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის საუკეთესო საშუალება სკრინინგია. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში კიბოს სკრინინგმა ხელი შეუწყო საშვილოსნოს ყელის, ძუძუს, კოლორექტული კიბოს სიკვდილიანობის მნიშვნელოვან შემცირებას. 2008 წლიდან თბილისში, ხოლო 2011 წლიდან მთელს საქართველოში დანერგულია კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტული კიბოს სკრინინგი და პროსტატის კიბოს მართვა. პროგრამა დაყოფილია ორ ნაწილად - თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობის სკრინინგი იმართება თბილისის მერიის (მუნიციპალური პროგრამა), ხოლო დანარჩენი მოსახლეობის სკრინინგი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ (სახელმწიფო პროგრამა). საშვილოსნოს ყელის კიბოს პროგრამის მიზნობრივ პოპულაციას შეადგენს 25-60 წლის ასაკის ქალები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, სამ წელიწადში ერთხელ ჩაიტარონ უფასო სკრინინგი, თუმცა მიზნობრივი პოპულაციის ჩართულობა სკრინინგულ პროგრამაში დაბალია. სწორედ ეს არის საშვილოსნოს ყელის კიბოს დაგვიანებულ სტადიაზე დადგენის ძირითადი მიზეზი. სურათზე (4.1.3) მოცემულია საქართველოში მიზნობრივი პოპულაციის სკრინინგით მოცვის მაჩვენებლები.

სურათი 4.1.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით მიზნობრივი პოპულაციის (25-60 წელი) მოცვის მაჩვენებლები 2014-2021წლებში, საქართველო




რაც შეეხება საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკობრივ თავისებურებებს, მინიმალური მაჩვენებელი 20-25 წლის ასაკობრივ ჯგუფშია, შემდეგ მცირედით მატულობს, ხოლო 40 წლის ასაკიდან მკვეთრად იზრდება და 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფამდე თითქმის თანაბარია. მაქსიმუმს სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფში აღწევს (ცხრილი 4.1.1, სურათი 4.1.4).

ცხრილი 4.1.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკსპეციფიკური ავადობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე (2015-2021წლები)


ასაკი/წლები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
25-29	0.7	3.6	2.9	0.8	2.3	3.0	4.5
30-34	9.0	11.8	7.3	7.4	5.2	4.4	3.0
35-39	20.5	20.6	13.5	7.1	14.9	8.7	5.3
40-44	42.5	28.3	26.0	26.2	35.2	26.2	14.8
45-49	42.7	43.2	28.6	25.0	35.8	23.3	33.8
50-54	43.6	53.2	31.3	43.8	35.8	38.2	36.3
55-59	30.9	47.6	33.6	34.7	41.8	38.3	35.5
60-64	32.5	24.5	30.0	23.7	38.0	38.8	22.9
65-69	26.0	32.9	26.5	30.7	30.7	31.6	32.5
70-74	21.9	35.5	29.6	19.8	35.4	36.8	33.8
75-79	19.3	14.6	15.9	9.3	14.6	6.6	13.3
80+	5.1	8.8	7.4	5.8	11.7	12.8	7.0

სურათი 4.1.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკსპეციფიკური ავადობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე (2019-2021 წლები)



სხვადასხვა კალენდარულ წელს ავადობის მაქსიმალური მნიშვნელობა გამოვლინდა რაჭა-ლეჩხუმში (2015, 2018 წლები), ქვემო ქართლში (2016 წ.), აჭარაში (2017 წ.), მცხეთა-მთიანეთში (2019 წ.), კახეთში (2020 წ.). ზოგიერთ წელს კი ამავე რეგიონებში მაჩვენებლის მინიმალური დონე დაფიქსირდა. 2021 წელს საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა გურიაში (8.5 100 000 ქალზე), ხოლო მაქსიმალური - მცხეთა-მთიანეთში (19.2). სამცხე-ჯავახეთში მაჩვენებელმა შეადგინა 11.0, შიდა ქართლში - 11.1, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 12.2, კახეთში - 12.9, თბილისში - 13.2, იმერეთში - 13.4, ქვემო ქართლში - 13.9, აჭარაში - 17.5, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 18.2.

სურათი 4.1.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს რეგიონული განაწილება საქართველოში 2015-2021 წლებში



საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობა, 2011-2020 წლები, საქართველო

საქართველოში 2011-2020 წლებში რეგისტრირებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილის 1552 შემთხვევა. ყოველწლიურად გარდაცვლილთა რაოდენობა 121-185 შემთხვევის ფარგლებში ვარიირებდა, ხოლო 100 000 ქალზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი შესაბამისად იყო 6.1-დან 9.5-მდე. 95% სანდოობის ინტერვალის თანახმად, კალენდარული წლების მიხედვით სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად დამაჯერებელი არ არის.

ცხრილი 4.1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 ქალზე და 95% სანდოობის ინტერვალები, 2011-2020 წლები, საქართველო

სტატისტიკური ინდიკატორები	წლები									
	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
რაოდენობა	121	142	136	158	166	185	157	166	164	157
მაჩვენებელი 100 000 ქალზე	6.1	7.3	6.9	8.1	8.5	9.5	8.1	8.6	8.5	8.2
95% CI	5.1-7.3	6.1-8.5	5.9-8.2	6.9-9.5	7.3-9.9	8.2-10.9	6.9-9.4	7.3-9.9	7.2-9.9	6.9-9.5

საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა ასაკთან ერთად მატულობდა. ანალიზში ჩართულ თითქმის ყველა კალენდარულ წელს (2011-2020 წლები) ასაკ-სპეციფიკური მაჩვენებელი ასაკთან ერთად მატულობდა 25-59 წლიდან, ხოლო ზომიერი შემცირება გამოვლინდა 60-64-დან 65-69-მდე და 80 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში (ცხრილები 4.1.3 და 4.1.4).

საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების მედიანა არათანმიმდევრულად მერყეობდა 57 - 63.7 წლების ფარგლებში, თუმცა ბოლო წლებში აღინიშნა საშუალო ასაკის მატების ტენდენცია. აღწერილი კალენდარული წლების უმეტესობაში სიკვდილის შემთხვევათა ერთი მეოთხედი 25-52 წლების ასაკობრივ ჯგუფზე მოდის.

სიკვდილიანობის ასაკობრივი მაჩვენებლების შედარებამ 2011-2014-და 2015-2020 წლებში ცალმხრივი დისპერსიული ანალიზით (One-way ANOVA ტესტი) აჩვენა, რომ სხვაობა არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p > 0,05$). სიკვდილიანობის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებლები 2011-2014-და 2015-2020 წლებში შეადგენდნენ შესაბამისად 11.7 (SD = 7.0) და 14.1 (SD = 6.6)-ს.

ცხრილი 4.1.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკსპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 ქალზე და 95% სანდოობის ინტერვალი, 2011-2020 წლები

მაჩვენებელი/ 95%CI	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65-69	70-74	75-79	80+
2011 წ.												
მაჩვენებელი	0.7	4.6	6.2	4.7	9.8	9.7	14.2	18.3	7.2	12	12.6	9.0
95%CI	0.04- 3.5	1.9- 9.5	2.9- 11.8	1.9- 9.7	5.6- 16.1	5.5- 16	8.9- 22	11.5- 27.8	2.6- 16	6.7- 20	6.2- 23.2	3.9- 17.8
2012 წ.												
მაჩვენებელი	0	0.8	4.7	9.5	9.5	11	15.6	9.7	11.4	24.3	32.1	7.7
95%CI	0	0.04- 3.8	1.9- 9.8	5.1- 16.2	5.3- 16.0	6.5- 17.5	9.8- 23.7	5.1- 16.9	5.3- 21.6	16.1- 35.0	21.0- 47.0	3.1- 15.9
2013 წ.												
მაჩვენებელი	0	0.8	3.9	7.2	9.2	15.8	13.9	13.8	11.6	14.2	13.8	2.4
95%CI	0	0.04- 3.8	1.4- 8.7	3.5- 13.2	5.0- 15.6	10.3- 23.3	8.5- 21.5	8.2- 22	5.7- 21.4	7.9- 23.6	7.3- 24	1.5- 3.7
2014 წ.												
მაჩვენებელი	0.7	0.8	2.4	5.2	12.6	15.9	14.3	14.4	17.2	24.1	17.8	2.0
95%CI	0.04- 3.5	0.04- 3.7	0.6- 6.4	9.6- 16.3	7.5- 20	10.3- 23.4	8.9- 22	8.7- 22.6	10- 27.7	15-37	10.3- 28.6	1.2- 3.2
2015 წ.												
მაჩვენებელი	0	0	7.1	13.7	12.9	15.6	25.7	12.5	18.6	11.7	18.2	1.2
95%CI	0	0	3.5- 13	8.2- 21.5	7.6- 20.5	10- 23.2	18.2- 35.4	7.3- 20.1	11.4- 28.8	5.4- 22.2	10.8- 28.9	0.6- 2.3
2016 წ.												
მაჩვენებელი	0	1.5	5.5	11.4	16.3	16.1	23.8	19.6	17.4	27.1	22.6	1.0
95%CI	0	0.2- 4.9	2.4- 11	6.5- 18.6	10.3- 24.8	10.4- 24	16.7- 33.1	12.9- 28.8	10.6- 26.9	16.3- 42.5	14.2- 34.2	0.5- 1.9
2017 წ.												

მაჩვენებელი	0	0.73	4.7	9.8	14.8	15.3	15.7	16.1	19.5	15.7	15.4	1.7
95%CI	0	0.04-3.6	1.9-9.8	5.3-16.6	9.0-23.0	9.6-23	10-23.4	10.1-24.4	12.4-29.3	7.9-27.9	8.6-25.7	0.9-2.8
2018 წ.												
მაჩვენებელი	0.75	3.7	6.3	10.6	0	16.7	23.4	19.8	20.8	11.3	17.3	1.9
95%CI	0.04-3.7	1.3-8.2	2.9-12	5.9-17.8	0	10.6-25.1	16.4-32.5	13.1-28.8	13.5-30.7	5.3-21.5	9.6-28.8	1.1-2.9
2019 წ.												
მაჩვენებელი	0	0	4.7	5.8	11.7	14.6	20.6	18.0	17.9	27.9	10.5	19.5
95%CI	0	0	1.7-10.3	2.3-11.8	6.4-19.6	8.7-23.1	13.8-29.5	11.4-26.9	10.9-27.6	17.3-42.6	3.9-22.9	7.2-42.4
2020 წ.												
მაჩვენებელი	0	0.7	5.9	14.3	14.4	10.8	11.5	16.7	32.9	20.0	24.8	23.0
95%CI	0	0.02-4.1	2.3-11.9	8.3-22.9	8.3-22.8	6.1-17.8	6.4-18.9	10.0-26.0	21.9-47.6	10.3-34.9	13.9-40.9	9.3-47.4

ცხრილი 4.1.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის ასაკსპეციფიკური მაჩვენებლების საშუალო და სტანდარტული გადახრა (SD), 2011-2020 წლები

სტატისტიკური ინდიკატორები	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65-69	70-74	75-79	80+
საშუალო	0,1	0,2	1,4	5,2	9,2	10,7	14,0	18,1	15,8	17,2	19,2	18,9	7,5
სტანდარტ. გადახრა	0,3	0,4	1,7	1,5	3,3	4,8	2,6	5,0	3,7	4,6	7,4	6,8	6,4

საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევათა ასაკის კვარტილ-თაშორისი დიაპაზონი, რომელიც სიკვდილის ყველა შემთხვევათა 50%-ს მოიცავდა, საკმაოდ ვიწრო იყო და უტოლდებოდა 47-67, 52-72 ან 52-67 წლებს სხვადასხვა კალენდარულ წლებში (ცხრილი 4.1.5).

ცხრილი 4.1.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის მედიანა, კვარტილები (Q1 და Q3) და კვარტილთაშორისი დიაპაზონი (IQR), 2011-2020 წლები

სტატისტიკური გაზომვები	წლები									
	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მედიანა	57	62	59.5	62	57	57	57	62	61	63.7
ასაკის Q ₁	47	52	52	52	47	52	52	52	52	52
ასაკის Q ₃	67	72	72	72	67	67	67	67	72	72
ასაკის IQR	20	20	20	20	20	15	15	15	20	20

ბოლო წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გარდაცვალების ასაკის მედიანის მატება კეთილსაიმედო ტენდენციაა ქვეყანაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული სიკვდილიანობის შემცირების დინამიკის თვალსაზრისით.

4.2 კაპლან-მაიერის და კოქსის რეგრესიულ სტატისტიკურ ანალიზში ჩართულ პაციენტთა მონაცემთა ბაზის დახასიათება

მონაცემები, რომელიც, როგორც ზემოთ არის მითითებული, აღებულია კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზიდან. შეიცავს ინფორმაციას 2019 პაციენტის შესახებ (პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების გარეშე), რომელთაც 2015-2020 წლებში დაესვათ საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი. აღნიშნულ ბაზაში დაავადების დიაგნოზის დასმისას პაციენტთა ასაკის დიაპაზონი შეადგენდა 21-89 წელს, საშუალო ასაკი - ≈ 55 წელს; პაციენტთა $\approx 12\%$ იყო 41 წლამდე, 65% კი 41-59 ასაკის, ცენტრალური 50% -ის ასაკობრივი დიაპაზონი 46-64 წელს შეადგენდა. პირველ და მეორე სტადიაზე გამოვლენილთა ხვედრითმა წილმა $\approx 51\%$ შეადგინა, საკმაოდ მაღალ პროცენტში (10.5%) არ იყო განსაზღვრული დაავადების სტადია, ხოლო პაციენტთა დანარჩენი 38.5% -ში დიაგნოზი დადგინდა მესამე და მეოთხე სტადიაზე.

რეგისტრის მონაცემების მიხედვით, პაციენტთა ნახევარზე მეტს (53%) მხოლოდ ერთი რომელიმე მეთოდით (ქირურგიული, მედიკამენტური ან სხივური) ჰქონდათ მკურნალობა ჩატარებული, მათ შორის 37% -ს ჩაუტარდა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, 28% -ს - მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობა, და 35% -ს - მხოლოდ სხივური თერაპია; სტატისტიკურ ანალიზში ჩართულთა მესამედს (33%) თბილისში მაცხოვრებლები შეადგენდნენ; პაციენტთა 29% -ს ჰქონდა მაღალი და საშუალოდ დიფერენცირებული საშვილოსნოს ყელის კიბო, ამასთან, მაღალი იყო იმ პაციენტთა ხვედრითი წილი, რომელთა ქსოვილის დიფერენცირების ხარისხი არ იყო განსაზღვრული (41.4%); ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით სჭარბობდა ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (50%).

ცხრილი 4.2.1. სიცოცხლის სტატუსი სტატისტიკური ანალიზის მომენტში

სტატუსი	სიხშირე	%	კუმულაციური %
ცოცხალი	1400	69.3	69.3
მკვდარი	619	30.7	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.2. კიბოს სტადია დიაგნოზის დასმისას

სტადიები	რაოდენობა	%	კუმულაციური %
პირველი	541	26.8	26.8
მეორე	487	24.1	50.9
მესამე	506	25.1	76.0
მეოთხე	274	13.6	89.5
უცნობი	211	10.5	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.3. კიბოს დიფერენცირების ხარისხი

დიფერენცირების ხარისხი	რაოდენობა	%	კუმულაციური %
მაღალი	113	5.6	5.6
საშუალო	477	23.6	29.2
დაბალი	583	28.9	58.1

არადიფერენცირებული	10	0.5	58.6
უცნობი	836	41.4	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.4. კიბოს ჰისტოლოგიური ტიპები

ჰისტოლოგიური ტიპები	რაოდენობა	%	კუმულაციური %
სიმსივნე ავთვისებიანი, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8000)	147	7.3	7.3
კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8010)	55	2.7	10.1
ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (8070)	947	46.9	57.0
ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა გარქოვანების პროცესში (8071)	84	4.2	61.1
ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე (8072)	221	10.9	69.8
ინვაზიური ადენოკარცინომა (8140)	176	8.7	85.6
სხვა	319	15.8	89.1
უცნობი	70	3.5	100.0
საერთო რაოდენობა	2019	100.0	

ცხრილი 4.2.5. პაციენტთა ასაკობრივი ჯგუფები დიაგნოზის დასმისას

ასაკობრივი ჯგუფები	რაოდენობა	%	კუმულაციური %
40>	237	11.7	11.7
41-59	1080	53.5	65.2
60 +	702	34.8	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.6. პაციენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
(თბილისი / რეგიონი)

საცხოვრებელი ადგილი	რაოდენობა	%	კუმულაციური %
თბილისი	661	32.7	33.0
რეგიონი	1358	67.3	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.7. პაციენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საქართველოს რეგიონები)

რეგიონები	რაოდენობა	%	კუმულაციური %
თბილისი	661	32.7	33.0
აჭარა	189	9.3	42.3
გურია	60	3.0	45.3
იმერეთი	245	11.9	57.3
კახეთი	164	8.0	65.4
მცხეთა-მთიანეთი	48	2.4	67.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ.სვანეთი	11	0.5	68.3
სამეგრელო, ზემო სვანეთი	144	7.0	75.4
სამცხე-ჯავახეთი	65	3.2	78.7
ქვემო ქართლი	232	11.4	90.1
შიდა ქართლი	153	7.5	97.7
აფხაზეთი	47	2.3	100.0
საერთო	2019	100.0	

ცხრილი 4.2.8. პაციენტთა განაწილება გამოყენებული მკურნალობის მეთოდების მიხედვით

მკურნალობის მეთოდები	რაოდენობა	%	კუმულაციური %
ერთი მეთოდი	1050	53.0	53.1
ქირურგია+მედიკამენტური	138	6.4	59.6
ქირურგია+მედიკამენტური+სხივური	290	14.9	73.9

ქირურგია+სხივური	205	9.7	83.9
მედიკამენტური+სხივური	259	12.6	96.6
პალიატიური	67	3.3	100.0
საერთო	2009	100.0	

ცხრილი 4.2.9. პაციენტთა განაწილება ჩატარებული მედიკამენტური მკურნალობის მიხედვით (ჩაუტარდა / არ ჩატარებია)

მკურნალობის ჩატარება	რაოდენობა	%	კუმულაციური %
დიახ	893	44.4	45.6
არა	1116	55.5	100.0
საერთო	2009	100.0	

ცხრილი 4.2.10. პაციენტთა განაწილება ქირურგიული მკურნალობის მიხედვით (ჩაუტარდა / არ ჩატარებია)

ქირურგია	რაოდენობა	%	კუმულაციური %
დიახ	924	46.0	47.1
არა	1085	54.0	100.0
საერთო	2009	100.0	

ცხრილი 4.2.11. პაციენტთა განაწილება სხივური თერაპიის მიხედვით (ჩაუტარდა/არ ჩატარებია)


სხივური თერაპია	რაოდენობა	%	კუმულაციური %
დიახ	1029	51.2	52.5
არა	980	48.7	100.0
საერთო	2009	100.0	

ცხრილი 4.2.12. პაციენტთა განაწილება მიღებული პალიატიური მზრუნველობის მიხედვით (ჩაუტარდა / არ ჩატარებია)

პალიატიური მზრუნველობა	რაოდენობა	%	კუმულაციური %
დიახ	215	10.7	11.0
არა	1794	89.3	100.0
საერთო	2009	100.0	

4.3 საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება კაპლან-მეიერის სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით

სურათი 4.3.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა სტადიების მიხედვით




ცხრილი 4.3.1. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

სტადიები	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
პირველი	68.198	0.894	66.445	69.951
მეორე	57.502	1.361	54.833	60.170
მესამე	44.234	1.452	41.387	47.081
მეოთხე	30.739	1.952	26.913	34.566
უცნობი	64.313	1.822	60.741	67.885
საერთო	54.351	0.700	52.979	55.722

ცხრილი 4.3.1.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	ხი-კვადრატი	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	402.765	4	0.000

სურათი 4.3.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით




ცხრილი 4.3.2. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

დიფერენცირების ხარისხი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
მაღალდიფერენცირებული	59.826	2.740	54.455	65.197
საშუალოდ დიფერენცირებული	60.329	1.253	57.874	62.784
დაბალდიფერენცირებული	55.240	1.301	52.689	57.790
არადიფერენცირებული	18.943	6.623	5.963	31.924
უცნობი	49.771	1.156	47.505	52.037
საერთო	54.351	0.700	52.979	55.722

ცხრილი 4.3.2.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	68.408	4	0.000

სურათი 4.3.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით




ცხრილი 4.3.3. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

მორფოლოგია	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
8000	48.496	2.898	42.815	54.176
8010	44.630	4.462	35.884	53.375
8070	54.499	0.994	52.551	56.446
8071	55.886	3.430	49.163	62.609
8072	61.330	2.098	57.218	65.441
8140	48.947	2.392	44.258	53.635
სხვა	55.815	1.813	52.261	59.369
უცნობი	50.468	3.736	43.146	57.790
საერთო	54.234	0.704	52.854	55.614

ცხრილი 4.3.3.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	30.711	7	0.000

სურათი 4.3.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკის მიხედვით




ცხრილი 4.3.4. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

ასაკობრივი ჯგუფები	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
41 წლამდე	63.762	1.686	60.456	67.067
41-59	56.993	0.919	55.192	58.795
59+	46.076	1.286	43.556	48.596
საერთო	54.249	0.704	52.870	55.628

ცხრილი 4.3.4.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	78.517	2	0.000

სურათი 4.3.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჩატარებული მკურნალობის მიხედვით




ცხრილი 4.3.5. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

ჩატარებული მკურნალობა	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
ერთი მეთოდი	58.979	1.084	56.855	61.103
ქირურგია+მედიკამენტები	60.101	3.100	54.025	66.176
ქირურგია+სხივური+მედიკამენტები	63.389	1.837	59.788	66.989
ქირურგია+რადიოთერაპია	68.724	2.022	64.760	72.688
მედიკამენტური +სხივური	54.078	2.191	49.783	58.373
მხოლოდ პალიატიური	23.807	3.598	16.755	30.860
საერთო	58.998	0.774	57.481	60.515

ცხრილი 4.3.5.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	159.993	5	0.000

სურათი 4.3.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქირურგიული მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით




ცხრილი 4.3.6. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

ქირურგია	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
დიახ	64.773	1.031	62.752	66.793
არა	53.671	1.118	51.479	55.863
საერთო	58.998	0.774	57.481	60.515

ცხრილი 4.3.6.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	51.744	1	0.000

სურათი 4.3.7. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა მედიკამენტური მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით




ცხრილი 4.3.7. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

მედიკამენტური მკურნალობა	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
დიახ	56.016	1.155	53.753	58.278
არა	61.465	1.036	59.435	63.495
საერთო	58.998	0.774	57.481	60.515

ცხრილი 4.3.7.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	11.466	1	0.001

სურათი 4.3.8. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა რადიოთერაპიის ჩატარების სტატუსის მიხედვით




ცხრილი 4.3.8. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

სხივური თერაპია	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
დიახ	61.101	1.018	59.106	63.096
არა	56.764	1.175	54.460	59.068
საერთო	58.998	0.774	57.481	60.515

ცხრილი 4.3.8.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	8.801	1	0.003

სურათი 4.3.9. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა პალიატიური მზრუნველობის ჩატარების სტატუსის მიხედვით




ცხრილი 4.3.9. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

პალიატიური	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
დიახ	32.025	2.238	27.639	36.410
არა	62.349	.787	60.807	63.891
საერთო	58.998	.774	57.481	60.515

ცხრილი 4.3.9.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	218.488	1	0.000

სურათი 4.3.10. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა საქართველოს რეგიონების მიხედვით




ცხრილი 4.3.10. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

საქართველოს რეგიონები	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% CI	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.112	1.185	53.790	58.435
აჭარა	49.091	2.485	44.221	53.961
გურია	54.931	4.042	47.010	62.852
იმერეთი	51.742	2.115	47.597	55.888
კახეთი	51.881	2.608	46.769	56.993
მცხეთა-მთიანეთი	48.195	4.450	39.474	56.917
რაჭა-ლეჩხუმი ქვ.სვ.	47.146	6.490	34.425	59.866
სამეგრელო ზემო სვ.	53.696	2.581	48.638	58.755
სამცხე - ჯავახეთი	53.739	4.016	45.867	61.611
ქვემო ქართლი	57.387	1.931	53.602	61.171
შიდა ქართლი	55.203	2.531	50.242	60.165
აფხაზეთი	59.137	4.935	49.465	68.809
საერთო	54.178	0.705	52.795	55.560

ცხრილი 4.3.10.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	17.376	11	0.097

სურათი 4.3.11. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისსა და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.11. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

საგზოვრებელი ადგილი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.112	1.185	53.790	58.435
რეგიონი	53.199	0.876	51.482	54.915
საერთო	54.178	0.705	52.795	55.560

ცხრილი 4.3.11.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	3.969	1	0.046

სურათი 4.3.12. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, აჭარასა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.12. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

აჭარა	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
აჭარა	49.091	2.485	44.221	53.961
დანარჩენი	53.925	0.931	52.100	55.750
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.12.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	9.198	2	0.010

სურათი 4.3.13. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, გურიასა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.13. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

გურია	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
გურია	54.828	4.081	46.830	62.826
დანარჩენი	53.143	0.896	51.387	54.899
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.13.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	3.884	2	0.143

სურათი 4.3.14. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, იმერეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




4.3.14. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

იმერეთი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
იმერეთი	51.845	2.108	47.713	55.978
დანარჩენი	53.517	0.961	51.633	55.401
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.14.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	4.442	2	0.109

სურათი 4.3.15. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, კახეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.15. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

კახეთი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
კახეთი	51.711	2.617	46.582	56.840
დანარჩენი	53.451	0.928	51.633	55.269
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.15.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	4.240	2	0.120

სურათი 4.3.16. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, მცხეთა-თიანეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.16. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

მცხეთა- თიანეთი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
მცხეთა- თიანეთი	48.195	4.450	39.474	56.917
დანარჩენი	53.426	0.891	51.679	55.173
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.16.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	5.025	2	0.081

სურათი 4.3.17. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, სამეგრელო - ზემო სვანეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.17. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

სამეგრელო-ზემო სვანეთი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
სამეგრელო-ზემო სვანეთი	53.112	2.639	47.941	58.284
დანარჩენი	53.241	0.928	51.423	55.059
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.17.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	3.742	2	0.154

სურათი 4.3.18. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, სამცხე-ჯავახეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.18. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

სამცხე-ჯავახეთი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
სამცხე-ჯავახეთი	53.803	4.007	45.950	61.657
დანარჩენი	53.196	0.897	51.439	54.953
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.18.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	3.742	2	0.154

სურათი 4.3.19. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, ქვემო ქართლსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.19. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

ქვემო ქართლი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
ქვემო ქართლი	57.570	1.910	53.826	61.314
დანარჩენი	52.315	0.978	50.398	54.231
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.19.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	9.522	2	0.009

სურათი 4.3.20. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, შიდა ქართლსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში




ცხრილი 4.3.20. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

შიდა ქართლი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
შიდა ქართლი	55.344	2.518	50.409	60.280
დანარჩენი	52.915	0.934	51.086	54.745
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.20.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	4.564	2	0.102

სურათი 4.3.21. საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისში, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთსა (მწვანე ფერის მრუდი) და დანარჩენ რეგიონებში



ცხრილი 4.3.21. გადარჩენის პერიოდის საშუალო მაჩვენებელი (თვეებში)

რაჭა-ლეჩხუმი	საშუალო			
	Estimate	Std. Error	95% Confidence Interval	
			Lower Bound	Upper Bound
თბილისი	56.047	1.188	53.720	58.375
რაჭა-ლეჩხუმი	47.146	6.490	34.425	59.866
დანარჩენი	53.231	0.879	51.508	54.954
საერთო	54.163	0.706	52.780	55.546

ცხრილი 4.3.21.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

სტატისტიკური ტესტი	Chi-Square	df	Sig.
LogRank (Mantel-Cox)	3.740	2	0.154

4.4 კაპლან-მეიერის ანალიზით მიღებული შედეგების აღწერა

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დიაგნოზის დასმისას დადგენილი სტადიების მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართულ პაციენტთა შორის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 სტადიაზე დიაგნოსტირებულთა ხვედრითი წილი 27%, 24%, 25%, და 13%-ს შეადგენდა, ხოლო 11%-ში დიაგნოზი უცნობია. კაპლან-მეიერის ანალიზით ვლინდება, რომ 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები დაავადების ადრეულ (პირველ და მე-2) სტადიაზე დადგენისას მნიშვნელოვნად მაღალია, ხოლო მოგვიანებით სტადიებზე (მე-3 და მე-4) მაჩვენებელი თანდათანობით მცირდება. კერძოდ, მიღებული შედეგების მიხედვით, გადარჩენის მაჩვენებლები 85% (პირველი სტადია), 78% (მე-2 სტადია), 65% (მე-3 სტადია), 25% (მე-4 სტადია) და 42%-ია (სტადია უცნობია). სტატისტიკური ტესტი - p მნიშვნელობა < 0.001 (Log Rank, Breslow), რაც ადასტურებს დაავადების სხვადასხვა სტადიებისთვის გამოვლენილი გადარჩენის მაჩვენებელთა შორის არსებული სხვაობის დამაჯერებლობას (სურათი 4.3.1. და ცხრილები 4.3.1 და 4.3.1.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით

2015-2020 წლებში კვლევაში ჩართულ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დიაგნოსტირებულ პაციენტთა შორის, მაღალი, საშუალო, დაბალი და არადიფერენცირებული კიბოს ხვედრითი წილი 5.6%, 23.6%, 28.9% და 0.5%-ს შეადგენდა შესაბამისად, ხოლო ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით უცნობი სტატუსის მქონე პირთა ხვედრითი წილი იყო 41.4%. კაპლან-მეიერის ანალიზით ვლინდება, რომ 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი ძალიან დაბალია არადიფერენცირებული კიბოს შემთხვევაში, თუმცა ამ ჯგუფის პაციენტთა ძალიან დაბალი ხვედრითი წილის გამო მისი სარწმუნოება ეჭვქვეშაა. მაღალი და საშუალოდ დიფერენცირებული კიბოს შემთხვევაში 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები თითქმის ტოლია და 70%-ის ფარგლებში ვარირებს; დაბალია დაბალდიფერენცირებული კიბოს (63%) და იმ შემთხვევების გადარჩენის მაჩვენებელი, რომელთა დიფერენცირების ხარისხი არ იყო იდენტიფიცირებული (54%). რაც შეეხება არადიფერენცირებულ კიბოს, მაჩვენებელი ძალზე დაბალია (10%), თუმცა ამ ჯგუფში პაციენტთა სიმცირის გამო ის სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება. კიბოს ქსოვილის დიფერენცირების მიხედვით გადარჩენის მაჩვენებელთა შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად დამაჯერებელია, რადგან p მნიშვნელობა < 0.001 (Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.2 და ცხრილები 4.3.2 და 4.3.2.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით

საშვილოსნოს ყელის კიბოს ჰისტოლოგიური ტიპები სტატისტიკური ანალიზის დროს გაერთიანდა 7 ჯგუფში: სიმსივნე ავთვისებიანი, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8000), კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8010), ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8070), ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა გარქოვანების პროცესში (8071), ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა,

გარქოვანების გარეშე (8072), ინვაზიური ადენოკარცინომა (8140), უცნობი და „სხვა“ „სხვა“-ში გაერთიანებულია ძალიან მცირე ხვედრითი წილის მქონე დანარჩენი ჰისტოტიპები, რომელთა დამოუკიდებლად გაანალიზება სტატისტიკურად მნიშვნელოვან შედეგს ვერ იძლევა. კაპლან-მაიერის მრუდებით ვლინდება, რომ 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი შედარებით მაღალია „ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე“ ჰისტოტიპის შემთხვევაში (73%). მეტი წილი ჰისტოტიპებისთვის (8010, 8070, 8071 და „სხვა“) გადარჩენის მაჩვენებელი 58 - 63%-ის ფარგლებში ვარირებდა, ხოლო 50 - 54%-ს შეადგენდა დანარჩენი ორი ჰისტოლოგიური ტიპისთვის (8000 და 8140). საშვილოსნოს ყელის კიბოს ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით გამოვლენილი გადარჩენის მაჩვენებელთა სხვაობა სარწმუნოა, რაც სტატისტიკური ტესტით (p მნიშვნელობა <0.001, Log Rank, Breslow,) დასტურდება (სურათი 4.3.3 და ცხრილები 4.3.3 და 4.3.3.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკის მიხედვით

როგორც ნაშრომის მეთოდოლოგიის ნაწილშია აღწერილი, სტატისტიკური ანალიზის განსახორციელებლად კვლევაში ჩართული პაციენტები სამ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო: 41 წლამდე, 41-59 წლის, 60 წლის და უფროსი ასაკის. თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი შეადგენს 11.7%, 53.5% და 34.8%-ს შესაბამისად. კაპლან-მაიერის ანალიზით გამოვლინდა, რომ 2015-2020 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი დიაგნოსტირებულ პაციენტებში გადარჩენის მაჩვენებელი დამოკიდებულია დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკზე: კერძოდ, 41 წლამდე დიაგნოსტირებულ პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებელი (79%) 16%-ით მაღალია იმ პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებელთან (65%) შედარებით, რომელთაც დიაგნოზი 41-59 წლის ასაკში დაესვით; ხოლო 60 წლის შემდეგ დიაგნოსტირებულ პაციენტთა გადარჩენა კიდევ უფრო დაბალია (47%). სტატისტიკური ტესტი (Log Rank, Breslow, p მნიშვნელობა <0.001) აჩვენებს, რომ მიღებული განსხვავება სტატისტიკურად დამაჯერებელია (სურათი 4.3.4. და ცხრილები 4.3.4 და 4.3.4.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ჩატარებული მკურნალობის მიხედვით

საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის მეთოდების გადარჩენის მაჩვენებელთან ასოციაციის შეფასების მიზნით კვლევაში ჩართული პაციენტები დაიყო 6 ჯგუფად: 1. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა ერთი რომელიმე მეთოდით (ქირურგიული, მედიკამენტური ან სხივური) ჩაუტარდათ მკურნალობა (53%); 2. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია (6.4%); 3. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა, სხივური და მედიკამენტური თერაპია (14.9%); 4. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია (9.7%); 5. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ მედიკამენტური და სხივური თერაპია (12.6%); 6. პაციენტები, რომელთაც მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა მიიღეს (3.3%).

პირველი ჯგუფის პაციენტთა (რომელთაც ერთი რომელიმე მეთოდით - ქირურგიული, მედიკამენტური ან სხივური თერაპიით - ჩაუტარდათ მკურნალობა) შორის 37%-ს

ჩაუტარდა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, 28%-ს მხოლოდ - მედიკამენტური მკურნალობა, 35%-ს მხოლოდ - სხივური თერაპია.

გადარჩენის მაჩვენებლებმა ჩატარებული მკურნალობის მიხედვით შეადგინა: 1. პაციენტებისთვის, რომელთაც ერთი რომელიმე მეთოდით (ქირურგიული, მედიკამენტური ან სხივური) ჩაუტარდათ მკურნალობა - 63%; 2. პაციენტებისთვის, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია 60%; 3. პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა, სხივური და მედიკამენტური თერაპია - 65%; 4. პაციენტებისთვის, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია 76%; 5. პაციენტებისთვის, რომელთაც ჩაუტარდათ მედიკამენტური და სხივური თერაპია 52%; 6. პაციენტებში, რომელთაც მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა მიიღეს 20%. საბოლოოდ, კაპლან-მეიერის ანალიზის მიხედვით გადარჩენის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია იმ პაციენტთა შორის, რომელთაც ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია ჩაუტარდათ, ხოლო ყველაზე დაბალი იმ პაციენტებისთვის, რომელთაც მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა მიიღეს (სურათი 4.3.5 და ცხრილები 4.3.5 და 4.3.5.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა ქირურგიული მკურნალობის სტატუსის მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა თითქმის ნახევარს (46%) ქირურგიული მკურნალობა ჰქონდა ჩატარებული, რომელთა 35%-ს მხოლოდ ქირურგიული მკურნალობა, ხოლო დანარჩენებს - ქირურგიული ჩარევა სხვა მეთოდებთან (მედიკამენტური და სხივური თერაპია) კომბინაციაში. კაპლან-მეიერის ანალიზის მიხედვით 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი იმ პაციენტთა შორის, რომელთაც ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდათ, საკმაოდ მაღალია დანარჩენებთან შედარებით, რომელთაც იგივე მკურნალობა არ მიუღიათ (68% საპირფონოდ 55%-სა). პაციენტთა გადარჩენის თვალსაზრისით მიღებული სხვაობა სტატისტიკურად დამაჯერებელია (p მნიშვნელობა < 0.001 , Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.6 და ცხრილები 4.3.6 და 4.3.6.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა მედიკამენტური მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა 44.4%-ს მედიკამენტური მკურნალობა ჰქონდა ჩატარებული, რომელთა 27%-ს მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობა, ხოლო დანარჩენებს (73%) მკურნალობა ჩაუტარდათ სხვა მეთოდებთან (ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია) კომბინაციაში. კაპლან-მეიერის ანალიზის მიხედვით 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი იმ პაციენტთა შორის, რომელთაც დაავადების გარკვეულ ეტაპზე მედიკამენტური მკურნალობა ჩაუტარდათ (ცალკე ან სხვა მეთოდებთან კომბინაციაში), დაბალია დანარჩენებთან შედარებით, რომელთაც იგივე მკურნალობა არ მიუღიათ (55% საპირფონოდ 66%-სა). როგორც ჩანს, ამ ჯგუფში ჭარბობენ

გვიან სტადიაზე (მე-3 და მე-4) დიაგნოსტიკური პაციენტები. პაციენტთა გადარჩენის თვალსაზრისით მიღებული სხვაობა სტატისტიკურად დამაჯერებელია (p მნიშვნელობა < 0.001 , Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.7. და ცხრილები 4.3.7 და 4.3.7.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა სხივური თერაპიის მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა ნახევარზე მეტს (51%) სხივური თერაპია ჰქონდა ჩატარებული, რომელთა 30%-ს მხოლოდ სხივური თერაპია, ხოლო დანარჩენებს - სხვა მეთოდებთან (ქირურგია და მედიკამენტური თერაპია) კომბინაციაში. კაპლან-მეიერის ანალიზის მიხედვით 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი მცირედით მაღალია პაციენტთა ჯგუფში, რომელთაც სხივური თერაპია ჩაუტარდათ (ცალკე ან სხვა მეთოდებთან კომბინაციაში) დანარჩენებთან შედარებით, რომელთაც არ ჩატარებიათ (63% საპირწონედ 60%-სა). მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამაჯერებელია (p მნიშვნელობა < 0.003 , Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.8. და ცხრილები 4.3.8 და 4.3.8.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა პალიატიური მკურნალობის ჩატარების სტატუსის მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა 3.3%-ს (67 პაციენტი) მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა ჰქონდა მიღებული და მკურნალობის არც ერთი სხვა მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მკურნალობისთვის ტერმინალურ სტადიაზე მიაკითხეს, როცა სხვა სახის ჩარევა არ იყო მიზანშეწონილი. ამ პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებელი დაბალია (20%), მიღებული შედეგი სტატისტიკურად დამაჯერებელია (p მნიშვნელობა < 0.001 , Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.9. და ცხრილები 4.3.9 და 4.3.9.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით

სტატისტიკურ ანალიზში ჩართული საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა განაწილება საქართველოში საცხოვრებელი რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 4.2.7), საიდანაც ჩანს, რომ კვლევაში ჩართულ პაციენტთა მესამედზე მეტი (32.7%) თბილისში მცხოვრებია, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში მცხოვრები სულ 11 პაციენტია ანალიზში ჩართული, ამდენად, ამ რეგიონში გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასება აზრს მოკლებულია. ზოგადად, საკვლევ კოჰორტაში სხვადასხვა რეგიონებიდან პაციენტთა რაოდენობა არათანაბრადაა წარმოდგენილი (ხშირად ძალიან განსხვავებულია), ამიტომ კაპლან-მეიერის მეთოდის გამოყენებით რეგიონების მიხედვით გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასება და შედარება სტატისტიკურად სარწმუნო შედეგებს არ იძლევა (p მნიშვნელობა < 0.097 , Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.10 და ცხრილები 4.3.10 და 4.3.10.ა).

საქართველოს რეგიონებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდებმა ერთმანეთი გადაფარეს, ამდენად, ამ გაერთიანებული სურათით თითოეულ რეგიონში არსებული მაჩვენებლის დემონსტრირება რთულია, ამიტომ მომდევნო ეტაპზე კაპლან-მეიერის მეთოდის გამოყენებით თითოეულ რეგიონში საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელი შედარდა თბილისში და სხვა დანარჩენ რეგიონებში რეგისტრირებულ პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებლებთან (მომდევნო სურათებზე წარმოდგენილია გადარჩენის მხოლოდ სამი მრუდი: თბილისი, შერჩეული რეგიონი და სხვა დანარჩენი ერთად). აღნიშნული სურათებიდან კარგად იკვეთება კაპლან-მეიერის შეფასებითი გადარჩენის შემდეგი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით: თბილისი - 64%, აჭარა - 56%, გურია - 64%, იმერეთი - 54%, კახეთი - 58%, მცხეთა-მთიანეთი - 45%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 59%, სამეგრელო - ზემო სვანეთი 58%, სამცხე-ჯავახეთი - 61%, ქვემო ქართლი - 66%, შიდა ქართლი - 62% (სურათები 4.3.12, 4.3.13, 4.3.14, 4.3.15, 4.3.16, 4.3.17, 4.3.18, 4.3.12, 4.3.12, ცხრილები 4.3.9 და 4.3.9.ა).

საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა თბილისსა და დანარჩენ რეგიონებში

კაპლან-მეიერის ანალიზის მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები თბილისში მცხოვრებ პაციენტებში, საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით, რამდენადმე მაღალია (64% საპირწონედ 59%-სა), მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში ადრეულ ეტაპზე გამოვლენილთა ხვედრითი წილი მცირედით მაღალია. მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამაჯერებელია (p მნიშვნელობა < 0.046, Log Rank, Breslow) (სურათი 4.3.11. და ცხრილები 4.3.11 და 4.3.11.ა).

4.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასება უნივარიაციული და მულტივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული სტატისტიკური მეთოდით

ა. უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის შედეგები

უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით შეფასდა საშვილოსნოს კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა სხვადასხვა სტადიაზე გამოვლენილი პაციენტებისთვის. შესადარებელ (reference) ჯგუფად შეირჩა დაავადების პირველ სტადიაზე გამოვლენილი პაციენტები. საშვილოსნოს ყელის კიბოს მე-2, მე-3 და მე-4 სტადიაზე გამოვლენისას სიკვდილიანობის რისკი მატულობს, თანაც აღნიშნული მატება სტატისტიკურად დამაჯერებელია ($p < 0.05$). საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკი 5-წლიან პერიოდში დაავადების მეორე სტადიაზე გამოვლენისას 2.6-ჯერ, მესამე სტადიაზე გამოვლენისას 5.2-ჯერ და მეოთხე სტადიაზე გამოვლენისას 9.9-ჯერ მეტია დაავადების პირველ სტადიაზე გამოვლენასთან შედარებით. დანარჩენ პაციენტთათვის, რომელთა სტადია არ იყო იდენტიფიცირებული დაავადების გამოვლენისას, სიკვდილიანობის რისკი 1.5-ჯერ მაღალია პირველ სტადიაზე დიაგნოსტირებულ პაციენტებთან შედარებით (ცხრილი 4.4.1).

ცხრილი 4.4.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა დაავადების სტადიის მიხედვით

ფაქტორი/ კიბოს სტადია	სტატისტიკური პარამეტრები ¹							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
პირველი			325.436	4			რეფერენსი	
მეორე	0.957	0.153	38.995	1	0.000	2.603	1.928	3.515
მესამე	1.648	0.142	135.041	1	0.000	5.199	3.937	6.865
მეოთხე	2.295	0.148	241.254	1	0.000	9.921	7.427	13.253
უცნობი	0.407	0.214	3.598	1	0.058	1.502	0.987	2.286

ცხრილი 4.4.1.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.
8561.283	408.989	4	0.000	356.031	4	0.000	356.031	4	0.000

ჩატარებული ანალიზის შედეგებით დასტურდება, რომ საშვილოსნოს ყელის მაღალ და საშუალოდ დიფერენცირებული კიბოს სიკვდილიანობის რისკი შედარებით დაბალია (ამ შემთხვევაში შესადარებელ ჯგუფს წარმოადგენენ დიფერენცირების უცნობი ხარისხის მქონე პაციენტები) (ცხრილი 4.4.2.ა). ხოლო არადიფერენცირებული კიბოს სიკვდილიანობის რისკი თითქმის 4-ჯერ მაღალია რეფერენს ჯგუფთან შედარებით, თუმცა ამ ჯგუფის პაციენტთა სიკვდილიანობის რისკის შეფასება გაუმართლებელია ანალიზში ჩართული პაციენტთა სიმცირის გამო (სულ 10 პაციენტი).

¹ სტატისტიკური პარამეტრების ახსნა იხ. თავი #3-ში: კვლევის მეთოდები და მასალა

ცხრილი 4.4.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით

დიფერენცირების ხარისხი	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI	
							Lower	Upper
მაღალდიფერენცირებული	-0.603	0.205	8.688	1			რეფერენსი	
საშუალოდ დიფერენცირებული	-0.636	0.110	33.584	1	0.000	0.529	0.427	0.656
დაბალდიფერენცირებული	-0.314	0.096	10.608	1	0.001	0.731	0.605	0.882
არადიფერენცირებული	1.364	0.339	16.215	1	0.000	3.911	2.014	7.595
უცნობი			62.018	4	0.000			

ცხრილი 4.4.2.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8861.579	69.118	4	0.000	55.735	4	0.000	55.735	4	0.000

კაპლან-მაიერის ანალიზით გამოვლინდა, რომ 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი შედარებით მაღალი იყო „ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე“ (8072) ჰისტოტიპის შემთხვევაში. აღნიშნული შედეგიდან გამომდინარე, სწორედ ეს ჰისტოლოგიური ტიპი განისაზღვრა შესადარებელ (რეფერენს) ჯგუფად უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მეთოდით დაავადების სხვადასხვა ჰისტოტიპისთვის საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასების მიზნით. სიკვდილიანობის რისკი 2-ჯერ და მეტჯერ მაღალი აღმოჩნდა შემდეგი ჰისტოლოგიური ტიპებისთვის: სიმსივნე ავთვისებიანი, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8000), კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8010), ინვაზიური ადენოკარცინომა (8140); ხოლო დანარჩენი ჰისტოლოგიური ტიპების სიკვდილიანობის რისკი 1.5-ჯერ ან მეტჯერ მაღალია შესადარებელ ჯგუფთან შედარებით. კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მოდელი, რომელიც უჩვენებს, რომ სიკვდილიანობის რისკი

ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით განსხვავებულია, სტატისტიკურად სარწმუნოა (p-მნიშვნელობა < 0.05-ზე) (ცხრილი 4.4.3.ა).

ცხრილი 4.4.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით

ჰისტოლოგიური ტიპები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI	
							Lower	Upper
8072			29.858	7			რეფერენსი	
8000	0.908	0.213	18.110	1	0.000	2.480	1.632	3.769
8010	0.988	0.259	14.542	1	0.000	2.686	1.616	4.463
8070	0.521	0.174	8.936	1	0.003	1.684	1.196	2.369
8071	0.414	0.266	2.436	1	0.119	1.514	0.899	2.547
8140	0.818	0.202	16.489	1	0.000	2.267	1.527	3.364
უცნობი	0.440	0.197	4.977	1	0.026	1.553	1.055	2.286
სხვა / დანარჩენი	0.497	0.278	3.209	1	0.073	1.644	0.954	2.833

ცხრილი 4.4.3.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8849.111	30.700	7	0.000	30.447	7	0.000	30.447	4	0.000

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკის შეფასების მიზნით ჩატარებულ უნივარიაციული კოქსის პროპო-

რციული რეგრესიული ანალიზის მოდელში, შესადარებელ ჯგუფად შერჩეული იყო 41 წლამდე ასაკში დიაგნოსტირებული პაციენტები. ანალიზის შედეგების მიხედვით სიკვდილიანობის რისკი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დიაგნოსტირებულ პაციენტებში განსხვავებულია - დაავადების დადგენის ასაკის მატებასთან ერთად რისკი მატულობს. მიღებული შედეგი სტატისტიკურად სარწმუნოა (ცხრილი 4.4.4.ა, p-მნიშვნელობა < 0.05-ზე).

ცხრილი 4.4.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
41 წლამდე			74.598	2			რეფერენსი	
41-59 წლის	0.528	0.165	10.246	1	0.001	1.696	1.227	2.344
60 + წელი	1.112	0.166	45.053	1	0.000	3.040	2.197	4.206

ცხრილი 4.4.4.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8804.081	78.488	2	0.000	77.125	2	0.000	77.125	2	0.000

პაციენტების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასების მიზნით ჩატარებულ უნივარსიული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მოდელში შესადარებელ ჯგუფს თბილისში მცხოვრები პაციენტები წარმოადგენდნენ. მიღებული შედეგების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკი აჭარაში, იმერეთში, კახეთში, მცხეთა-თიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელო - ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში რამდენადმე მაღალია თბილისში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით, თუმცა, გამოვლენილი განსხვავება სტატისტიკურად დამაჯერებელი არ არის (ცხრილი 4.4.5, p-მნიშვნელობა >0.05-ზე).

ცხრილი 4.4.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა საცხოვრებელი ადგილის (რეგიონების) მიხედვით

საქართველოს რეგიონები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95% CI	
							Lower	Upper
თბილისი			17.170	11			რეფერენსი	
აჭარა	0.426	0.140	9.262	1	0.002	1.531	1.164	2.013
გურია	0.079	0.247	0.102	1	0.749	1.082	0.667	1.755
იმერეთი	0.262	0.133	3.855	1	0.050	1.299	1.000	1.687
კახეთი	0.255	0.155	2.686	1	0.101	1.290	0.951	1.750
მცხეთა - თიანეთი	0.414	0.235	3.100	1	0.078	1.513	0.954	2.398
რაჭა - ლეჩხუმში და ქვემო სვანეთი	0.176	0.505	0.121	1	0.728	1.192	0.443	3.210
სამეგრელო - ზემო სვანეთი	0.147	0.163	0.819	1	0.365	1.159	0.842	1.595
სამცხე - ჯავახეთი	0.171	0.235	0.532	1	0.466	1.187	0.749	1.882
ქვემო ქართლი	-0.081	0.145	0.313	1	0.576	0.922	0.693	1.226
შიდა ქართული	0.057	0.166	0.118	1	0.731	1.059	0.765	1.465
აფხაზეთი	-0.181	0.341	0.282	1	0.595	0.834	0.427	1.628

ცხრილი 4.4.5.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8859.242	17.370	11	0.097	16.729	11	0.116	16.729	11	0.000

უნივარსიტეტული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზით საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკი თბილისში მცხოვრები პაციენტებისთვის შედარდა რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებთან. სიკვდილიანობის რისკი რამდენადმე დაბალია თბილისში მცხოვრები პაციენტებისთვის; სხვაობა მცირეა და იგი სტატისტიკურად დამაჯერებელია (ცხრილი 4.4.6.ა, p-მნიშვნელობა<0.05-ზე).

ცხრილი 4.4.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა თბილისსა და რეგიონებში

საცხოვრებელი ადგილი	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
თბილისი/რეგიონი	-0.173	0.087	3.958	1	0.047	0.841	0.709	0.997

ცხრილი 4.4.6.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.
8871.927	3.967	1	0.046	4.043	1	0.044	4.043	1	0.044

უნივარსიტეტული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზით შეფასდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკი იმ პაციენტებში, რომელთაც ქირურგიული ჩარევა, სხივური ან მედიკამენტური მკურნალობა ჩაუტარდათ დანარჩენებთან შედარებით, ვისაც მოცემული მკურნალობა არ ჩატარებიათ (ცხრილები 4.4.7, 4.4.8, 4.4.9). უნივარსიტეტული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზით დადასტურდა კაპლან-მეიერის ანალიზით მიღებული შედეგები, კერძოდ, ჩატარებული ქირურგიული ჩარევა ადრეული სიკვდილის რისკისგან დაცვის ფაქტორს წარმოადგენს, ისევე როგორც სხივური თერაპია, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში კორელაცია შედარებით სუსტია. ხოლო იმ პაციენტებში, რომელთაც მედიკამენტური თერაპია ჩაუტარდათ, სიკვდილიანობის რისკი მაღალია; სავარაუდოდ ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ჯგუფში მაღალია იმ პაციენტთა ხვედრითი წილი, რომელთაც გვიან ეტაპზე დაესვათ დიაგნოზი ან გვიან მიაკითხეს მკურნალობისთვის. სიკვდილიანობის რისკი განსაკუთრებით მაღალია პაციენტებში, რომელთაც მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა მიიღეს (ცხრილი 4.4.10). მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამაჯერებელია, p-მნიშვნელობა < 0.05-ზე (ცხრილები 4.4.7.ა, 4.4.8.ა, 4.4.9.ა, 4.4.10.ა).

ცხრილი 4.4.7. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა ქირურგიული მკურნალობის ჩატარების სტატუსის (ჩაუტარდათ/არ ჩატარებიათ) მიხედვით

ქირურგიული მკურნალობა	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
ჩაუტარდათ	-0.567	0.080	50.362	1	0.000	0.567	0.485	0.663

ცხრილი 4.4.7.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
9641.594	51.711	1	0.000	52.157	1	0.000	52.157	1	0.000

ცხრილი 4.4.8. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა მედიკამენტური მკურნალობის ჩატარების სტატუსის (ჩაუტარდათ/არ ჩატარებიათ) მიხედვით

მედიკამენტური მკურნალობა	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI	
							Lower	Upper
ჩაუტარდათ	0.261	0.077	11.394	1	0.001	1.298	1.116	1.510

ცხრილი 4.4.8.ა სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
9682.360	11.458	1	0.001	11.391	1	0.001	11.391	1	0.001

ცხრილი 4.4.9. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა სხივური თერაპიის ჩატარების სტატუსის (ჩაუტარდათ / არ ჩატარებიათ) მიხედვით

სხივური თერაპია	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
ჩაუტარდათ	0.229	0.077	8.757	1	0.003	0.796	0.684	0.926

ცხრილი 4.4.9.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
9685.013	8.795	1	0.003	8.738	1	0.003	8.738	1	0.003

ცხრილი 4.4.10. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა პალიატიური მზრუნველობის ჩატარების სტატუსის (ჩაუტარდათ / არ ჩატარებიათ) მიხედვით

პალიატიური მზრუნველობა	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI	
							Lower	Upper
ჩაუტარდათ	1.286	0.093	190.890	1	0.000	3.617	3.014	4.341

ცხრილი 4.4.10.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
9545.120	218.323	1	0.000	148.631	1	0.000	148.631	1	0.000

ბ. მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული ანალიზის შედეგები

ყველა ზემოთ მოყვანილი მოდელი განხილული იყო როგორც ნულოვანი, რადგან თითოეულ შემთხვევაში საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკის შეფასების მიზნით შედარება ხდებოდა ერთი და იმავე ფაქტორის სხვადასხვა მნიშვნელობებს/დონეებს შორის. ზემოთ მოყვანილი ნულოვანი მოდელებიდან საბაზისო მოდელად შერჩეული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების შეფასება დიაგნოზის დასმისას დაავადების სტადიის მიხედვით. მომდევნო ეტაპზე ჩატარდა მულტივარიაციული ანალიზის რამდენიმე მოდელი.

საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას კიბოს დიფერენცირების ხარისხის მიხედვით კორექტირების (ჩასწორების) შემდეგ მიღებულია, რომ დაავადების სტადია დიაგნოზის დასმისას კვლავ ძლიერ კორელაციაშია სიკვდილიანობის რისკთან, ამასთან, მულტივარიაციული ანალიზით დადასტურდა, რომ მოცემულ კოჰორტაში კიბოს დიფერენცირების ხარისხი კორელაციაში არ არის სიკვდილიანობის რისკთან (ცხრილი 4.4.11). მიღებული შედეგი სტატისტიკურად დამაჯერებელია (p -მნიშვნელობა < 0.05).

ცხრილი 4.4.11. მულტივარიაციული მოდელი 1: სტადიები დიაგნოზის დასმისას კორექტირებული კიბოს დიფერენცირების ხარისხით

ფაქტორები: სტადიები + დიფერენცირების ხარისხი	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
პირველი			303.445	4	0.000			
მეორე	0.903	0.154	34.304	1	0.000	2.466	1.823	3.336
მესამე	1.579	0.143	121.374	1	0.000	4.851	3.663	6.424
მეოთხე	2.191	0.151	211.900	1	0.000	8.945	6.660	12.014
უცნობი	0.245	0.220	1.245	1	0.264	1.278	0.831	1.965
დიფერენცირების ხარისხი	0.044	0.013	12.286	1	0.000	1.045	1.020	1.071

ცხრილი 4.4.11.ა სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.	ხი- კვადრატი	თხ	სანდ.
8512.789	420.516	5	0.000	366.769	5	0.000	366.769	5	0.000

მულტივარიაციული ანალიზის შემდგომ ეტაპზე საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას დაავადების სტადია კორექტირდა ჰისტოლოგიური ტიპებით კიბოს ქსოვილის დიფერენცირების ხარისხთან ერთად. ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მოცემულ კოჰორტაში სიკვდილიანობის რისკის ზრდის თვალსაზრისით საშვილოსნოს ყელის კიბოს ჰისტოლოგიური ტიპი დამოუკიდებელ რისკის ფაქტორს არ წარმოადგენს (ცხრილი 4.4.12.). შედეგი სტატისტიკურად დამაჯერებელია (p-მნიშვნელობა < 0.05) (ცხრილი 4.4.12.ა).

ცხრილი 4.4.12. მულტივარიაციული მოდელი 2: მოდელი 1 + ჰისტოლოგიური ტიპები

	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
პირველი			301.837	4	0.000	რეფერენსი		
მეორე	0.904	0.154	34.365	1	0.000	2.470	1.826	3.342
მესამე	1.580	0.143	121.416	1	0.000	4.857	3.667	6.433
მეოთხე	2.194	0.151	211.246	1	0.000	8.969	6.672	12.057
უცნობი	0.244	0.220	1.236	1	0.266	1.276	0.830	1.963
დიფერენცირების ხარისხი	0.044	0.013	12.345	1	0.000	1.045	1.020	1.072
ჰისტოლოგიური ტიპები	0.005	0.021	0.057	1	0.811	1.005	0.964	1.048

ცხრილი 4.4.12.ა სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8512.732	420.533	6	0.000	366.826	6	0.000	366.826	6	0.000

მულტივარიაციული ანალიზის მომდევნო ეტაპზე ქსოვილის დიფერენცირების ხარისხი და ჰისტოლოგიური ტიპები იყო ამოღებული, რადგან არ გამოვლინდა კორელაცია საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკთან. ამჯერად საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას დაავადების სტადია კორექტირდა დიაგნო-

ზის დასმისას პაციენტის ასაკით. მიღებული შედეგების მიხედვით, დაავადების სტადიასა და სიკვდილიანობას შორის კორელაცია კვლავ მნიშვნელოვანია. ამასთან, დადგინდა, რომ პაციენტის ასაკიც სიკვდილიანობის რისკზე მოქმედ დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენს და დაავადების გამოვლენის მომენტში ასაკის მატებასთან ერთად სიკვდილიანობის რისკიც იზრდება. აღნიშნული შედეგი სტატისტიკურად დამაჯერებელია, p-მნიშვნელობა < 0.001 (ცხრილები 4.4.13., 4.4.13.ა).

ცხრილი 4.4.13. მულტივარიაციული მოდელი 3: სტადიები დიაგნოზის დასმისას კორექტირებული პაციენტის ასაკით დიაგნოზის დასმისას

ფაქტორები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
პირველი სტადია			306.246	4	0.000			
მეორე სტადია	0.876	0.154	32.507	1	0.000	2.402	1.777	3.247
მესამე სტადია	1.607	0.142	127.975	1	0.000	4.988	3.776	6.589
მეოთხე სტადია	2.208	0.148	221.907	1	0.000	9.097	6.804	12.164
უცნობი	0.404	0.214	3.548	1	0.060	1.497	0.984	2.280
ასაკობრივი ჯგუფები	0.489	0.067	53.241	1	0.000	1.631	1.430	1.861

ცხრილი 4.4.13.ა სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
8469.830	459.187	5	0.000	409.728	5	0.000	409.728	5	0.000

მულტივარიაციული ანალიზის მოცემულ ეტაპზე საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას დაავადების სტადია დაკორექტირდა დიაგნოზის დასმისას პაციენტის ასაკით და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოცემულ კოჰორტაში პაციენტის საცხოვრებელი ადგილი საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკის ზრდის პრედიქტორს არ წარმოადგენს. დანარჩენი ფაქტორების - საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმისას კიბოს სტადიის და პაციენტის ასაკის - როლი სიკვდილიანობის რისკის ზრდის თვალსაზრისით, კვლავ დადასტურდა. უნივარიაციული კოქსის პროპორციული

რეგრესიული ანალიზის სტატისტიკური ტესტის ის შედეგი, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის თვალსაზრისით რეგიონებს შორის არსებული სხვაობა არაა სტატისტიკურად დამაჯერებელი, მულტივარიაციული ანალიზითაც დადასტურდა (ცხრილები 4.4.14., 4.4.14.ა).

ცხრილი 4.4.14. მულტივარიაციული მოდელი 4: მოდელი 3 + საცხოვრებელი ადგილი

ფაქტორები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI for Exp(B)	
							Lower	Upper
პირველი სტადია			308.702	4	0.000			
მეორე სტადია	0.874	0.154	32.349	1	0.000	2.397	1.774	3.240
მესამე სტადია	1.615	0.142	128.836	1	0.000	5.026	3.803	6.641
მეოთხე სტადია	2.212	0.148	222.761	1	0.000	9.132	6.830	12.210
უცნობი	0.391	0.215	3.315	1	0.069	1.478	0.971	2.250
ასაკობრივი ჯგუფები	0.487	0.067	52.705	1	0.000	1.627	1.427	1.855
რეგიონები	-0.015	0.011	1.946	1	0.163	0.985	0.965	1.006

ცხრილი 4.4.14.ა. სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.	ბი-კვადრატი	თხ	სანდ.
8462.525	461.443	6	0.000	411.794	6	0.000	411.794	6	0.000

მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული ანალიზის მეთოდით კიდევ ერთხელ დასტურდება საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენასა (ან სიკვდილიანობის რისკს) და მკურნალობის მეთოდებს შორის კორელაციური თავისებურებები, რაც გამოვლინდა კაპლან-მაიერის და უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული მეთოდებით. კერძოდ, გადარჩენის შანსი მაღალია და სიკვდილიანობის რისკი დაბალია იმ პაციენტებში, რომელთაც კომპლექსური მკურნალობა უტარდებათ და ამ მკურნალობაში ჩართულია ქირურგიული ჩარევა, სხვა შემთხვევაში სიკვდილიანობის რისკი მატულობს (ცხრილები 4.4.15, 4.4.15.ა).

ცხრილი 4.4.15. მულტივარიაციული მოდელი 5: საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა ჩატარებული მკურნალობის მეთოდებთან

მკურნალობის მეთოდები	სტატისტიკური პარამეტრები							
	B	SE	Wald	df	Sig.	Exp(B)	95.0% CI	
							Lower	Upper
მხოლოდ ერთი მეთოდით			133.332	5	0.000	რეფერენსი		
ქირურგია + მედიკამენტური	-0.096	0.169	0.323	1	0.570	0.908	0.652	1.265
ქირურგია + რადიოთ. + მედიკამენტური	-0.242	0.120	4.047	1	0.044	0.785	0.620	0.994
ქირურგია + რადიოთერაპია	-0.575	0.159	13.121	1	0.000	0.563	0.413	0.768
მედიკამენტური +სხივური	0.213	0.112	3.609	1	0.057	1.238	0.993	1.542
მხოლოდ პალიატიური	1.494	0.151	98.131	1	0.000	4.455	3.315	5.988

ცხრილი 4.4.15.ა სტატისტიკური ტესტის მნიშვნელობა

-2 Log Likelihood	საერთო (ქულა)			ცვლილება წინა ეტაპთან შედარებით			ცვლილება წინა ბლოკთან შედარებით		
	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.	ხი-კვადრატი	თხ	სანდ.
9592.981	159.855	5	0.000	100.771	5	0.000	100.771	5	0.000

4.5. მიღებული შედეგების განსჯა

საქართველოში 2015-2021 წლებში ქალთა შორის ხუთი ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ონკოლოგიურ დაავადებებიდან საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობას მე-3 - მე-5 ადგილი ეკავა (ცხრილი 4.5.1.) და 100 000 ქალზე 14.6-21.4-ის ფარგლებში ვარირებდა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 8.1 – 9.5-ის ფარგლებში.

ცხრილი 4.5.1. ქალთა შორის ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ონკოლოგიური დაავადებების ავადობის მაჩვენებლები 2015-2021 წლებში, საქართველო

კიბოს ლოკალიზაცია	ავადობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე
2015 წელი	
სარძევე ჯირკვალი	106,5
ფარისებრი ჯირკვალი	31,1
კოლორექტული	21,4
საშვილოსნოს ტანი	19,1
საშვილოსნოს ყელი	18,6
2016 წელი	
სარძევე ჯირკვალი	97,7
ფარისებრი ჯირკვალი	40,3
საშვილოსნოს ყელი	21,4
კოლორექტული	19,6
საშვილოსნოს ტანი	19,4
2017 წელი	
სარძევე ჯირკვალი	94,8
ფარისებრი ჯირკვალი	40,5
საშვილოსნოს ტანი	17,8
კოლორექტული	17,0
საშვილოსნოს ყელი	16,0
2018 წელი	
სარძევე ჯირკვალი	94,0
ფარისებრი ჯირკვალი	48,3
საშვილოსნოს ტანი	19,4
კოლორექტული	19,3
საშვილოსნოს ყელი	15,2
2019 წელი	
სარძევე ჯირკვალი	97,7
ფარისებრი ჯირკვალი	45,6
კოლორექტული	19,0
საშვილოსნოს ტანი	18,5
საშვილოსნოს ყელი	18,0

2020 წელი	
სარბევე ჯირკვალი	85,6
ფარისებრი ჯირკვალი	35,0
კოლორექტული	18,0
საშვილოსნოს ტანი	16,9
საშვილოსნოს ყელი	16,0
2021 წელი	
სარბევე ჯირკვალი	85,2
ფარისებრი ჯირკვალი	36,8
კოლორექტული	20,2
საშვილოსნოს ტანი	19,3
საშვილოსნოს ყელი	14,6

საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის მინიმალური მაჩვენებელი 20-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება, ხოლო 40 წლიდან მკვეთრად იზრდება და მაქსიმუმს 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს. აღნიშნული ასაკობრივი თავისებურებები დასტურდება საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით პროცენტული განაწილებით (ცხრილი 4.5.2) (2).

ცხრილი 4.5.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
0-14	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0
25-29	0.6	1.0	1.3	0.3	0.9	1.3	1.7
30-34	3.4	4.2	3.9	3.4	1.6	2.0	1.4
35-39	7.0	6.7	5.8	3.1	5.6	3.6	2.4
40-44	15.1	8.9	10.7	10.7	13.7	10.6	6.3
45-49	16.0	14.8	11.4	11.7	12.7	8.9	13.9
50-54	17.1	18.7	14.0	19.6	12.4	16.2	15.0
55-59	12.3	17.0	15.9	17.9	16.8	17.2	16.4
60-64	11.2	8.6	12.3	12.7	13.0	15.6	10.8
65-69	7.3	9.4	10.7	9.3	9.9	10.6	13.2
70-74	3.9	5.4	7.5	6.2	6.8	7.9	11.1
75+	6.2	5.4	6.5	5.2	6.5	5.3	5.6
სულ	100	100	100	100	100	100	100

მიუხედავად იმისა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი თბილისის მუნიციპალიტეტში დაიწყო 2008 წლიდან, ხოლო ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდა 2011 წლიდან, მიზნობრივი პოპულაციის (25-60 წლის ასაკის ქალები) ჩართულობა სკრინინგში 20%-ზე დაბალია, სწორედ ამიტომ, მაღალია (50%-ზე მეტი) დაავადების გვიან სტადიაზე (მესამე და მეოთხე სტადია) გამოვლენა. დაავადების დაგვიანებული დიაგნოსტიკა, ცხადია, კორელაციაშია სიკვდილიანობის გაზრდილ რისკთან. 95%-იანი სანდოობის ინტერვალის თანახმად, კალენდარული წლების მიხედვით, სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის არსებულის სხვაობას ტატისტკურად დამაჯერებელი არ არის. ბოლო წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის ასაკის მედიანის მატება კეთილსაიმედო ტენდენციაა ქვეყანაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული სიკვდილიანობის შემცირების დინამიკის თვალსაზრისით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპის ქვეყნების უმეტესობაში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი სიკვდილიანობის შემცირება და გადარჩენის მაჩვენებლების ზრდა. ამასთან, ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებობს დიდი განსხვავებები, რომლებიც დაკავშირებულია სიკვდილიანობასთან, გადარჩენასთან და მათ ტენდენციებთან. ეს განსხვავებები, ძირითადად, შესამჩნევია ევროკავშირის 15 წევრ ქვეყანასა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის. კერძოდ, სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ევროკავშირის 15 წევრ ქვეყანაში, ამასთან მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (304, 305). განსხვავებებს ძირითადად სკრინინგის და ადამიანის პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა განაპირობებს. ჯანმრთელობის გლობალური ინიციატივის განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავს საშვილოსნოს ყელის კიბოს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის, ელიმინაციას, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგთან ერთად აპვ-ს ვაქცინაციას მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა. Bonjour M-მ და სხვებმა წარმოადგინეს საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის და აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის სავარაუდო გავლენის შეფასებები ახალგაზრდა გოგონებზე, რომლებსაც შეიძლება საშვილოსნოს ყელის კიბო განუვითარდეთ, თუ მათ არ ჩაუტარდათ ვაქცინაცია. ვაქცინაციის არ ჩატარების შემთხვევაში საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების მოსალოდნელი რაოდენობა 2005-2014 წლებში დაბადებულ გოგონებში 1194 მილიონ (95% სარწმუნობის ინტერვალი 11.4-12.0) შემთხვევას მიაღწევს. ამ ტვირთის დაახლოებით 75% კონცენტრირებული იქნება 25, ძირითადად, აფრიკასა და აზიაში მდებარე ქვეყნებში, სადაც მომავალში შემთხვევების მრავალჯერადი გაზრდაა მოსალოდნელი და მიაღწევს 5,6 მილიონ (5.4 – 6.0) შემთხვევას აფრიკაში და 4,5 მილიონ (4.4 – 4.6) შემთხვევას აზიაში. გლობალურად, აპვ ვაქცინაციას შეუძლია დაახლოებით 8,7 მილიონი (8.5-9.0) შემთხვევის თავიდან აცილება (56).

საქართველოში ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრები 2017 წლის დეკემბერში გავის მხარდაჭერით წინასწარ შერჩეულ ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო: აფხაზეთის ა/რ, აჭარის ა/რ, ქ. თბილისი და ქუთაისი. ვაქცინაციას დაექვემდებარა 2008-2009 წლებში (მინიმალური ასაკი 9 წელი) დაბადებულ გოგონათა კოჰორტა. აღნიშნული დემონსტრაციული პროექტი დასრულდა 2019 წელს. აფხაზეთის ა/რ-ის პუბლიკაში ვაქცინაცია არ დაწყებულა. 2017-19 წლებში საქართველოში აპვ1 და აპვ2-ით მოცვა ყველაზე მაღალი იყო აჭარაში (90% და 76%), საშუალო ქუთაისში (82%

და 52%) და დაბალი თბილისში (62% და 46%). საქართველოს მასშტაბით 2017-2019 წლებში სულ აპვ1 დოზით მოცულია 48.3%, ხოლო აპვ2 დოზით - 36.3%. 2019 წლიდან აპვ საწინააღმდეგო აცრები დაინერგა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 10-11-12 წლის გოგონებში, იმავე წელს აპვ პირველი დოზით სამიზნე პოპულაციის 39.3% აიცრა; რეგიონების მიხედვით აპვ1 აცრით მოცვის მაჩვენებელი შემდეგია: აჭარა 69%, კახეთი 60%, იმერეთი 45%, სამეგრელო 53%, შიდა-ქართლი 27%, ქვემო ქართლი 26%, გურია 39%, თბილისი 18%, სამცხე-ჯავახეთი 46%, მცხეთა-მთიანეთი 44%, რაჭა-ლეჩხუმი 55%. ზოგადად აღინიშნებოდა პროცესისათვის მაღალი დონის მხარდაჭერა, კოორდინირება და მართვა, თუმცა კოვიდის პანდემიამ ეს პროცესები შეაფერხა და ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლები კვლავ დაბალია. საჭიროა ამ პროცესების გააქტიურება.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეულ სტადიაზე დადგენას, როცა დაავადების მართვა შესაძლებელია, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა, როგორც კაპლან-მეიერის, ასევე კოქსის რეგრესიულმა ანალიზმა უჩვენა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენა დაბალია, ხოლო სიკვდილიანობის რისკი მატულობს დაავადების გვიან სტადიებზე გამოვლენისას. ამ თვალსაზრისით არსებული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დამაჯერებელია (სურათი 4.3.1, ცხრილები 4.4.1 და 4.4.15). ამდენად, მიღებული შედეგები შესაბამისობაშია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებთან, რომლებიც ადასტურებენ, რომ დაავადების გვიანი სტადია გადარჩენის დაბალი მაჩვენებლის დამოუკიდებელი და სტატისტიკურად დამაჯერებელი პრედიქტორია, კიბოს შორს წასული სტადია მაღალი სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორია პაციენტებში. ეს შედეგი ხაზს უსვამს ტრადიციული პროგნოზული ფაქტორების გადამწყვეტ როლს კიბოთი დაავადებული ხანდაზმული პაციენტების გადარჩენაში (13, 47, 101, 144, 149, 173, 215, 216, 226, 229, 271, 278).

ცნობილია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე დადგენის საუკეთესო საშუალება სკრინინგია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე 2011 წელს დაინერგა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზნობრივ პოპულაციას 25-60 წლის ასაკის ქალები შეადგენენ, ადრეულ სტადიებზე გამოვლენილი კიბოს წილი ჯერ კიდევ დაბალია და 50%-ის ფარგლებში მერყეობს. CC-ს ადრეული დადგენისთვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული სკრინინგის პროგრამა სამიზნე პოპულაციაში ქალების მაღალი მოცვით. ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, კიბოს ადრეული გამოვლენა თანდათან მცირდებოდა ასაკთან ერთად და 56.0%, 53.0% და 46.1% შეადგინა შესაბამისად 41 წლამდე ასაკის, 41-დან 59 წლამდე და 60 წელზე უფროსი ასაკის პაციენტებში. იმ ქვეყნებში, სადაც ორგანიზებული სკრინინგი ჯერ არ არის დანერგილი და მხოლოდ ოპორტუნისტული სკრინინგი არის ხელმისაწვდომი, მოსახლეობის მონაწილეობა სკრინინგის პროგრამებში დაბალია და, ძირითადად, დამოკიდებულია მოსახლეობის ზოგად განათლებასა და დაავადების შესახებ მათ ინფორმირებულობაზე. ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მეტწილად ოპორტუნისტულია და მათ საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ევროპის რეგიონთან შედარებით. სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში,

უკრაინასა და უზბეკეთში 2013-2017 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გვიან სტადიაზე (III და IV სტადია) დიაგნოსტირებული შემთხვევების წილი მაღალი იყო, განსაკუთრებით მოლდოვასა და სომხეთში (>50%). საშვილოსნოს ყელის კიბოს პირველი სტადიის შემთხვევების წილი ასაკის მატებასთან ერთად მცირდება ყველა ქვეყანაში, ხოლო გვიანი სტადიის კიბოს წილი ასაკის მატებასთან ერთად მატულობს. საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადია-სპეციფიკური მაჩვენებლები მთლიანობაში გაიზარდა 2008–2017 წლებში. აღნიშნული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს მაღალ ტვირთთან საჭიროა ბრძოლა. აუცილებელია ეროვნული პოლიტიკის რადიკალური შეცვლა ოპორტუნისტული სკრინინგიდან ორგანიზებულ, პოპულაციაზე-დაფუძნებული სკრინინგით, გარანტირებული ხარისხის კონტროლით (240).

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს პირველადი სკრინინგის მიზნით პაპ-ტესტირება (საშვილოსნოს ყელიდან აღებული ნაცხის ციტოლოგიური კვლევა) სამიზნე პოპულაციაში (25-60 წელი) სამ წელიწადში ერთხელ ტარდება (3, 4). ექსპერტთა შეფასებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის აპკ ტესტი უფრო ეფექტურია. სკრინინგის ყველა სტრატეგია, რომელიც პირველადი სკრინინგის მეთოდის სახით მხოლოდ სამწლიან აპკ გენოტიპირებას, ან კო-ტესტირებას ციტოლოგიასთან ერთად გვთავაზობს და 16/18 ტიპების ერთდროულ გენოტიპირებას გულისხმობს, უფრო ეფექტური აღმოჩნდა, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს ავადობის, ისე სიკვდილიანობის შემცირებისთვის. ამასთან, როდესაც ზემოთ აღნიშნული სტრატეგიის შეთავაზება 5 წელიწადში ერთხელ ხდება, მგრძნობელობის შემცირების მიუხედავად, ის მაინც უფრო ეფექტური რჩება ამჟამინდელ პრაქტიკასთან შედარებით. აპკ 16/18 გენოტიპირაცია, როგორც CC-ს პირველადი სკრინინგის მეთოდი, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა და დომინირებს ამჟამინდელ პრაქტიკაში, როგორც ღირებულების, ასევე შედეგების მიხედვით. ყველა სხვა სტრატეგიასთან შედარებით, შედეგები, რომლებსაც ის იძლევა, ამართლებს საჭირო დანახარჯებს და წარმოადგენს ალტერნატივას ფასებისა და ხარისხის კარგი თანაფარდობით (260). მრავალ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ქალებს კარგი ცოდნა და დადებითი დამოკიდებულება აქვთ სკრინინგის მიმართ, მათი აქტივობა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგში მონაწილეობის თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალია (127).

კიბოს გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორი არის პაციენტთა ასაკი დიაგნოზის დასმისას. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით -როგორც კაპლან-მაიერის, ასევე კოქსის პროპორციული უნივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით პაციენტის ასაკი სიკვდილიანობის რისკზე მომქმედ დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენს, კერძოდ, დაავადების გამოვლენის მომენტში ასაკის მატებასთან ერთად სიკვდილიანობის რისკიც იზრდება. საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოსტირების მომენტში პაციენტის ასაკსა და გადარჩენას შორის კორელაციის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია მრავალი ფაქტორის კომბინაციაზე. კვლევები უჩვენებს, რომ 20-29 წლის ასაკის ახალგაზრდა ქალებში დადგენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს საერთო და ფარდობითი გადარჩენა კორელაციაშია სიმსივნის ისეთ მახასიათებლებთან, როგორცაა სტადია დიაგნოზის დასმისას (73). ჩვენს მიერ მიღებული შედეგის (პაციენტის ასაკის მატებასთან ერთად სიკვდილიანობის რისკის მატება) თეორიული ახსნა შესაძლოა,

მდგომარეობდეს იმაში, რომ ახალგაზრდა ასაკში კიბო უფრო ადრეულ სტადიაზე ვლინდება და უფრო აგრესიული მკურნალობა ტარდება, რაც სიკვდილიანობის რისკს ამცირებს. არსებული მონაცემებით გამოთქმული ვარაუდი დასტურდება - ახალგაზრდა ასაკში კიბო რამდენადმე ადრეულ სტადიაზე ვლინდება (ცხრილი 4.5.3).

ცხრილი 4.5.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიები დიაგნოზის დასმისას პაციენტთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები		სტადიები დიაგნოზის დასმისას					სულ
		1	2	3	4	უცნობი	
41 წლამდე	n	89	43	49	21	35	237
	%	37.6%	18.1%	20.7%	8.9%	14.8%	100.0%
	%	16.5%	8.8%	9.7%	7.7%	16.6%	11.7%
41-59 წელი	n	301	271	280	131	97	1080
	%	27.9%	25.1%	25.9%	12.1%	9.0%	100.0%
	%	55.6%	55.6%	55.3%	47.8%	46.0%	53.5%
60 წელი <	n	151	173	177	122	79	702
	%	21.5%	24.6%	25.2%	17.4%	11.3%	100.0%
	%	27.9%	35.5%	35.0%	44.5%	37.4%	34.8%
სულ	n	541	487	506	274	211	2019
	%	26.8%	24.1%	25.1%	13.6%	10.5%	100.0%
	%	100.0%	100.0%	100.0%	100%	100.0%	100.0%

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამოვლენილი საშვილოსნოს ყელის კიბო მნიშვნელოვნად არ განსხვავდება დიფერენცირების ხარისხის განაწილების მიხედვით (ცხრილი 4.5.4), რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ კიბოს დიფერენცირების ხარისხი ვერ იქნება ის მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავებულ გადარჩენას.

ცხრილი 4.5.4. საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე პაციენტთა სიმსივნის დიფერენცირების ხარისხი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

სიმსივნის ხარისხი	ასაკი დიაგნოზის დასმისას			სულ
	41 წლამდე	41-59 წლის	≥ 60 წლის	

მაღალდიფერენცირებული	% ხარისხის ფარგლებში	19.5%	56.1%	24.4%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	7.7%	5.0%	3.8%	5.0%
საშუალოდ დიფერენცირებული	% ხარისხის ფარგლებში	13.5%	58.4%	28.1%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	25.6%	25.1%	20.9%	23.8%
დაბალდიფერენცირებული	% ხარისხის ფარგლებში	10.9%	56.1%	33.0%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	23.2%	27.1%	27.6%	26.7%
არადიფერენცირებული	% ხარისხის ფარგლებში	0.0%	66.7%	33.3%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	0.0%	0.7%	0.6%	0.5%
უცნობი	% ხარისხის ფარგლებში	12.4%	53.3%	34.3%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	43.5%	42.2%	47.1%	43.9%
სულ	% ხარისხის ფარგლებში	12.6%	55.5%	32.0%	100.0%
	% ასაკის ფარგლებში	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

ჩვენი კვლევის შედეგები თანხვედრაშია სხვა კვლევებთან, რომლებიც ადასტურებენ, რომ პაციენტის ასაკი დიაგნოზის დასმისას საშვილოსნოს ყელის კიბოთი ადრეული სიკვდილიანობის დამოუკიდებელ პრედიქტორს წარმოადგენს. ხანდაზმულ პაციენტებში საშვილოსნოს ყელის კიბოს არასასურველი პროგნოზის მიზეზები, რომლებიც გამოვლინდა სტატისტიკური ანალიზის დროს, შეიძლება აიხსნას სიმსივნის სტადიით დიაგნოზის დასმისას და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის თანმხლები დაავადებების განსხვავებებით.

სამიზნე პოპულაციის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მათ მონაწილეობას სკრინინგის პროგრამებში, არის ასაკი. მაგალითად, სხვადასხვა კვ-

ლევები უჩვენებენ, რომ ახალგაზრდა ქალების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ, რაც კავშირშია სკრინინგში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებლებთან, ამასთან, ქალები, რომლებიც სკრინინგს იტარებენ, უფროსი ასაკის არიან და უფრო მეტი ცოდნა აქვთ საშვილოსნოს ყელის კიბოს და სკრინინგის შესახებ (84, 208). შედარებით ახალგაზრდა ასაკი, დაბალი განათლების დონე და დაავადების და სკრინინგის შესახებ ცოდნის დეფიციტი გავლენას ახდენს სკრინინგულ პროგრამებში მონაწილეობაზე. მეორეს მხრივ, საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ - სპეციფიკური ავადობა და სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამიზნე პოპულაციის კიბოს სკრინინგში მონაწილეობაზე. ეს ნათლად მიუთითებს საშვილოსნოს ყელის გამოკვლევის მნიშვნელობის შესახებ ქალების ინფორმირებულობის დონის ამაღლების და პროგრამების გაფართოების საჭიროებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში (11). ხანდაზმული ასაკი ზოგადად უკავშირდება თანმხლები დაავადებების მაღალ პრევალენტობას, რამაც შეიძლება გაზარდოს ადრეული სიკვდილიანობის რისკი, რაც გამოვლინდა ჩვენს კვლევაში. მიუხედავად იმისა, რომ კიბოს რეგისტრის მონაცემთა ბაზაში არ არის ჩართული ინფორმაცია თანმხლები დაავადებების შესახებ და ჩვენ ვერ შევძელით ამ ცვლადის ანალიზი, საქართველოში CC-ს საერთო გამოსავალის შესაფასებლად გასათვალისწინებელია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით და შაქრიანი დიაბეტით მაღალი ავადობა და სიკვდილიანობა ხანდაზმულ ქალებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს ქსოვილის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით გადარჩენის მაჩვენებელთა კაპლან-მეიერის ანალიზით შეფასებამ უჩვენა, რომ მაღალ და საშუალოდ-დიფერენცირებული კიბოს გადარჩენის მაჩვენებელი მაღალია დაბალდიფერენცირებულ კიბოსთან შედარებით (სურათი 4.3.2), მეორეს მხრივ, უნივარიაციული კოქსის რეგრესიული მოდელით გამოვლინდა, რომ დაბალდიფერენცირებული კიბოს სიკვდილიანობის რისკი აღემატება მაღალ და საშუალოდ-დიფერენცირებული კიბოს სიკვდილიანობის რისკს (ცხრილი 4.4.2), თუმცა, მულტივარიაციული ანალიზით ვერ დადასტურდა, რომ ქსოვილის დიფერენცირების ხარისხი დამოუკიდებელ პროგნოზულ ფაქტორს წარმოადგენს (ცხრილი 4.4.11).

როგორც ცნობილია, განარჩევენ საშვილოსნოს ყელის კიბოს შემდეგ ჰისტოლოგიურ ტიპებს: 1. ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კიბო (1.ა. გარქოვანებადი; 1.ბ. გაურქოვანებელი; 1.გ. ვერიკოზული); 2. ადენოკარცინომა in situ; 3. ინვაზიური ადენოკარცინომა; 4. ენდომეტრიოიდული ადენოკარცინომა; 5. ნათელუჯრედოვანი ადენოკარცინომა; 6. ადენობრტყელუჯრედოვანი ადენოკარცინომა; 7. ადენოცისტოზური კიბო; 8. ადენოიდური ბაზალური კარცინომა; 9. წვრილუჯრედოვანი კიბო; 10. ნეიროენდოკრინული კიბო; 11. არადიფერენცირებული კიბო (5). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საშვილოსნოს ყელის კიბოს ჰისტოლოგიური ტიპები სტატისტიკური ანალიზის დროს გავაერთიანეთ 7 ჯგუფში: სიმსივნე, ავთვისებიანი, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8000); კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8010); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, სხვაგვარად დაუზუსტებელი (8070); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა გარქოვანების პროცესში (8071); ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე (8072); ინვაზიური ადენოკარცინომა (8140); უცნობი და „სხვა“. „სხვა“-ში გაერთიანებულია

დანარჩენი ჰისტოტიპები, რომლებიც თითოეული ძალიან მცირე ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი და მათი დამოუკიდებლად გაანალიზება სტატისტიკურად მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოგვცემდა. როგორც კაპლან-მეიერის, ასევე უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მეთოდით დადასტურდა, რომ გადარჩენის შანსი მაღალი იყო „ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, გარქოვანების გარეშე“ ჰისტოტიპის შემთხვევაში (სურათი 4.3.3, ცხრილი 4.4.3). აღნიშნული შედეგები შესაბამისობაშია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან - ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა უკეთესი გადარჩენით ხასიათდება ადენოკარცინომასთან შედარებით (217, 325). თუმცა, ჩვენს კვლევაში მულტივარიაციული ანალიზის შედეგებით დადგინდა, რომ ჰისტოლოგიური ტიპი გადარჩენაზე მოქმედ დამოუკიდებელ ფაქტორს არ წარმოადგენს (ცხრილი 4.4.12).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის მეთოდების გადარჩენის მაჩვენებელთან კავშირის შეფასების მიზნით, კვლევაში ჩართული პაციენტები დაყავით 6 ჯგუფად: 1. პაციენტები, რომელთაც ერთი რომელიმე მეთოდით (ქირურგიული, მედიკამენტური ან სხივური) ჩაუტარდათ მკურნალობა; 2. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია; 3. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა, სხივური და მედიკამენტური თერაპია; 4. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია; 5. პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ მედიკამენტური და სხივური თერაპია; 6. პაციენტები, რომელთაც მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა მიიღეს. კაპლან-მეიერის და უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მიხედვით ჩატარებული ქირურგიული ჩარევა სიკვდილის რისკისგან დაცვის ფაქტორს წარმოადგენს, ისევე როგორც სხივური თერაპია, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში კორელაცია შედარებით სუსტია. ხოლო იმ პაციენტებში, რომელთაც მხოლოდ მედიკამენტური თერაპია ჩაუტარდათ, სიკვდილიანობის რისკი მაღალია. სავარაუდოდ, ეს ნიშნავს, რომ ამ ჯგუფში მაღალია იმ პაციენტთა ხვედრითი წილი, რომელთაც გვიან ეტაპზე დაესვათ დიაგნოზი ან გვიან მიაკითხეს მკურნალობისთვის (სურათი 4.3.5, ცხრილი 4.4.10). მულტივარიაციული კოქსის რეგრესიული ანალიზის მეთოდით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მკურნალობის მეთოდი საშვილოსნოს ყელის კიბოს გადარჩენაზე (ან სიკვდილიანობის რისკს) მოქმედ დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, გადარჩენის შანსი მაღალია და სიკვდილიანობის რისკი დაბალია იმ პაციენტებში, რომელთაც კომპლექსური (ქირურგიული ჩარევა, სხივური და მედიკამენტური თერაპია) მკურნალობა უტარდებოდათ და ამ მკურნალობაში ჩართულია ქირურგიული ჩარევა, სხვა შემთხვევაში სიკვდილიანობის რისკი მატულობს (ცხრილი 4.4.15).

საქართველოს ონკოლოგიურ პაციენტთათვის სხვადასხვა მკურნალობის მეთოდების საჭიროებათა შეფასება ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (Human Resources Needed for Cancer Control in Low & Middle Income Countries. NCI NCI. RRP) მიერ განხორციელდა². კვლევის მიხედვით საქართველოში სხვადასხვა მეთოდების უტილიზაცია ონკოლოგიური პაციენტებისთვის დაბალია. აღნიშნული შეფასების მიხედვით საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზით გამოვლენილ პაციენტთა დაახლო-

² <https://rrp.cancer.gov/programsResources/lowIncome/georgia.htm>

ებით 80% საჭიროებს როგორც მედიკამენტოზურ, ასევე სხივურ თერაპიას³, თუმცა ჩვენს მიერ შესწავლილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, მხოლოდ 51%-ს ჰქონდა ჩატარებული სხივური თერაპია და 45%-ს მედიკამენტური, რაც მკურნალობისადმი არასტანდარტულ მიდგომას ადასტურებს.

ქირურგია, სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის ძირითადი მეთოდებია. ბევრი პაციენტი იღებს მკურნალობის რამდენიმე მეთოდს, რომელთაგან თითოეულს თავისი გრძელვადიანი გვერდითი ეფექტი აქვს (86, 122, 203, 231, 243, 280). საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულთა 5-წლიანი გადარჩენის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, აუცილებელია ცხოვრების ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება გრძელვადიან პერსპექტივაში. ცხოვრების ხარისხზე გრძელვადიანი მკურნალობის გავლენის შესახებ მიღებული მონაცემები განსხვავდება, მაგრამ შეესაბამება იმ ვარაუდს, რომ მკურნალობის ფარგლებში მხოლოდ სხივური თერაპიის მიმღებ პაციენტებს, შარდის ბუშტის, ნაწლავის გრძელვადიანი დისფუნქციის გაზრდის, სექსუალური დისფუნქციისა და ფსიქოსოციალური არასასურველი შედეგების ყველაზე მაღალი რისკი აქვთ. მკურნალობის შედეგების და გადარჩენის გაუმჯობესებისკენ მიმართული სამუშაო ასევე უნდა ითვალისწინებდეს არასასურველი გრძელვადიანი გვერდითი მოვლენების შემცირებას (220).

პაციენტების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობის შეფასების მიზნით ჩატარებულ უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მოდელში შესადარებელ ჯგუფს თბილისში მცხოვრები პაციენტები წარმოადგენდნენ. მიღებული შედეგების მიხედვით, საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის რისკი აჭარაში, იმერეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელო ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში რამდენადმე მაღალია თბილისში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით. სტატისტიკურ ანალიზში ჩართულ პაციენტთა მესამედზე მეტს (32.7%) თბილისში მცხოვრები პაციენტები წარმოადგენდნენ, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში მცხოვრები სულ 11 პაციენტია ანალიზში ჩართული, ამდენად, ამ რეგიონში გადარჩენის მაჩვენებელთა შეფასება აზრს მოკლებულია. ზოგადად, საკვლევ კოპორტაში სხვადასხვა რეგიონებიდან პაციენტთა რაოდენობა არათანაბრად იყო წარმოდგენილი (ხშირად ძალიან განსხვავებული იყო), ამიტომ კაპლან-მაიერის და უნივარიაციული კოქსის პროპორციული რეგრესიული ანალიზის მეთოდებით მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამაჯერებელი არ არის (სურათი 4.3.10 და ცხრილი 4.3.10). მულტივარიაციული ანალიზით არ დასტურდება, რომ საცხოვრებელი ადგილი დამოუკიდებელ პროგნოზულ ფაქტორს წარმოადგენს (ცხრილი 4.4.14).

ჩვენი კვლევის მიზანს გარემო ფაქტორების შესწავლა არ წარმოადგენდა. ჩვენ მიგვაჩინია, რომ საქართველოს რეგიონებს შორის საშვილოსნოს ყელის კიბოს სიკვდილიანობის და, შესაბამისად, გადარჩენის მაჩვენებელთა თვალსაზრისით არსებული განსხვავება შესაძლოა აიხსნას რეგიონების მიხედვით სხვადასხვა სტადიაზე გამოვლენილ პაციენტთა

³ <https://rrp.cancer.gov/programsResources/lowIncome/georgia.htm>

განსხვავებული ხვედრითი წილით და მკურნალობისადმი განსხვავებული მიდგომებით. მართლაც, არსებული მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს რეგიონებში განსხვავებულია საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენილთა ხვედრითი წილი (ცხრილი 4.5.5).

ცხრილი 4.5.5. საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიები დიაგნოზის დასმისას საქართველოს რეგიონების მიხედვით

რეგიონი		სტადია					სულ
		1	2	3	4	უცნობი	
თბილისი	n	171	144	140	96	110	661
	%	25.9%	21.8%	21.2%	14.5%	16.6%	100.0%
	%	32.0%	29.7%	27.8%	35.3%	52.6%	33.0%
აჭარა	n	52	53	41	32	9	187
	%	27.8%	28.3%	21.9%	17.1%	4.8%	100.0%
	%	9.7%	10.9%	8.1%	11.8%	4.3%	9.3%
გურია	n	20	17	12	5	6	60
	%	33.3%	28.3%	20.0%	8.3%	10.0%	100.0%
	%	3.7%	3.5%	2.4%	1.8%	2.9%	3.0%
იმერეთი	n	56	67	73	29	16	241
	%	23.2%	27.8%	30.3%	12.0%	6.6%	100.0%
	%	10.5%	13.8%	14.5%	10.7%	7.7%	12.0%
კახეთი	n	55	35	43	18	11	162
	%	34.0%	21.6%	26.5%	11.1%	6.8%	100.0%
	%	10.3%	7.2%	8.5%	6.6%	5.3%	8.1%
მცხეთა-თიანეთი	n	13	9	10	11	5	48
	%	27.1%	18.8%	20.8%	22.9%	10.4%	100.0%
	%	2.4%	1.9%	2.0%	4.0%	2.4%	2.4%
რაჭა - ლეჩხუმში და ქვემო სვანეთი	n	0	5	5	0	1	11
	%	0.0%	45.5%	45.5%	0.0%	9.1%	100.0%
	%	0.0%	1.0%	1.0%	0.0%	0.5%	0.5%
სამეგრელო - ზემო სვანეთი	n	34	29	48	22	9	142
	%	23.9%	20.4%	33.8%	15.5%	6.3%	100.0%
	%	6.4%	6.0%	9.5%	8.1%	4.3%	7.1%
სამცხე - ჯავახეთი	n	18	16	20	8	3	65
	%	27.7%	24.6%	30.8%	12.3%	4.6%	100.0%
	%	3.4%	3.3%	4.0%	2.9%	1.4%	3.2%

ქვემო ქართლი	n	69	56	58	29	18	230
	%	30.0%	24.3%	25.2%	12.6%	7.8%	100.0%
	%	12.9%	11.5%	11.5%	10.7%	8.6%	11.5%
შიდა ქართლი	n	38	38	43	17	15	151
	%	25.2%	25.2%	28.5%	11.3%	9.9%	100.0%
	%	7.1%	7.8%	8.5%	6.3%	7.2%	7.5%
აფხაზეთი	n	9	16	11	5	6	47
	%	19.1%	34.0%	23.4%	10.6%	12.8%	100.0%
	%	1.7%	3.3%	2.2%	1.8%	2.9%	2.3%
სულ	n	535	485	504	272	209	2005
	%	26.7%	24.2%	25.1%	13.6%	10.4%	100.0%
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0	100.0	100.0%

თუ შევადარებთ თბილისსა და დანარჩენ რეგიონებში პაციენტთა სტადიებს დიაგნოზის დასმისას, ვლინდება, რომ რეგიონში ადრეულ სტადიაზე (პირველი და მეორე) გამოვლენილთა ხვედრითი წილი რამდენადმე მაღალია (ცხრილი 4.5.6). ამ შემთხვევაში ის მცირედი უპირატესობა, რაც თბილისშია გადარჩენის თვალსაზრისით, უნდა აიხსნას მკურნალობისადმი განსხვავებული მიდგომებით, რაც კიბოს მართვის სტანდარტიზაციის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ცხრილი 4.5.6. საშვილოსნოს ყელის კიბოს სტადიები დიაგნოზის დასმისას პაციენტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (თბილისი / რეგიონი)

საცხოვრებელი ადგილი		სტადია დიაგნოზის დასმისას					სულ
		1	2	3	4	უცნობი	
თბილისი	n	171	144	140	96	110	661
	%	25.9%	21.8%	21.2%	14.5%	16.6%	100.0%
	%	32.0%	29.7%	27.8%	35.3%	52.6%	33.0%
რეგიონი	n	364	341	364	176	99	1344
	%	27.1%	25.4%	27.1%	13.1%	7.4%	100.0%
	%	68.0%	70.3%	72.2%	64.7%	47.4%	67.0%
სულ	n	535	485	504	272	209	2005
	%	26.7%	24.2%	25.1%	13.6%	10.4%	100.0%
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

გაუმჯობესებული გადარჩენა ნიშნავს იმას, რომ კიბო თანდათან სულ უფრო ქრონიკული დაავადება ხდება. ფუნქციური მახასიათებლების გაუმჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადარჩენის ოპტიმიზაციისთვის. Joshy G-ს და სხვათა მიერ რაოდე-

ნობრივად განისაზღვრა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შედეგები კიბოს მქონე და არმქონე ადამიანებში კიბოს ტიპის მიხედვით. ასაკის და სქესის მიხედვით პიროვნებაზე ორიენტირებული არასასურველი შედეგების პუასონის მოდიფიცირებული რეგრესიით შეფასებისას, კიბოს დიაგნოზის არმქონე მონაწილეებთან შედარებით, კიბოსგან გადარჩენილებში შრომისუნარობის (20,6% საპირწონედ 12,6%-ისა, PR=1,28, 95% CI=(1,25-1,32)), ფსიქოლოგიური დისტრესის (22,2% საპირწონედ 23.5%-ისა, 1.05 (1.02-1.08)) და არაკეთილსაიმედო QOL-ის მაღალი (15.2% 10.2%; 1.28 (1.24-1.32)) პრევალენტობა გამოვლინდა. ფიზიკური ინვალიდობა, დისტრესი და ცხოვრების ხარისხის გაუარესება ხშირია კიბოს შემდეგ და კიბოს ტიპის მიხედვით მერყეობს, რაც გვკარნახობს პრიორიტეტულ სფეროებს კვლევის, მოვლის, და მხარდაჭერის მხრივ (162).

